

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობაგას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

**72-ე
სამეცნიერო სესია**

თასალები

2013 წლის 24-26 დეკემბერი

თბილისი
2013

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს — 10 წუთი
მსჯელობაში მონაწილეს — 3 წუთი

**რედაქტორები — ავთანდილ არაბული
თამარ გაშაკიძე**

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

მუშაობის გეგმა

24 დეკემბერი, 11 საათი

ვ. შენგელია — ოდნაობითი ხარისხის გამოხატვისათვის სხვალასხვა სისტემის ენებში

მ. სუხიშვილი — პრევერბიან გარდაუვალ ზმნათა კომბინირებული მნიშვნელობა და ზმნის გრამატიკული სტატუსი

თ. ვაშაკიძე — კითხვითი წინადადება — პოეტურ-სტილის-ტიკური მახასიათებელი ანა კალანდაძის შემოქმედებაში

მ. ღლონტი — ბუნებითი და გრამატიკული დროის ქრონომეტრული ურთიერთმიმართებისათვის ქართულში (ქართ. მომავალი-ს საღვთისმეტყველო ასპექტები)

თ. მახარობლიძე — ზმნათა ულლების კატეგორიები ქართულ ჟესტურ ენაში

ლ. ბინიაშვილი, ლ. სოხაძე — მო- და წა- ზმნისწინიანი ნასახელარი ზმნების ერთი თავისებურებისათვის „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“

ლ. კელაურაძე — -ავ თემისნიშნიან სტატიკურ ზმნათა აწ-მყოსა და -ავ და -ამ თემისნიშნიან გარდამავალ ზმნათა | შედეგობითის ფორმათა გენეზისისათვის ქართულში

რ. ლოლუა, ი. მესხი — ხშულ-მსკდომი თანხმოვნები კავკა-სიის ალბანურში და მათი შესატყვისობანი სხვა ლეზგიურ ენებში

ნ. ოთინაშვილი — გვარსახელები და შტოგვარები ქსნის ხე-ობის მასალების მიხედვით

ნ. ჯორბენაძე — „რაც არ უნდა“ შესიტყვების შემცველი სინტაქსური კონსტრუქციისათვის ქართული მედიის ენაში

ნ. სურმავა — ნიგალი — 2012-2013 (მივლინების ანგარიში)

25 დეკემბერი, 11 საათი

ი. ჩანტლაძე, ნ. ნაკანი — ქართული ნატურმელიცინის ტერმინოლოგიურ კვლევასთან დაკავშირებული პრობლემები

მ. ჩუხუა — ზეღასართავი სახელის ქართველური სისტემა და აღმატებითი ხარისხის ერთი ფორმისათვის მეგრულ-ლაზურში

ნ. მაჭავარიანი — აფხაზური აპამპალ ლექსემის ეტიმოლოგიისათვის

ს. ოშიაძე — ადამიანის სახის აღმწერ მყარ შედარებათა ფორმობრივ-სემანტიკური ანალიზი

ნ. ლოლაძე — „პოზიციური“ პრედიკატები დგას, დევს/წევს, ზის (სემანტიკური ანალიზი)

მ. ჩაჩანიძე — იდიომურ ერთეულთა ლინგვისტურ-ლექსიკოგრაფიული კონსტრუირებისათვის ქართულში

ც. ჭანჭლავა — რიცხვითი სახელის შემცველი ფრაზეოლოგიზმებისათვის მეგრულში

თ. ბურჭულაძე — ერთი შესიტყვების უმართებულო გამოყენების შესახებ

ე. შენგელია — საყვირის შესატყვისისათვის მეგრულში

ნ. ხახიაშვილი — სიტყვა „მსხემი“ და მისი რედაქციული ვარიანტები ძველ ქართულ ტექსტებში

თ. ტეტელოშვილი — სახელური ტრანსლაციის (ადიექტივაცია-სუბსტანტივაციის) მარკერები

ნ. ფონიავა — აფხაზური ათვსთაზაარა „სიცოცხლე“ სიტყვის ეტიმოლოგიური ანალიზისათვის

26 დეკემბერი, 11 საათი

- მ. რობაქიძე — „კარგი“ ქართულ და სომხურ ენებში
- ე. გაზღელიანი — მოქმედებითი ბრუნვისნიშნისეული მორფემის ამოსავალი ფორმისათვის სვანურში
- მ. საღლიანი — მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკური შესაძლებლობანი სვანურში
- ნ. შავრეშიანი — მიმართვისათვის სვანურში
- ლ. გიგლემიანი — განუსაზღვრელობითი ზმნისართი სვანურში
- ნ. ჭოხონელიძე — ავან-/ავანგ- ფუქტა ომონიმური ცალების ისტორიისათვის
- ქ. მარგაანი-სუბარი — ექსპერიენტივი სვანურ ენაში
- ა. არაბული — წრფელობითი და მიმართებითი ნაცვალსახელის ერთი ტიპი ძველ ქართულში
- ნ. არდოტელი — *ა ხმოვნის რეკონსტრუქციისათვის ნახურ-დალესტნურ ენებში
- ლ. ფარეულიძე — კაუზატივის წარმოება და რეგრესულ-კონტაქტური ასიმილაცია ნახურ ენებში
- რ. აზმაიფარაშვილი — მახვილთან დაკავშირებული ერთი მოვლენის შესახებ ხუნძურ და ლაკურ ენებში
- რ. ლოლუა — ლეზგიურ ენათა ვოკალური სისტემები

ავთანდილ არაბული

წრფელობითი და მიმართებითი ნაცვალსახელის ერთი ტიპი ძველ ქართულში

1. ცნობილია, რომ ძველი ქართულის არსებითი სახელის ბრუნების პირველი ორი წევრი (ა. შანიძის მიხედვით) არსებითად თავისუფალი მონაცვლეობის პირობებში იმყოფება და მათი ფუნქციური გამიჯვნა საზოგადო სახელთა პარადიგმატიკის დონეზე ფაქტობრივ არ ხერხდება.

2. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ორი ფორმის სისტემური გარჩევის ეტაპი ფიქსირებულ ძველქართულამდელ პერიოდს განეკუთვნება. წერილობით ფიქსირებულ ძველ ქართულში განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის ოპოზიციის ერთი ეტაპი, ასახული წრფელობით-სახელობითის ფორმალურ დაპირისპირებაში, უკვე განვლილია და ჩვენ მოწმე ვართ გარდამავალი პერიოდის ფორმალურ-ფუნქციური კოლიზიის კლასიკური სურათისა, როდესაც პარადიგმატული ტრადიცია უპირისპირდება (ეწინააღმდეგება) ახალ ფუნქციურ სისტემას.

3. მოქმედი სისტემის დონეზე ფრიად ნიშანდობლივი ფაქტია, რომ ნაწევრიანი წრფელობითი არ დასტურდება, ანუ: არსებობს განუსაზღვრელობა-განსაზღვრულობის ოპოზიცია სახელობითის საფუძველზე [კაცი ~ კაცი იგი], მაგრამ არ არსებობს იგივე წრფელობითის საფუძველზე [კაც ~ კაც იგი].

4. ამ მოვლენის ისტორიის თვალსაზრისით მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ერთი ტიპის მიმართებითი ნაცვალსახელები, კერძოდ — **რომელი-იგი** (= „რომელიც“), რომელიც ნაწევრიანი წრფელობითის სახითაც ვლინდება:

და ხუწოდეს სახელი მისი იპ, **რომელი-იგი** ხეწოდა ანგელოსისა
მისგან ვე ყოფაღმდე მისა (ლ. 2, 21).
შდრ.: **რომელ-და-იგი** აქუნდეს, მოვე-ელოს მას (ბ. 13, 12 C).

ლ ა ლ ი ბ ი ნ ი ა შ ვ ი ლ ი, ლ ი დ ა ს ო ხ ა ძ ე

**მო- და წა- ზმნისწინიანი ნასახელარი ზმნების
ერთი თავისებურებისათვის „ქართული ენის
განმარტებით ლექსიკონში“**

მო- და **წა-** ზმნისწინებს, ჩვეულებისამებრ, ნასახელარ ფუნქცებზე დართვის შემთხვევაში, ოდნაობითი შინაარსის გამოხატვის შესაძლებლობაც აქვს. ამ ზმნისწინებით ნაწარმოები ნასახელარი ზმნების სათავისო ქცევის (ფორმალურად) სალექსიკონო ერთეულები გარკვეულ თავისებურებას გვიჩვენებს. **მო-** და **წა-** ზმნისწინიან ფორმებში (ვეულისხმობთ სათავისო ქცევას), ქველის მონაცემების მიხედვით, პირობითად, 4 ქვეჭვული გამოიყოფა:

1. ზმნები, რომლებიც მხოლოდ სათავისო ქცევის მნიშვნელობითაა წარმოდგენილი. მაგ.: მოილამაზებს, მოიმაგრებს, მოისაწყლებს, წაიგრძელებს...

მოილამაზებს (მოილამაზა, გმოულამაზებია თავისი ან თავის-თვის) გრდმ. სუბ. ქც. მოალამაზებს — მოალამაზებს თავისის ან თავისთვის, — ლამაზად მოირთავს. ქალებს ივანეს საცქერლად მოელამაზებინათ პირი (**ვაჟა**). მოვირთე, თავ-პირი მოვილამაზე და წაველი ეკლესიაში (**ლ. არდაზ.**).

2. ზმნები, რომელთაც ორი მნიშვნელობა აქვს: ერთი, წინამავლის მსგავსად, გარდამავალი, ხოლო მეორე მნიშვნელობაში ქცევა ნეიტრალიზებულია და ზმნა ვნებითის ან სტატიკური შინაარსისა ხდება. შდრ.:

მოიმხიარულებს გრდმ. 1. (მოიმხიარულა, გმოუმხიარულებია თავი) სუბ. ქც. თავს გაიმხიარულებს. სადილზე დასხდნენ და მოიმხიარულეს თავი (**ზლაპ.**). ამ სამ დღესაც მოიმხიარულა თავი კალისტრატემ და სტუმარს არ მოუწყინა (**ა. ბელ.**). 2. (მოიმხიარულა, გმოუმხიარულებია) იგივეა, რაც გამხიარულება ბედნიერმა აზრმა გაუელვა დედა-ჩემსა, მოიმხიარულა (**ლ. არდაზ.**). მოიმხიარულეს, ისაუბრეს, იოცნებეს, წარმატება უსურვეს ახალ საქმეს (**გ. ბაჩნ.**).

მოიყრუებს 1. (მოიყრუა, გმოუყრუებია) გრდმ. სუბ. ქც. ♦ **ყურს მოიყრუებს** ისე მოიქცევა, თითქოს არ ესმის; ყურს მოარი-

დებს; განზრას არ მიაქცევს ყურადღებას. მელიამ ყური მოყრუა, ვითომ არ ესმოდა (**თ. რაზიკ.**). იმედა ცოლის შერთვაზე განგებ ყურს მოყრუებდა (**ბაჩ.**). 2. (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრძულ. სტატ. ოდნავ ყრუა.

3. ზმნები, რომლებიც მხოლოდ ერთი, სტატიკური, მნიშვნელობით დასტურდება. ამ ზმნებს, ჩვენი აზრით, სტატიკურობა ოდნაობითის გამომხატველმა **მო-**, **წა-** ზმნისწინებმა შესძინა. ასეთი ზმნებია: მოიგიუებს, მოიზარტებს, მოიზარმაცებს, მოიკოჭლებს, მოიმწარებს, მოიწუწებს, წაითავხედებს, წაიკოჭლებს...

მოიკოჭლებ-ს (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრძულ. სტატ.

1. ოდნავ კოჭლია. ტაგუ სამუგია ოდნავ მოიკოჭლებს (**კ. გამს.**). 2. კარგად, საფუძლიანად არ იცის რამე, სუსტობს, სუსტია. პირველი აკორდი ისე მკრთალი და უხმოვნო იყო, რომ შალვა შეკრთა, ვაი თუ დამკგრელი მოიკოჭლებს და უნებლიერ სირცხვილი არ ვაჭიამოო (**ეპ. გაბ.**).

4. იშვიათად ასეთი ზმნები გარდაუვალი შინაარსის ორივე ვარიანტს გვიჩვენებს: პირველი — გრძმ. უობიერტო და მეორე — სტატიკური. მაგ.:

წაიზარმაცებ-ს 1. (წაიზარმაცა, წაუზარმაცია) გრძმ. ცოტას იზარმაცებს. [სტუდენტს] უკეთესად შეეძლო მომზადება, მაგრამ ალბათ წაიზარმაცა (**„ახ. კომ.“**). 2. (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრძულ. სტატ. ოდნავ ზარმაცია, — მოიზარმაცებს.

ამრიგად, შესაძლოა **მო-** და **წა-** ზმნისწინიან (ფორმალურად სათავისო ქცევის) სალექსიკონო ერთეულებში გამოიყოს (თუ, რა თქმა უნდა, სემიანტიკაც ხელს შეუწყობს) სამი ძირითადი მნიშვნელობა: 1. გრძმ. სუბ. ქც. 2. გრძმ. (ობიექტდაკარგული). 3. გრძულ. სტატ.

ეს მნიშვნელობები, როგორც ჩანს, ამ სტრუქტურის ზმნათა ისტორიულ დინამიკას ასახავს.

თე ა ბურჭულაძე

ერთი შესიტყვების უმართებულო გამოყენების შესახებ

1. ქართულში ხშირად გამოყენება შესიტყვება **აქედან გამომდინარე**. იგი მიუთითებს იმაზე, რომ მოქმედება, ამბავი ვითარდება და მომდინარეობს გარკვეული ქმედების შემდეგ: „არც წინა და არც ახლანდელი მთავრობა აღიარების მომხრე არ არის, **აქედან გამომდინარე**, ორივე მხარეს მოგვიწევს სხვა მიმართულებით გზების ქებნა“; „უფალი ადამიანებს სხვადასხვა ნიჭს და, **აქედან გამომდინარე**, სხვადასხვაგვარ პასუხისმგებლობებს ანიჭებს“; „მას არ აქვს პოლიტიკური ბიოგრაფია, **აქედან გამომდინარე**, ვფიქრობ, ამ პოლიტიკურ კლიმატში ყოფნა გაუჭირდება“.

2. დღეს პრესაში, ტელე- და ინტერნეტსივრცეში ძალზე გახშირდა ამ შესიტყვების შებრუნებული წყობა — **გამომდინარე აქედან**. ასეა არა მხოლოდ მასმედიაში, არამედ პოლიტიკოსთა თუ საჯარო მოხელეთა გამოსვლისას: „დაიბნევა ამომრჩეველი და, **გამომდინარე აქედან**, გაგიჭირდებათ ხმათა უმრავლესობის მოპოვება“; „ჩვენ წინააღმდეგი ვართ ხუდონპესის მშენებლობის განხორციელებისა, რადგან ეს არის მავნე ხაიშის თემისათვის, სვანეთისათვის, და, **გამომდინარე აქედან**, საქართველოსათვის“; „გიგანტი მაიამიში ცხოვრობს და მისი წონა 410 კილოგრამია. **გამომდინარე აქედან**, „ჰერკულესი“ კატისებრთა ყველაზე დიდი წარმომადგენელია“.

3. შესიტყვების მართებული წყობაა **აქედან გამომდინარე**. მას მხარს უჭერს, ერთი მხრივ, ტრადიცია, მეორე მხრივ კი — ქართული ენისათვის დამახასიათებელი სიტყვათგანლაგების თავისებურებანი. აქ გასათვალისწინებელია ის, რომ სიტყვათა რიგის ცვლაში მნიშვნელობა ენიჭება საკვანძო სიტყვათა აქცენტირების გზას. დასახელებულ შესიტყვებაში მოიაზრება ჯერ ის, თუ საიდან, რა ფაქტიდან გამომდინარეა მოქმედება თუ ამბავი. აქცენტი უპირველესად სწორედ ამაზე უნდა გაკეთდეს. ამიტომ ბოლო დროს გავრცელებული ასეთი წყობა არაბუნებრივია ქართულისათვის.

ელისაბედ გაზდელიანი

მოქმედებითი ბრუნვისნიშნისეული მორფემის ამოსავალი ფორმისათვის სვანურში

თანამედროვე სვანურის ბალსზემოურ და ქვემოსვანურ დიალექტებში მოქმედებითი, იარაღობითი ბრუნვის გამოსახატავად თანხმოვანფუძიან სახელებთან -უშ ხოლო ხმოვანფუძიანებთან -შუ ალომორფები გვაქვს. ბალსქვემოურში ორივე ტიპის სახელებთან -შუ ვარიანტია გაბატონებული.

ა. ონიანის ვარაუდით, მოქმედებითი ბრუნვის მორფემის არქეტიპი -უშ ფორმანტია, რომელიც ერთადერთია ხმოვნების მომდევნო პოზიციაში, რასაც მხარს უჭირს ისიც, რომ თანხმოვნების მომდევნოდ ზოგჯერ -შუსთან თავისუფლად მონაცელებს -უშ ვარიანტიც: **ჰეშე-შუ||ჰეშე-უშ „ფეხით“, ფექ-შუ||ფექ-უშ „ფქვილით“.**

საყურადღებოა, რომ სვანურ პოეზიში, სადაც რამდენადმე დაცულია ძველი სვანურის ენობრივი მონაცემები, მოქმედების, იარაღის გამოსახატავად თანხმოვანზე დასრულებულ სახელებთან -უშ ფორმანტიც დასტურდება. მაგ, **დათულ ტყენ-უშ მიდარაჭი** (პოეზ., 94: 2) „დათული კეტით მდარაჭობს“ და სხვ.

უნდა ითქვას, რომ -უშ ალომორფი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციით თანამედროვე სვანურში არ დასტურდება.

მოქმედებითი, იარაღობითი ბრუნვის: -უშ, -შუ, -უ, -უშ; -შუ ალომორფებს შორის ამოსავალი ვარიანტი უნდა იყოს -უშ ფორმანტი, რომლის დართვით ხმოვანფუძიან სახელებთან -უშ ფორმა მივიღეთ, რადგან სვანურში მორფემათა მიჯნაზე ორი ხმოვნის მიმდევრობა ფონეტიკური ცვლილებების გარეშე არ გვხვდება. -უშ მორფემის -უ ხმოვანმა ნაწილობრივი ჩედუქცია განიცადა და მივიღეთ -უშ ფორმა, რომელმაც თავის მხრივ სახელის ბოლო -ა და -ე ხმოვნები ასიმილაციით -ო'დ მიიმსგავსა, თვითონ მეტათეზისის გზით ბოლო პოზიციაში გადავიდა, სადაც ხშირად იკარგება.

ვფიქრობთ, რომ -უშ (< -უშ) ვარიანტი გავრცელდა თანხმოვანფუძიან სახელებთანაც, ხოლო -უშ მორფემას სხვა ფუნქციების გამოხატვა დაეკისრა.

ლელა გიგლემიანი

განუსაზღვრელობითი ზმნისართი სვანურში

განუსაზღვრელობითია ზმნისართი, რომელიც არ გამოხატავს კონკრეტულ ადგილს, დროს ან ვითარებას.

როგორც ცნობილია, ქართულში **-მე, -ლა(ც)** ნაწილაკების დართვით ზოგიერთი ადგილის, დროის ან ვითარების აღმნიშვნელი კითხვითი სიტყვა გადაიქცევა განუსაზაღვრელობის გამომხატველ ზმნისართად.

ბუნებრივია, სვანურსაც მოებოვება განუსაზღვრელობითი ზმნისართები, რომლებიც იწარმოება კითხვით ზმნისართებზე **-უსლე და -მოშ** ნაწილაკების დართვით: **იმუსლე||იმუსლა||იმგუალეგ „სადღაც“, „სადმე“, „შომუსლე||შომალე „როდისმე“, „ოდესლაც“, იმუიმოშ „როგორმე“ და სხვა.**

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ამ ჯუფის ზმნისართთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი.

თამარ ვაშაკიძე

კითხვითი წინადადება — პოეტურ-სტილისტიკური მახასიათებელი ანა კალანდაძის შემოქმედებაში

ანა კალანდაძის განუმეორებელ პოეტურ სამყაროს (ხელმეორედ სულჩადგმულ სიტყვებს, ქველქართულისეულ სალექსო ორნამენტებს, მოხდენილად შერჩეულ დალექტურ ფორმებს, მომაჯადოებელ მეტაფორა-შედარებებს, ეპითეტებს...) განსაკუთრებულ ელფერს სქენს კითხვით წინადადებათა სიჭარბე და ნაირსახოვნება. მხატვრულ ჩარჩოებში გარდასახული ყოფითი ელემენტები, უფაქიზეს სალექსო სამოსმი მოქცეული მიწიერი მისწრაფებანი თუ ადამიანური სურვილები თავად პოეტის სულში იღებს სათავეს და, ხშირ შემთხვევაში, სწორედ კითხვითი ინტონაციით აზიარებს მკითხველს მშვენიერებას — ანას თვალით აღაქმევინებს ყოველდღიურობაში ჩაკარგულ სილამაზეს.

კითხვები ნაირგვარია: პასუხგაცემული („ჩუ, ვინ ჩურჩულებს? — მზე და ნაძვია...“), პასუხგაუცემელი („სხივი ციური უკვდავებისა განა ოდესმე მოვა ჩვენამდე?“), ალტერნატიულ-სათუო („ია განგებამ დახატა თუ ფიროსმანის ყალამმა?“), ჩაკითხვითი („— რაისთვის აქებ ქისტებს, ბერდედაგ? მათს ვაუკაცობას, ძალას და სიმხნეს?“) და სხვ.

გხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როცა ამა თუ იმ სახის შესაძლებლობა-ეგებისობის სემანტიკა კითხვაშივეა წარმოდგენილი:

„დღედაღამ ღია უნდა იყოს

სახლი საუფლო;

იქნება შესვლა იმის ჭერქევე?

ღამით მეწადოს?

იქნება იგი შუალამით

გამომეცადოს?“

არცთუ იშვიათად **ავტორისეული პასუხი** შეკითხვაში უკვე ნაგულისხმევია, გააზრებულია:

„ო, ასეთი წუთი, დაუბრუნებელი,

შენც ხომ არ გქონია?

დაბრუნდები ისევ, დაბრუნდები ისევ,

შენც ხომ არ გგონია?“

კითხვითი ინტონაციით წარმოჩნდება პოეტის **საალბათო განწყობა თუ საგარაუდო** წარმოდგენებიც:

„ღრუბლები როკვით დაიძრნენ ქარში

და მიაშურეს ლილისფერ მთათა...

ასეთი დარი თუ იყო მაშინ,

ოდეს თბილისი აიკლეს სპარსთა?“

საინტერესო ჩანს **კითხვა-პასუხის** ფორმით დახასიათებული ლექსის გმირები (გარეგნული მონაცემებისა თუ შინაგანი მისწრაფებების, თავდადებისა თუ ნაშრომ-ნაღვაწის მიხედვით):

„და რა ქალი?! ხელის გულით სატარები...

რა თვალები?! ელვის ცეცხლის დამჭერი...“

სხვა შემთხვევაში:

„სეთი ცოდვა რა გაქვს მეფეო,

მიუტევები?

ღირსმსახურებდი ქართულ მიწა-წყალს,

რაი გადარდებს?“

გასწიე იგი „ნიკოფსიითგან
დარუბანდამდე...“

თუ ეს მაღალთა თავმდაბლობაა
ოდით და ოდით?

თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, შეფეო,
რაღა ქნან ცოდვილო,
სულის სიმშვილის, სულის სიმშვილის
ვერსით მპოველთა?

— გულზე დამადგით, ფეხი დამადგით
გულზე ყოველთა...“

შეკითხვაშივეა დახატული ბუნების სურათები:
„ჩაჩუმდა მარიამულა,
არაგვი რად არ იძინებს?“

ან კიდევ:

„ამ მშვენიერ მინდორ-ველზე
რა ნაირია ფერებია?!“

პოეტის სტიქიაა ლექსის ძირითადი საზრისის კითხვით ფორ-
მაში მოქცევა — აღტაცების, სიხარულის, მშვენიერების, თანაგრძნო-
ბის, სიყვარულის, ტკივილის, იმედისა თუ უიმედობის სხვადასხვაგა-
რად დასმულ შეკითხვებში აღბეჭდვა, რაც სათქმელს მეტი სიფაქი-
ზისა და მოკრძალების იერს ანიჭებს. ამიტომაც არის ანასეული კი-
თხვითი წინადადებით დანახული განწყობა სავსებით ნაცნობი და
ბუნებრივი მკითხველისათვის, მაგრამ ამავდროულად — მოულოდნე-
ლი და უჩვეულოც, მომნუსხველი პოეტური ძალითა და სილალით
ხორცშესხმული.

კითხვით წინადადებებში გამოკრთის —
იმედი:

„საით მოსულო ლემადევ,
ცაი ბურუსში ინთქმების...
მაშ, ერთხელაც არ ინათოს,
სხვაგვარად როგორ იქნების?“

ნუგეში:

„არაგვი ფერსით მიგიდის,
მაინც სიშორეს ჩიოდე...
ნუ შემოსწყრები, ხოშარავ,
რა ქნას, რო არა დიოდეს?“

ეჭვი:

„ვნანობ,
დავკარგეთ რაღაც...
ვიღაც მამშვიდებს,
— ქმაო:
სისულელეა ძებნა! —
გითომ? ჯიმჯიმას მთაო?“

სიყვარული:

„— სხვებიც ასევე დაკოდა
შენმა მშვილდმა და ისარმა,
განა ერთგვარად შეგიცნო
ჩემმა გულმა და სხვისამა?“

ინტერესი:

„— თქვი, არჯაკელო ხვიარა,
ქსანზე ვინ ჩამოიარა?“

აღტაცება:

„კვდება გმირი? **საშობლო ხომ გადაურჩა?**
გავზარდეო, იტყვის ქართვლის დედა!“

მარტოობის შიში:

„რკინის აივანს, მყუდრო აივანს
იშვიათად თუ ეწვევა კაცი...
სამაგიეროდ ნუშის და ცაცხვის
აქ ფოთოლცვენა ისე ხშირია...
ნუთუ ამ ფოთლებს ამ მღვიმეების,
ამ მარტოობის არ ეშინა?“

უნდობლობა:

„მითხარი: **როგორ, როგორ ვანდო**
საიდუმლო აშარსა და მსტოვარს?“

ტკივილნარევი გაოცება:

„უფალი ჩვენი გზაზე დავარდა,
ძელი სვიმონმა მხარზე გაიდო
და შეაშველა ხელი დაცემულს!
მით... რომაელმა ჯარისკაცებმა
ბრძო შეაჩვენეს, ვფიქრობ, პირფერი:

ჰე, მოსეირე არამზადებო,
გასწირეთ თქვენთვის
ჯგართამტვირთველი?“

სევდა:

„ბერა საზანდარს როცა მომართავს,
სევდა რად გიპყრობს გაუგონარი?
აუ, აფრინდა გუნდი ყორანთა?
გაი, ვის გულმკერძს დაფლეთს ყორანი?“

შეუძლებლის შესაძლებლად გარდაქცევის მოლოდინი:
„ჩემი პეპელა
ექებს ჩემს ყვავილს,
სიხარული აქვს
საუწყებელი...
მე...
მზეთა ნაცვლად...
ბნელთა მძებნელი,
მაგრამ მაუწყეთ,
შესაძლო არის
შეუძლებელი?“

განსაკუთრებით თვალშისაცემია **რისად** კითხვითსიტყვიან წი-
ნადადებებათა სიმრავლე. აღნიშნული ფორმა (როგორც მხატვრული
ხერხი) დასმულ შეკითხვას ნაღველნარევი სითბოთი აქვებს და მკი-
თხველსაც სევდიანად ჩააფიქრებს:

„ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვდგევარ,
გულო, რისად მეზურები?
სხივმიმკრთალი, სხივმიმკრთალი მკვდართა მზე ვარ,
ჩემს სხივებში თამაშობენ ბეღურები...“

ან კიდევ:

„**რისად** არ მომხედავ? თვალგანაწვიმები
მინდგრად გელოდება ლელი მკრთომარეო,
გულო, გულსა შინა ცრემლთა მაწვიმებო,
სულო, სულსა შინა სევდის მთოვარეო...“

აღსანიშნავია, რომ ზოგი ლექსი თავიდან ბოლომდე კითხვითი წინადადებებითაა აგებული. შეკითხვათა თითოეული წყება საოცარი დინამიკურიბით მიჰყვება ერთიმეორეს და ერთგვარი კითხვით-გრა-დაციული ფორმით წარმოუსახავს მკითხველს სათქმელის აზრსა და ემოციას — ქვემოთ წარმოდგენილ შემთხვევაში — ელისეს მოჩურჩუ-ლე მინდორს, მიმკრთალი ვარსკვლავის კრთობა-ციალს, მთვარეში დანახულ ასკილსა და ღვია-ბალბას, ტყის სულს... გრადაციული ზე-სვლა ლექსის ბოლოს კვლავ საწყის ემოციას უბრუნდება კითხვითი ინტონაციით:

„ასე თუ ჩურჩულებს
ელისეს მინდორი,
ასე თუ შრიალებს?
თუ ასე ნაზია
მიმქრალი ვარსკვლავის
კრთობა და ციალი,
სხივს ასე აბნევს?
ასე თუ ირხევა
მთვარეში ასკილი,
ღვია და ბალბა
და ძალმიცემული
ტყის სული რიალებს?
ასე თუ ჩურჩულებს
ელისეს მინდორი,
ასე თუ შრიალებს?“

კითხვითი წინადადებები ანა კალანდაძის შემოქმედებაში პო-ეტურ-სტილისტიკურ მახასიათებლებად წარმოგვიდგება. შეკითხვის ფორმით მოწოდებული სათქმელი სხვაგვარად ჩააფიქრებს მკი-თხველს: იგი ძალაუნებურად ექცევა დასმულ კითხვათა მაგიური ზე-გავლენის ქვეშ და თავადაც ცდილობს, საკუთარ თავში იპოვოს შე-საფერისი პასუხი.

შეკითხვის სახით შემოთავაზებული პოეტური შთაბეჭდილებე-ბი ადამიანებს სთავაზობს განცდილის ხანგრძლივად გააზრების შე-საძლებლობას, რის გამოც ისინი თავადვე გარდაიქცევიან ანას პოე-ზიის გმირებად — სულ სხვაგვარად აღიქვამენ საკუთარი მიწა-წყლის სილამაზეს, გმირ წინაპართა ნაღვაწს, „ცად გაყოლილ ღრუბლებს“,

„ვარდობისას თოვლიან მთებს“, „ლურჯ არაგვს“, „ჯეჭილში ჩაშრიალებულ თვალგახელილ ყანებს“...

,რა ეშველება ამ მოქლე ზაფხულს?“ — დასვამს კითხვას (წუთისფლის მსწრაფლწარმავლობის შესახებ) დიდი პოეტი და უპასუხებს კიდევ მას მთელი თავისი შემოქმედებით — ზნემაღალი პოეზიით, სულიერების ყველაზე მაღალი ხარისხით — სიყვარულით („იალალებით მობერილ ვარ სიყვარულისად“...).

ლევან კელაურაძე

**-ავ თემისნიშნიან სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და
-ავ და -ამ თემისნიშნიან გარდამავალ ზმნათა |
შეღეგობითის ფორმათა გენეზისისათვის ქართულში**

ჩვენი ვარაუდით, ძველ ქართულში -ავ თემისნიშნიან სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა პირველი შედეგობითის ფორმები სამვალენტიანი მოქმედებითი გვარის ზმნის აწმყოს მწკრივის მხოლობითი რიცხვის ფორმათაგან არის მიღებული ვალენტობის მკლები აქტანტური დერივაციის გზით:

1. სამვალენტიანი მოქმედებითი ზმნის აწმყოს მწკრივის სუბიექტური წყობის უზმნისწინო -ავ თემისნიშნიანი ფორმა (A – Rec/Loc – P) > ორგალენტიანი სტატიკური ზმნა (P – Rec/Loc).

A > P; P > Ø; Rec/Loc > Rec/Loc

მაგ.: 1. ვ-პ-მარხავ (ვ-პ-ფლავ...) მე (A) მას (P) მას (Rec/Loc) > ვ-პ-მარხავ (ვ-პ-ფლავ...) მე (შ) მას (Rec/Loc), პ-მარხავ-ს (პ-ფლავ-ს...) ის (A) მას (P) მას (Rec/Loc) > პ-მარხავ-ს (პ-ფლავ-ს...) ის (შ) მას (Rec/Loc);

2. სამვალენტიანი მოქმედებითი ზმნის აწმყოს მწკრივის ობიექტური წყობის უზმნისწინო -ავ თემისნიშნიანი ფორმა (A – Rec/Loc – P) > ორგალენტიანი სტატიკური ზმნა (P – Rec/Loc)

A > Ø; P > P; Rec/Loc > Rec/Loc

მაგ.: მბურავს (მფარავს...) ის (A) მე (Rec/Loc) მას (P) > მბურავს (მფარავს...) ის (P) მე (Rec/Loc), ჰმურავს (ჰრთავს, ჰრგავს, ჰფარავს...) ის (A) მას (Rec/Loc) მას (P) > ჰმურავს (ჰრთავს, ჰრგავს, ჰფარავს...) ის (S) მას (Rec/Loc);

3. სამვალენტიანი მოქმედებითი ზმნის აწმყოს მწკრივის სუბი-ექტური წყობის -ავ ან -ამ თემისნიშნიანი ფორმა (A – Ben – P) > გარდამავალი ზმნის | შედეგობითის ფორმა (A – P)

A > P; P > Ø; Ben > A

მაგ.: *მო-ხუ-კლავ მე (A) მას (Ben) მას (P) > *მო-ხუ-კლავ მას (A) მე (P) და სხვ.;

4. სამვალენტიანი მოქმედებითი ზმნის აწმყოს მწკრივის ობი-ექტური წყობის -ავ ან -ამ თემისნიშნიანი ფორმა (A – Ben – P) > გარდამავალი ზმნის | შედეგობითის ფორმა (A – P)

A > Ø ; P > P; Ben > A

მაგ.: დაუბურავს (დაურთავს, დაურგავს, დაუფარავს, დაუბამს, შთაუნთქამს...) ის (A) მას (Ben) მას (P) > დაუბურავს (დაურთავს, დაურგავს, დაუფარავს, დაუბამს, შთაუნთქამს...) მას (A) ის (P); და-მიბურავს (დამირთავს, დამირგავს, დამიფარავს, დამიბამს, დამინ-თქამს..) ის (A) მე (Ben) მას (P) > დამიბურავს (დამირთავს, დამირგავს, დამიფარავს, დამიბამს, დამინთქამს...) მე (A) ის (P) და სხვ.

,მომიკლავს“ ტიპის | შედეგობითის ფორმათა გენეზისის თაო-ბაზე მსგავსი აზრი გამოუთქვამს გ. მაჭავარიანს: „მომიკლავს (მე იგი მას) წარმოშობით სამპირიანი ზმნაა, შემდეგ კი ორპირიან სტატი-კურ ზმნად არის ქცეული“.

კოლხურ და სვანურ ენათა სათანადო მონაცემები გვავარაუდე-ბინებს, რომ აქტანტური დერივაციის ეს ტიპი უკვე საერთოქართვე-ლურში არსებობდა.

ნანა ლოლაძე

„პოზიციური“ პრედიკატები დგას, დევს წევს, ზის (სემანტიკური ანალიზი)

საგნის (ობიექტის) სივრცული ლოკალიზაციის, მდებარეობის აღნიშვნის თვალსაზრისით ენები განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს. ენების ნაწილი ირჩევს უნივერსალურ ზმნას. კერძოდ, ამ ტიპის ენებში არის ერთი მთავარი პრედიკატი, რომელიც გამოხატავს ნებისმიერ ლოკატიურ მდგომარეობას და დამოკიდებული არ არის ობიექტის ტიპზე. განსხვავებული ვითარებაა ენებში, რომლებიც ობიექტის მდებარეობის აღნიშვნისას გარკვეულ დიფერენცირებას ახდენენ. ამ ენებში ერთი და იგივე ლოკატიური მდგომარეობა შეიძლება აღიწეროს სხვადასხვა პრედიკატით, იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის ობიექტზე არის საუბარი.

მდებარეობის აღნიშვნელი ზმნები, პირველ ყოვლისა, სივრცეში აღამიანის სამ განსხვავებულ მდებარეობას აღნიშნავს: პორიზონტალურს — დფოძა, ვერტიკალურს — წოლა (დება), შუალედურს (ეწ. „მოკეცილს“) — კდომა. ეს ზმნები გამოიყენება ცხოველთა მდებარეობის, პოზის აღსანიშნავადაც. ბუნებრივია, ცხოველების მდგომარეობა სივრცული მიმართებების ცვლის თვალსაზრისით აღამიანთან შედარებით შეზღუდულია. აქედან გამომდინარე, ზოგიერთ ცხოველს სამივე პრედიკატი მიემართება, მაგ., ქართ. ძალი დგას / წევს / ზის; ზოგს — ორი: ქართ. ძროხა დგას / წევს; ზოგს კი მხოლოდ ერთი — ქართ. ბაყაყი ზის.

აღნიშნული ზმნებით გარკვეულწილად ხდება ცხოველთა სამყაროს (ფართო გაგებით) ერთგვარი კლასიფიკაცია მათი ფორმისა და მათვის დამახასიათებელი სივრცული მდგომარეობის, მდებარეობის — მათი ტოპოლოგიის მიხედვით. აქვე უნდა იღინიშნოს, რომ ზოგჯერ პრედიკატის შერჩევის პრინციპი ნათელი არ არის, ტოპოლოგიური კომპონენტი ერთგვარად დაჩრდილულია, განსაკუთრებით ზის პრედიკატის შემთხვევაში, მაგ., კუ ზის, თაგვი ზის.

განსაკუთრებით საყურადღებო სურათს გვიჩვენებს ენები უსულო აბიექტების მდებარეობის აღნიშვნის თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში ტოპოლოგიურ საფუძველზე ობიექტების კლასიფიცირება კიდევ უფრო არათანმიმდევრული ჩანს. უსულო საგნებს შემდევნაირად აჯგუფებენ: ერთი მხრივ, გამოიყოფა ზევით წაგრძელებული, „ვერტიკალურად ორიენტირებული“ ობიექტები, მეორე მხრივ, ბრტყელი, „ჰორიზონტალურად ორიენტირებული“ ობიექტები. მოსალოდნელი იყო, რომ ამ ობიექტების მდებარეობა შესაბამისი ზმნებით (ზოგადად, „დგომა“, „დება“) აღნიშნულიყო, მაგრამ აშკარაა, რომ ენებში ეს მიმართება ასე ცალსახა არაა. ერთი მხრივ, მსგავსი მახასიათებლების მქონე ობიექტებს სხვადასხვა პრედიკატი მიემართება; მეორე მხრივ, ობიექტთა ნაწილის აღწერა ჰორიზონტალური / ვერტიკალური მიმართებებით „მეტისმეტად მეტაფორულია“.

რომან ლოლუა, იამზე მესხი

ხშულ-მსკდომი თანხმოვნები კავკასიის ალბანურში და მათი შესატყვისობანი სხვა ლეზგიურ ენებში¹

სხვა ლეზგიურ ენათაგან განსხვავებით, რომლებშიც ხშულ-მსკდომთა ოთხეულებრივი ან ხუთეულებრივი სისტემები დასტურდება, კავკასიის ალბანურსა და უდიურისათვის დამახასიათებელია ხშულთა სამეულებრივი სისტემა (მუღლერი, ფშვინვიერი, აბრუპტივი კავკასიის ალბანურისათვის, ხოლო უდიურისათვის — მუღლერი, ფშვინვიერი, პრერუპტივი). კავკასიის ალბანურში ხშულ-მსკდომთა სამი ლოკალური რიგი გამოიყოფა: ბაგისმიერთა (**ბ**, **ვ**, **პ**); კბილ-ბაგისმიერთა (**ლ**, **თ**, **ტ**) და უკანაენისმიერთა (**გ**, **ჭ**, **ჭ**). უვულარული თანხმოვნები კი, სავარაუდოდ, აფრიკატთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ.

¹ ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი: 189/2-120/12).

ბ ბგერა: საერთოლეზგიური *ბ ბგერა თითქმის ყველა ლეზგიურ ენაში ორი ძირითადი რეფლექსითაა წარმოდგენილი (ბ და უ). სიტყვის ანლაუტში და უკანა რიგის უმახვილო ხმოვნების წინ *ბ ბგერა რეგულარულად გვაძლევს უ ბგერას. ეს პროცესი არ განხორციელდა კავკასიის ალბანურ, უდიურსა და არჩიბულ ენებში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნული პროცესი განვითარდა ამ ენების საერთოლეზგიური ერთობიდან გამოცალკევების შემდეგ. ლეზგიურ ენაში სიტყვის ანლაუტსა ან ინტერვოკალურ პოზიციაში მახვილიანი ხმოვნის წინ აღნიშნება *ბ > ფ (ზოგჯერ ბ) პროცესი. ამას გარდა, ლეზგიური ენებისათვის დამახასიათებელია *ბ ბგერის დაყრუება სიტყვის აუსლაუტში. ასეთ შემთხვევაში *ბ-მ შეიძლება მოგვცეს ფ, ბ ან ფა (თაბასარანულსა და აღულურში ამ პოზიციაში *ბ > უ). თაბასარანულში, წახურში, ხინალულურში, არჩიბულსა და უდიურში დასტურდება *ბ > ბ პროცესიც.

| ბ
ე
რ
ა |
|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|
| ბ | ბ | ბ,
უ | ბ,
ფა | ბ,
უ, | ბ,
უ | ბ | *ბ |

ბ ბგერა: კავკასიის ალბანურსა და უდიურში ხშირად დასტურდება სახელური და ზმნური ფორმების ანლაუტში და წარმოადგენს ნივთის გრამატიკული კლასის გაქვავებულ ნიშანს. საერთოდაღესტნურმა *ბ- კლასის ნიშანმა სხვა ლეზგიურ ენებში (არჩიბულის გარდა) მოგვცა *უ-. მას შეიძლება სხვა კლასიფიკატორებიც შეესატყვისებოდეს, თუმცა ხშირად კლასის ექსპონენტი მონათესავე ლეზგიურ ენებში საერთოდ დაკარგულია.

ფ ბგერა: საერთოლეზგიური *ფ ბგერა იდენტური ბგერათშესატყვისობის მიხედვით აღდგება, თუმცა ფ ბგერა ლეზგიურ ენებში შეიძლება ზოგიერთი კომბინატორული თუ სპონტანური ცვლილებების შედეგადაც იყოს მიღებული.

კავშირის კავშირი	ჰ	ჲ	ლ	თ	ჩ	რ	დ	ე	ბ	წ	ა	ს-ლეტები
ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	*ფ
ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	*ფ

პ ბგერა: პ არ აღდგება არც საერთოდაღესტნურ და არც საერთოლეზგიურ დონეზე. კავკასიის ალბანურში **პ ბგერის** მიღების ორი გზა შეინიშნება:

ლაბიალიზებული უფლარული აბრუპტიული თანხმოვნისაგან (*ყ^w);

ბაგისმიერთა რიგის მუღერი წევრისაგან (*ბ).

დ ბგერა: იმის მიუხედავად, რომ *დ ბგერა ლეზგიურ ენებში ძირითადად უცვლელადაა დაცული, მაინც შეინიშნება გარკვეული კომბინატორული თუ სპონტანური ცვლილებები. განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ლეზგიური ენა გამოირჩევა. დაბალი აწეულობის ხმოვნების წინ ხდება *დ ბგერის დაყრუება და იგი გვაძლევს თ-ს, თა-სა ან ტ-ს, ხოლო მაღალი აწეულობის ხმოვნების წინ *დ გადადის სისინა აფრიკატებში (ც, ცჲ, წ), ზოგჯერ კი — შიშინა აფრიკატებში (ჩ, ჩა, ჭ). ამას გარდა, ლეზგიურ ენებში გავრცელებულია: ბოლოკიდური *დ ბგერის დაყრუება (რუთულური, ხინალულური, აღულურის ზოგიერთი თქმა); *დ-ს გადასვლა ნ ბგერაში (წახური, არჩიბული, უდიური, ხინალულური); *დ > რ (თაბასარანული და აღულური ენების ზოგიერთ თქმაში); *დ > ვ (თაბასარანული ენის ტივაქის თქმაში); *დ > თ ინტერვოკალურ პოზიციაში (არჩიბული). თაბასარანულსა და ხინალულურში დასტურდება *დ ბგერის აფრიკატიზაცია და გადასვლა შიშინა აფრიკატებში, ხოლო აღულურში — სისინა აფრიკატებში.

კავშირი	ულ.	ლეჭიზ.	თაბ.	აუ.	რუთ.	წახ.	ქრიტ.	ბულ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეჭიზ.
ჩ	ჩ, ნ, Ø	ჩ, თ, ტ, თა, ც, წ, ც	ჩ (რ ვ)	ჩ (რ)	გ	გ, ჩ, წ	გ	გ	ჩ, ნ, თ, ჩა, Ø	ჩ, ნა	*ჩ

თ ბგერა: საერთოლეზგიური *თ ლეზგიურ ენებში უცვლელადაა დაცული და იდენტური ბგერათშესატყვისობის საფუძველზე აღდგება:

კავშირი	ულ.	ლეჭიზ.	თაბ.	აუ.	რუთ.	წახ.	ქრიტ.	ბულ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეჭიზ.
თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	თ	*თ

ტ ბგერა: საერთოლეზგიური *ტ ბგერა ლეზგიურ ენებში, როგორც წესი, დაცულია, თუმცა გარკვეული ცვლილებები მაინც შეინიშნება. ტ ბგერა კავკასიის ალბანურში შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც საერთოლეზგიურ *ტ-ს, ისე *დ-საც.

კავშირი	ულ.	ლეჭიზ.	თაბ.	აუ.	რუთ.	წახ.	ქრიტ.	ბულ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეჭიზ.
ტ	თ, Ø	ტ, წ	ტ, წ, თა, წ	ტ, წ	ტ, ღ	ტ, Ø	ტ	ტ	ტ, ს	ტ	*ტ

გ ბგერა: მაგალითები გვიჩვენებს, რომ საერთოლეზგიურ *გ-ს კავკასიის ალბანურში გ ბგერის გარდა გ-ც შეესატყვისება. *გ ბგე-

რა, თავის მხრივ, ბგერათშესატყვისობათა შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება:

კაცუ-ალბ.	ულ.	ლეზ.	თაბ.	ან.	რუთ.	წახ.	კრიტ.	ბულ.	ხინ.	არჩ.	ს-ლეზ.
ბ, ქ	ბ, ქ	ბ, ქ	ბ	ბ	ბ, ქ	ბ	ბ	ბ	ბ, ქ, კ	ბ, ქ, ქ	*ბ

ქ ბგერა: საერთოლეზგირი *ქ ლეზგიურ ენებში უცვლელადაა დაცული:

კაცუ-ალბ.	ულ.	ლეზ.	თაბ.	ან.	რუთ.	წახ.	კრიტ.	ბულ.	ხინ.	არჩ.	ს-ლეზ.
ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	*ქ

გ ბგერა: საერთოლეზგიური *გ ლეზგიურ ენებში თითქმის არ განიცდის ცვლილებებს. როგორც ალინიშნა, გ ბგერა კავკასიის ალბანურში შეიძლება საერთოლეზგიურ *გ-საც უკავშირდებოდეს.

კაცუ-ალბ.	ულ.	ლეზ.	თაბ.	ან.	რუთ.	წახ.	კრიტ.	ბულ.	ხინ.	არჩ.	ს-ლეზ.
ქ	ქ	კ, ქ	ქ	ქ	კ, ხ	ქ	ქ	ქ	ქ, Ø	ქ	*ქ

შემოთავაზებულ ბგერათშესატყვისობათა ფორმულების დამადასტურებელი მაგალითები მოხსენებაში იქნება წარმოდგენილი.

ქეთევან მარგიანი - სუბარი

ექსპერიენტივი სვანურ ენაში

ექსპერიენცია არის ზმნის პერფექტული ფორმების სემანტიკული მახასიათებელი, რომლითაც მთქმელი გამოხატავს, რომ კონკრეტული მოქმედება (მოვლენა) განხორციელდა წარსულში თუნდაც ერთხელ (ან არასოდეს); პერფექტის ეს სახეობა შეიძლება გულისხმობდეს როგორც მომენტობრივ, ისე იტერატიულ, ანუ მრავალგზისობის შინაარსს, მაგრამ აქცენტი ყოველთვის თავად მოქმედების ფაქტზეა. მაგალითად: „მიჭამია“ = „ნაჭამი მაქვს“, „შემიკერავს (მე ის)“ = „შეინაკერი მაქვს“. ექსპერიენტივს დისტანციური, მოქმედებითი ან აქციონალური აწყობს პერფექტის სახელითაც მოიხსენიებენ.

ქართველურ ენებში საანალიზო სემანტიკური კატეგორიის (ექსპერიენციის) გამოხატვის ფუნქცია თურმეობითებს აქვთ შეთავსებული, თუმცა სვნურსა და სალიტერატურო ქართულ ენაში ამ მხრივ სხვადასხვა ვითარებაა;

ვინაიდან ახალ ქართულში | თურმეობითის გამოყენებისას ჩნდება უნახაობის სემანტიკა, ამიტომ ერთი და იგივე ფორმა შეიძლება ერთ შემთხვევაში ექსპერიენციული იყოს, სხვა კონტექსტში კი ოდენ უნახაობას გამოხატავდეს; შიდრ.: „ლევანს დათვის ხორცი არა-სოდეს უჭამია (= აქვს ნაჭამი)“ და „ლევანს სამსახურში წასვლის წინ საუზმე უჭამია (= თურმე ჭამა)“. „მე აქ ოდესღაც ვყოფილვარ (= ნამყოფი ვარ ან თურმე ნამყოფი ვყოფილვარ)“.

სვანურ ენაში პირველი თურმეობითის (resp. შედეგობითის) ქართულისებური წარმოების უპრეცენტო ფორმას, ქართულისგან განსხვავებით, უნახაობის გამოხატვის უნარი არა აქვს, ის ნებისმიერ კონტექსტში სწორედ მხოლოდ ექსპერიენციულია:

ალ ზურალს შართერინი ხ-ო-შებ-ა — „ამ ქალს საბანიც უკერავს = აქვს 『შეინაკერი』 (= „თურმე 『შეუკერავს, ჰქონია შეინაკერი“); **გიორგის მესტიას დემჩიქს ხ-ო-ჩდ-ა** — „გიორგი მესტიაში არასოდეს ყოფილა = არის ნამყოფი“ (= „თურმე არასოდეს ყოფილა“);

ხოლო თუ უპრევერბო ფორმამ უნახაობაც უნდა გამოხატოს (ექსპერიენციულობასთან ერთად), მაშინ ზმნა უსათუოდ დაირთავს -ენ სუფიქსს, । თურმეობითისთვის დამახასიათებელი სასხვისო ქცევისებური სტრუქტურა (ნიშანი ო) კი საარვისო ქცევის ნიშნით (ა) შეიცვლება:

ალ ზურაბს შართქუინი ხ-ა-შბ-ენ-ა — „ამ ქალს საბანიც უკერავს თურმე =ჰქონია [შე]ნაკერი“ (= „აქვს ნაკერი“);

გიორგის მესტიას დემჩიქს ხ-ა-ჩდ-ენ-ა — „გიორგი მესტიაში არასოდეს ყოფილა თურმე = ყოფილა ნამყოფი“ (= „არის ნამყოფი“);

-ენ-იან ფორმების გამოყენებისას უნახაობის სემანტიკა კონტექსტიდან გამომდინარე კი არ ჩნდება, არამედ ისინი ნებისმიერ ვითარებაში ცალსახად მხოლოდ ამ სემანტიკის მატარებელნი არიან (უპრევერბო ფორმათა პირველი სახეობის საპირისპიროდ).

მსგავსი ვითარებაა მეორე თურმეობითის უპრევერბო ფორმებთან მიმართებითაც, ოღონდ ამ შემთხვევაში მოქმედების ფაქტი წინარეწარსულში განიხილება.

ვფიქრობთ, შედეგობითების პირველადი ფუნქცია, პერფექტულობასთან ერთად, სწორედ ექსპერიენციის გამოხატვა უნდა ყოფილიყო, ხოლო მას შემდეგ, რაც იღნიშნულმა მწკრივებმა „უნახაობაც“ შეითავსეს, სვანურში ორი სემანტიკის განსასხვავებლად -ენ სუფიქსი განვითარდა.

ნანა მაჭავარიანი

აფხაზური აჭამპალ ლექსემის ეტიმოლოგიისათვის

აჭამპალ აფხაზურად აღნიშნავს მოხარშულ ცომს, რომელსაც პირამიდისებური ფორმა აქვს. ეს არის სარიტუალო საკვები, რომელსაც ახალ წელს ხარშავენ. ერთ-ერთ ასეთ ცომში დებენ თხილის

ჯოხის პატარა ნატეხს... ვისაც ხოჯის ნატეხიანი მოხარშული ცომი შეხვდება, იმ წელიწადს სიკეთე ექნება.

მოხსენებაში გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ **აჰამპალ** სიტყვა კომპოზიტს უნდა წარმოადგენდეს: **აჰა+მპალ**, პირველი კომპონენტი **აჰა „მსხალი“** უნდა იყოს, მეორე კომპონენტი კი **მბალ** ნასესხები ჩანს: ქართული **კვერი** >მევრული **კვარი** > აფხაზური (გ) **ბალ**. კვ კომპლექსისაგან მიღებული უნდა იყოს პ ბილაბიალური ხშული, პ განვითარებულია პ-ს წინ — სიტყვასიტყვით: „მსხალკვერი“. ბერძათა ასეთ შერწყმას აღნიშნულ ენებში სისტემური ხასიათი არ აქვს, მაგრამ საკმაოდ ხშირად გხვდება (კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალურ ხშულებს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა აკად. ქ. ლომთათიძემ).

თამარ მასარობლიძე

ზმიათა ულლების კატეგორიები ქართულ უესტურ ენაში

ქართულ უესტურ ენას აქვს სათანადო ლინგვისტური შესაძლებლობები იმისთვის, რომ ზუსტად წარმოაჩინოს ქართული სამეტყველო ენის ზმიის მორფოლოგიური სემინტიკა და აუღლოს ზმია 11 მწკრივის მიხედვით. კინეტიკური ფორმები ასახავენ სამეტყველო ენის შესაბამის დერივაციულ და ფლექსიურ კატეგორიებს. მოხსენებაში განვიხილავთ კონკრეტული ზმიის უღლებას და უღლების ფორმათა მაწარმოებელ კინეტიკურ მარკერულ უესტებს.

ზმიის სტრუქტურა ქართულ უესტურ ენაში განსხვავებულია სამეტყველო ქართული ენის შესაბამისი ფორმებისგან. მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ქართული უესტური ენის ზმნებს აქვთ შემდეგი რანგობრივი წყობა:

1. სუბიექტური პირი
2. დროის ნიშანი — წარსულის ან მომავლის უესტი

3. კილოს ნიშანი
4. კონტაქტის ნიშანი
5. %მნის ცენტრალური ლექსიკური ფორმა
6. განგრძობითობის ნიშანი ან გზისობის ნიშანი
7. ობიექტური პირები, მიმართებისა და ობიექტის ნიშნები
8. (უნახაობის აქტის ნიშანი)
9. %მნისწინი ან სივრცითი ერთეული

ძალიან მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ხშირად ხდება კომპონენტთა გადაადგილება. საჭიროა, შეიქმნას ენობრივი კომისია, რომელიც შეისწავლის ყველა შესაძლო ვარინტის მიზანშეწონილობას და მყარ მეცნიერულ არგუმენტებზე დაყრდნობით ჩამოაყალიბებს ქართული ჟესტური ენის ნორმებს და გამოავლენს ამ ნორმების ფარგლებში დასაშვები ვარიაციების კონკრეტულ ფორმებს.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

გვარსახელები და შტოგვარები ქსნის ხეობის მასალების მიხედვით

ისტორიულად ქსნის ხეობის სოფლების დასახლება ერთგვარობრივია, ცალკეული უბნები მკაფიოდ გამოიყოფა. ეს უბნები ერთი გვარის ან რამდენიმეს შთამომავალთა, მამა-პაპის განაყოფთაგან არის ძირითადად დასახლებული. ასეთი უბნებისა და მცირე სოფლების სახელები ხშირად აქაურ მცხოვრებთა გვარსახელთაგან არის ნაწარმოები.

ხეობის გვარსახელებისა და შტოგვარების აღდგენისათვის ჩაწერილი საველე მასალების გარდა, უპირველესი წყარო ამ თვალსაზრისით არის „ქსნის ხეობის 1774-82 წლების სტატისტიკური აღწერის მასალები“. ამ საკითხებზე, ძირითადად დიალექტოლოგიური მასალების მოძიებისათვის, გამოვლენებული გვაქვს რამდენიმე წერილი (იგრეთვე წაკითხულია მოხსენებების სახით).

ამჟამად ჩვენი მიზანია, განვიხილოთ გვარებისა და შტოგვარების მიმართება. ყურადღებას ძირითადად გავამახვილებთ ძველი და-სახლებული პუნქტებისა და ნასოფლარების როგორც ისტორიული, ისე დღევანდელი მონაცემების მასალებზე, რომელთა აღდგენა და ანალიზი აუცილებლად მიგვაჩნია.

ზემოხსენებული დავთრის (სტატისტიკის) მიხედვით, ხეობაში ძირითადად გავრცელებული იყო **-ები**, **-შვილი**, **-ური** სუფიქსიანი გვა-რები. ამავე დროს, წყაროში ზოგიერთი სოფლის (სოფლების) მცხოვრებთა გვარები წარმოდგენილია **-ანთ** დაბოლოებით, ეს ტიპი იმ დროისათვის ან ფორმირების პროცესში იყო, ან — უკვე ჩამოყა-ლიბებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ტიპის წარმოება ტრადიციული იყო, ხოლო შემდგომ იგი (-**ანთ** სუფიქსიანი ფორმები) ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ქართულისათვის. „**სტატისტიკაში**“ **-ანთ** სუფიქსიანი წარმოება დასტურდება სოფლებში: ჭორჭობში, კორინთაში, შატაკთ კარში, პავლიაანთ კარში, ჩიტიაანთ კარში, უკანუბანში, თოხთაში, აბუთყარსა და სხვ.

ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა ძ ე

ადამიანის სახის აღმწერ მყარ შედარებათა ფორმობრივ-ხემანტიკური ანალიზი

ადამიანის ცნებასთან დაკავშირებულ სემანტიკურ ლექსიკონში გარეგნობის აღმწერ ერთკომპონენტიან ლექსებთან ერთად თავი უნდა მოიყაროს იმ მასალამ, რომელშიც ადამიანის გარეგნული მხა-რის დასახასიათებლად გმოყენებულია შედარება, როგორც ინტელექ-ტუალური ქმედების უძველესი და უნივერსალური სახე და, ამავე დროს, როგორც სპეციფიკური ეროვნულ-ენობრივი შემოქმედების ნი-მუში.

მყარი შედარებების სემანტიკაში ეროვნული მსოფლებელი ირეკლება. ადამიანი მეორე ადამიანის გარეგნობის დასახასიათებლად

ნაცნობი რეალიის დომინანტურ ნიშანს ირჩევს, რითაც გამოსახატავ მნიშვნელობას მეტ ექსპრესიულობას სძენს. თავის მხრივ, შესადარებლის დომინანტური ნიშნის წარმატებით შერჩევა კონკრეტულ ენობრივ ერთობაში მის საყველთაობას მიუთითებს. ჩვენ შევეცადეთ სწორედ მხოლოდ ის ერთეულები დაგვეჯუფებინა, რომლებიც ქართულ ლინგვისულტურაში სტერეოტიპულობით ხასიათდება. ამჯერად განვიხილავთ ადამიანის სახის (პირისახის) დასახასიათებელ მყარ შედარებებს.

მასალა სემანტიკურ ჯგუფებად შეიძლება დაიყოს იმის მიხედვით, თუ რა ზოგადი ნიშანია გამოსახატავად არჩეული (მაგ., მოყვანილობა; სიღიღე; ფერი; გამომეტყველება ...), ან იმის მიხედვით, თუ რას ედრება დასახასიათებელი (მაგ., ბუნების ობიექტებს; ბუნების მოვლენებს; ცოცხალ ორგანიზმებს; კულტურულ მოვლენებსა თუ სხვ.), საკლასიფიკაციო ნიშნად ასევე შეიძლება გამოიყოს სტილური კუთვნილება ან დადებითი თუ უარყოფითი კონოტაციები.

განხილული მყარი შედარებების ფორმობრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ სახის აღმწერ ატრიბუტულ სინტაგმებში შედარება-მსგავსება გამოიხატება სხვადასხვა თანდებულითა და დერივაციული აფიქსით (მჭადი-გით/ოვალ-ური/ანგელოზის-ებური/თამარ მეფის-თანა/ცხენის-ნაირი/ბაგშვის მხგავსი ... სახე), რაზედაც მოხსენებაში ვრცლად იქნება საუბარი.

მერაბ რობაჭიძე

„კარგი“ ქართულ და სომხურ ენებში

1. „კარგ“ სიტყვა ძველქართულ და ძველსომხურ ტექსტებში (ბიბლიაში, ისტორიულ წყაროებში) ხშირად იხმარება და მათი სემანტიკური ურთიერთმიმართება და ეტიმოლოგიური კვლევა ქართულ-სომხური ლექსიკური ურთიერთობების თვალსაზრისით საყურადღებო და საინტერესოა, მით უფრო, რომ მკვლევართა ინტერესის

მიღმა არ არის დარჩენილი. მის შესახებ გარკვეული თვალსაზრისები გამოთქმული აქვთ როგორც სომები, ისე ქართველ ენათმეცნიერებსა და ლექსიკოგრაფებს. ეს სიტყვა ორივე ენაში ცოცხალია და ფართოდ გამოიყენება.

2. „ვეფხისტყაოსნის“ იმ სტრიქონის განმარტებისას, რომელშიც ნათქვამია: „უბოროტო ვის ასმია რაც ა **კარგი** საეშმაკო“, თეომურაზ ბატონიშვილი წერს: „კარგი“ ქართულში ორ სახედ განიმარტება: „კარგი“ კეთილს რასმე ნიშნავს; კარგად და წესიერად, ანუ კადნიერად საქმესა რასმე ქმნილსა, ანუ ნივთსა. **კარგი ან კარქი „რიგსა“ ნიშნავს** და, რაც რომ ეშმაკისაგან გარიგებული ან განწესებული საქმე არის, ის მარადის ბოროტი არის და სასოწარკვეთილება და ყოვლითურთ უიმედობა რომ მიიღოს კაცმა, სრულიად იმედი გარდაიწყვიტოს, რადგანაც ჭირში ჩავარდი, აღარა მეშველება რაო, ეს ეშმაკის მიერი ბოროტი **განკარგულება და გარიგება** იქმნება. **კარგი საეშმაკო** — ეშმაკის მიერ გარიგებული და **რიგ-მიცემული**“. დ. კარიჭაშვილი ამ სტრიქონის „**კარგი**“ განმარტავდა ამგვარად: „**კარგი** აქ ნიშნავს კეთილს კი არა, არამედ **განკარგულებას, გარიგებას, საქმეს**“. ასევე განმარტავს იუსტ. აბულაძე. მისი სიტყვით, „**კარგი**“ აქ უნდა გავიგოთ როგორც „**წესი**“, „**რიგი**“, „**ნაქმარი**“, „**სახიობა**“ (იუსტ. აბულაძე; მ. ჭანაშვილი). ასეთ განმარტებას მხარი დაუჭირა ვ. ნოზაძემ, რომელმაც ასე შეაფასა გამოთქმული შეხედულება: „მაშასადამე: ავთანდილი ტარიელს შემდეგს ეუბნება — ვის გაუგონია უბოროტო, ანუ კეთილი, რაც არის საეშმაკო **რიგისათ?** — ესე იგი: რაც არის საეშმაკო **რიგის**, ის კეთილი არ არის — **უბოროტო ვის ასმია, რაც ა კარგი საეშმაკო?**“ (ვ. ნოზაძე).

3. „კარგ“ სიტყვას რომ „კეთილისა“ და სხვა ახლომდგომ მნიშვნელობათა გარდა „წესის“, „რიგის“ / „რიგიანის“ / მნიშვნელობებიც აქვს, ეს ნაჩვენებია როგორც სულხან-საბას, ისე დავით და ნიკო ჩუბინაშვილების ლექსიკონებში; მათ მიერვე მითითებულია ადგილები ბიბლიიდან ორივე მნიშვნელობით. ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამ ლექსიკონთა მითითებებს „**კარგის**“ სომხური წარმომავლობის შესახებ. საბას მიერ აღნიშნულია შემდეგი: **„კარგი“ რიგია სომხურად და ჩვენს მწერლებს ზოგან გაუსინჯაობით „კარქის“ ნაცვლად „კარგი“ დაუწერია. „კარგი“ კეთილს ჰქვიან, ხოლო „კარქი“ — რიგსა.**

უნდა ითქვას, რომ ამგვარი ფონეტიკური განაშილება ამ სიტყვისა ქართულში არ დასტურდება. გვაქვს მხოლოდ ერთი დაწერილობით გამოსახვა — „**კარგი**“. ისიც აღსანიშნავია, რომ ქართულში ამ სიტყვის სემანტიკა უფრო ფართოა სომხურთან შედარებით. პირველში „კეთილის“ გარდა აღნიშნავს „რიგსაც“, მეორეში კი — მხოლოდ „წესრიგის“, „რიგის“ მნიშვნელობა აქვს (იშვიათად ქართულის „კარგის“ შესატყვისად სომხურსა და ბერძნულში დასტურდება ქეთეცქეც და თანაც სიტყვები = ლამაზი (ეს. 5,9). „კარგ“ სიტყვის სომხური წარმომავლობის შესახებ ქართულში მიუთითებს აგრეთვე ცნობილი სომები ენათმეცნიერი ჰრ. აჭარიანი (პრ. Աճառյան). როგორც ჩანს, იგი იმეორებს ნ. მარის თვალსაზრისს.

4. „**კარგ**“ სიტყვის სომხური მეშვეობა ქართულში დაუსაბუთებელი და, ამდენად, მიუღებელია. ქართულ და სომხურ ენებს მოეპოვებათ უამრავი **საერთო ხმარების სიტყვა**, რომელთა წარმომავლობა უცნობია. ბევრი მათგანი მხოლოდ ამ ენათა კუთვნილებაა და მათ ქართულ-სომხურ საერთო ხმარების სიტყვებს უწოდებენ (ილ. აბულაძე; მ. ანდრონიკაშვილი). მათი წარმომავლობის გარკვევას საგანგებო კვლევა და დასაბუთება სჭირდება. თავის დროზე ი. ჭავჭავაძემ გამოთქვა თავისი მოსაზრება ნ. მარის მიერ მიჩნეულ რიგი ქართული სიტყვების „სომხური წარმომავლობის“ შესახებ. სწორი ენათმეცნიერული მეთოდოლოგიის მომარგვებით სამართლიანად გააჩრიტიკა ნ. მარის დაუსაბუთებელი შეხედულება ქართულ ენაში რიგი სომხური ლექსიკური ერთეულების სესხების თაობაზე: „ბატონი მარი გვიცხადებს, რომ ქართულმა ბევრი სიტყვა სომხურისა მითვისაო... ბანაკი, მუშაკი, სპეტაკი, უამი, ქალაქი, სენაკი, **კარგი**, წესი, მატიანე, პატივი, ჭეშმარიტი და ბევრი სხვა სულ სომხური სიტყვებია ქართულში გადატანილი. ესეც იქნება მართალი იყოს, ხოლო ჭერ კიდევ ღმერთმა იცის — ეს სიტყვები სომხურისაგან მიუღიათ ქართველებს, თუ ქართველებისაგან სომხებს. ჩვენ აქ არც ერთის დამტკიცება გვინდა, არც მეორისა, ხოლო გვიკვირს ასე გადაწყვეტილად ლაპარაკი იქ, საცა არავინ იცის, ჭერ რა გამოვა რისაგან და ბ-ნება მარმა რად ინება ასეთი ლაპარაკი?“ (ი. ჭავჭავაძე). შემდეგ ი. ჭავჭავაძეს მოაქვს ქართულ-სომხური კულტურის მცოდნე მეცნიერთა — ცნობილ ლინგვისტთა — ბიურნუფის, ლენორმანის, რაულ-სონის შეხედულებები, რომელთა მიხედვით, ქართული კულტურის

როლი სომხურ სინამდვილეში მნიშვნელოვანია, ამასთან, იმოწმებს ქართულ-სომხური ენების მცირდნე მეცნიერს — გატერიას: „სომხური ენის ბევრი ძირკვები წმინდა ქართული ელემენტისაგან სწარმოებენ და უქართულოდ იმათი ახსნა შეუძლებელია“ როგორც ვხედავთ, „**კარგის**“, ისევე როგორც სხვა სიტყვების, სომხური წარმომავლობა ქართულ ენაში ი. ჭიგჭავაძეს საეჭვოდ მიუჩნევია სათანადო დასაბუთების გარეშე.

5. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „კარგის“ დაკავშირება **რიგის** სემანტიკასთან სწორად არის შემჩნეული, პირველ რიგში, ი. ბატონიშვილის და შემდეგ გაზიარებული — სხვათა მიერ „ვეფხისტყაოსნის სტრიქონში — „უბოროტო ვის ასმია, რაც ა **კარგი** საეშმაკო“. „ვეფხისტყაოსნი“ არაერთხელ ვხვდებით შესიტყვებებს „კარგი ყმა“, „კარგი მოყმე“, ეხვდებით ოგრეთვე „კარგ“ სიტყვიდან ნაწარმოებ — „**საკარგავს**“. ტარიელი ამბობს, რომ ინდოეთის მეფე ფარსადანს მისთვის უბოძებია „სრული საკარგავი“: „ასი უბოძა საჭურჭლე, ებრძანა ახდა შავისა, / ბოძება მისეულისა სრულისა საკარგავისა: / შენ გქონდეს ამირბარობა, ქმნა მისვე საურავისა“. აქ ლაპარაკია იმ უფლებამოსილებაზე /სახელოზე/, რომელიც ტარიელს მიუღია მეფისგან მამის გარდაცვალების შემდეგ — ეს არის ამირბარობა, რომელიც სარიდანს ჰქონდა ბოძებული ფარსადანისგან, როგორც „**საკარგებო**“ ანუ ტარიელი **საკარგავის** სახით ღებულობს მამისეულ **საკარგებოს**; ისიც, როგორც **კარგი ყმა**, ღირსი ხდება ამ სახელოსი. ა. შანიძის მიერ პოემის ამ სტრიქონში მოხსენიებული „**საკარგავი**“ განმარტებულია როგორც „სახელო, საგამეო“ (ა. შანიძე); იუსტ. აბულაძე ამავე სიტყვას ასე განმარტავს: „სამართავი, საუფრისო“ სიტყვის ფურქე — „**კარგი**“ აქაც უკავშირდება გარკვეული **წესისა** და **რიგის** აღსრულებას. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ნიკო და დავით ჩუბინაშვილისეული განმარტებები. პირველის მიხედვით „**საკარგავი**“ არის „**გასარიგებელი**“, „სახელო“, ხოლო მეორის თვალსაზრისით კი ეს სიტყვა ახსნილია როგორც „**განსაგებელი**“ распорядительный, заведываемый. სახელო, **გასარიგებელი**“ (ორივე ლექსიკონი იმოწმებს „ვეფხისტყაოსნის“ ამ ადგილს) (ნ. ჩუბინაშვილი; დ. ჩუბინაშვილი).

მედეა საღლიანი

მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკური შესაძლებლობანი სვანურში

ცნობილია, რომ ობიექტის სიფრცული ლოკალიზაციის აღსანიშნავად ენები სხვადასხვა საშუალებას იყენებენ, მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი სწორედ მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს უჭირავს, რომელთა შესწავლას ბოლო ათეული წლების ლინგვისტურ კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ცხადია, სიგრძული მიმართებების ენობრივი რეალიზაციის თვალსაზრისით ენებში განსხვავებული ვითარებაა (ჭ. ნეგბანი), რასაც ქართველურ ენათა მონაცემებიც გვიდასტურებენ. ვფიქრობთ, სვანურს ამ თვალსაზრისით (თავისი უზივერსალური და საეცივიყური ნიშნებით) უნიკალური ადგილი უჭირავს სხვა ქართველურ ენათა შორის.

სივრცული ლოკალიზაციის აღმნიშვნელი ზმნები სვანურში, მსგავსად ქართულისა, მყრ ლექსიკურ-გრამატიკულ ჯგუფს ქმნიან და ისინი, როგორც წესი, განიხილება მყოფობა-მქონებლობის სემანტიკის გამომხატველ ზმნებთან ურთიერთმიმართებით სხვადასხვა ასპექტის მიხედვით.

მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნები სვანურშიც სიგრძული ადამიანის სამ განსხვავებულ მდებარეობას აღნიშნავს: ვერტიკალურს — **ლეგ „დგას“**, პორიზონტალურს — **აყურე „წევს“** და შუალედურს (ე. წ. „მოკეცილს“) — **სგურ „ზის“**. გარდა ამისა, ეს ზმნები გამოიყენება ცხოველთა მდებარეობის, პოზის აღსანიშნავადაც, თუმცა ცხოველებისა და ქვეწარმავლების მდგომარეობა სივრცული მიმართებების ცვლის თვალსაზრისით ადამიანთან შედარებით სვანურში კიდევ უფრო შეზღუდულია. ქართულში ზოგიერთ ცხოველს, რამდენადაც ცნობილია, სამივე პრედიკატი მიემართება (მაგ., ძალის დგას/წევს/ზის), ზოგს — ორი (მაგ., ძროხა დგას/წევს), ზოგს კი მხოლოდ ერთი (მაგ., ბაყაყი ზის) (ნ. ლოლაძე). რაც შეეხება სვანურს, იქ სხვობა გვაქს დიალექტების მიხედვით. ზოგიერთ ცხოველს ან სამივე პრედიკატი მიემართება (მაგ., უეღ ლეგ/აყურე/სგურ „ძალი დგას/წევს/ზის; ციფუ ლეგ/აყურე/სგურ (ბზ.), „კატა დგას/წევს/ზის“), ან — ორი (მაგ., ფური ლეგ/აყურე „დგას/წევს“; ლუაშ ლეგ/აყურე „ჭიხვი დგას/წევს“), ან მხოლოდ — ერთი (მაგ., ჰერწემ აყურე (ბქ.) „გველი წევს“), ან საერთოდ ნულთანაა გათანაბრებული და მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს ხშირად ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნები ენაცვლებიან. ძალის, კატის, მელის, კვერნის და ა. შ. ჯდომის აღსანიშნავად სვანურში ძირითადად **ხაქურიქშე||ქუპე „აცუცქია“**

პრედიკატი გამოიყენება, ხოლო ხეზე ყოფნა **ხაკარჩა/ხაფორცხა** „აცოცია“ პრედიკატით გამოიხატება.

სვანური საგნის (ობიექტის) სივრცული ლოკალიზაციისათვის, ჩვენი დაკვირვებით, რამდენიმე პრედიკატს იყენებს, ესენია: **ლგგ** „დგას“, **ხაგ** „ადგას“, **აუშრე** „წევს“, **ზგ** „დევს“, **სგურ** „ზის“, **ქუქ||ხაქუქეჭუ** „ჩაცუცეულია“, **ხაფორცხა** „აცოცია“, **ხაბოლა** „აცოცია“, **მიგ** „მიდგას“, **მილგა** „მირგია“, **მიზ** „მაქვს (ზედმიწ. — მიქვს)“, **ხაჭიდ** „მიყრდნობილია“ და ა. შ. ამათგან აუშრე „წევს“ ზმნა სულიერის მდებარეობას აღნიშნავს, ხოლო **ზგ** — უსულოსას, რაც შეეხება **ლგგ** „დგას“ ზმნას, იგი სულიერის მდებარეობასაც აღნიშნავს (**ლგგ** **ამსუალდ** „დგას აღამიანი“, **ლგგ ლუაშ** „დგას ჯიხვი“ და ა. შ.) და, ამავე დროს, უსულოსაც (**ლგგ ქორ** „დგას სახლი“, **ლგგ მეგემ** „დგას ხე“ და სხვ.).

აღნიშნულ პრედიკატთა გარდა, სვანურში საგნის (ობიექტის) სივრცული ლოკალიზაციისათვის გამოყენებულია საენათმეცხიერო ლიტერატურაში პირველად მასდარებად წოდებული (არნ. ჩიქობავა, რ. ჭეკადუა): **თიგ** „კისერაწეული“, გამართული დარჭობილია ერთ ადგილას, დგას (ზედმიწ. — არჭვია), **გლიგ** „უშნონ სიმაოლის აღამიანი ერთ ადგილას დგას“, **ფიჩ** „გაფარჩეულად დგას ერთ ადგილას“, **კიგ||კლიკ** „ყურადღებით, ყურებდაცქეტილი დგას (მაგ. ქალიშვილი, ფრინველი)“, **გოდ||გლიოდ** „უშნოდ ამართული დგას (მაგ. ბატი)“, **ბიგ||ბრივიგ** „მყარად, მაგრად დგას ერთ ადგილას...“; **ყუიყუ** „ზის ზარმაციდ, უშნოდ“, **თხივი** „გამხდარი ადამიანი უშნოდ, მოშვებულად ზის...“; **კაჩ** „ფეხზე დგას გამართულად, აღმართულია“ და მრავ. სხვ., რომელთა გამოყენებას სვანურში სისტემური ხასიათი აქვს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ფორმები მეტაფორული ინტერპრეტაციის შედეგადაა მიღებული. ასევე მეტაფორული მნიშვნელობით არის გამოყენებული შემდეგი მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნები: **აქუიზანე** (ბქ.) „დგას ამაყად“, **ხაბინგდა** (ჩოლ.) „დგას გაბლენძილი“, **ხაბითქ** (ჩოლ.) „ზის მოშვებულად (ზედმიწ. — ატყება)“...

რაც შეეხება ფრინველებს, მწერებს და ზოგიერთ ქვეწარმავალს, მათ მიემართება ძირითადად ლოკატიური პრედიკატი **ხაგ** „ადგას“, თუმცა ზოგიერთი მწერისა და ქვეწარმავლის აღმნიშვნელი ლექსიკის სივრცული მიმართება სვანურში დიალექტებს მიხედვთ განსხვავებულ სურათს იძლევა: **ნაპრ ლაგურაჟი ხაგ** (ბქ.) „ჩიტი ფანჯარაზე დგას („ა-დგ-ა-ს“)“; **ლელუს მერ ხაგ** (ბქ.) „ხორცს ბუზი ადგას; **ბუზულ ხაგ ლაგურაჟი** (ბქ.) „ბუზი ზის („ა-დგ-ა-ს“) ფანჯარაზე“; **მეგემს მგშერ ხაბოლახ** (ბქ.) „ხეს ჭიანჭველები ახვევია („მაცოციან“)“; **ზურალს ჰაშდეკუ ეხბოლან** (ბქ.) „ქალს ხელიკი ააცოცდა“; **ჭიუდს ჰაშდეკუ ხაფორცხა** (ბქ.) „კედელს ხელიკი აცოცია“; **ბუზულ ახსგურდა** (ჩოლ.) „ბუზი დააგდა“, შილ. ბქ. **მერ ლახაგან** „ბუზი დააგდა („და-ა-დგ-ა“)“; **ბუზულ ხაგ** (ჩოლ.) „ბუზი ზის („ა-დგ-ა-ს“)“; **პარპოლდ ხაგ** (ბქ.) „პეპელა აზის („ა-დგ-ა-ს“)“; **უიგ**

აყურე (ბზ.) „გველი წევს“, მაგრამ უიგ ხაბოლა კუილას „გველი არის ზღუდეზე“ („გველი აცოცია ზღუდეს“); **შუბლ ხაბოლა კუილას (ბზ.)** „ხვლიყი არის ზღუდეზე“ („ხვლიყი აცოცია ზღუდეს“)“ და ა. შ.

რა შეიძლება ითქვას უსულო ობიექტების მდებარეობის აღნიშვნის შესახებ სვანურში? ამ შემთხვევაში, როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ტოპოლოგიურ საფუძველზე ობიექტების კლასიფიკირება კიდევ უფრო არათანხმიდევრული ჩანს, რასაც სვანური ენის მასალის ანალიზიც ცხადყოფს. უფრო მეტიც, სვანური ენის დიალექტები ამ მხრივაც ერთგვარ უნივერსალურ ვითარებას ასახავენ.

მოხსენებაში დაწერილებით იქნება განხილული როგორც ცოცხალი, ასევე არაცოცხალი სამყაროს ობიექტების კლასიფიკაცია (ანუ საგნების, ნივთების მდებარეობის, პოზიციის აღნიშვნა) სვანურში.

ნარგიზ სურმაგა

ნიგალი — 2012-2013 (მივლინების ანგარიში)

მივლინება განხორციელდა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ ფარგლებში. ჩვენს მიზანს შეადგენდა მასალების მოპოვება-გადამოწმება ელექტრონული ლექსიკონის შესადგენად. ვიდეომასალები ჩაწერილ იქნა: მურლულსა და მურლულის რაიონის სოფლებში (ისკები ანუ მადენი, ხოსროლი, ოზმანი, ჭვანი, ბუჭური), ბორჩხაში, მარადიდსა და ხებაში, ქლასკურში, ყარაგოლში, დევსქელის ხევის სოფლებში (ბაგინი, დევსქელი, სანათისი).

მასალები ამჟამად გაშიფრის პროცესშია და ნელ-ნელა გვინელდება უკმარისობის მწვავე განცდა, რაც თითოეული სოფლიდან წამოსვლის შემდეგ გვიჩნდებოდა — რომ კიდევ ბევრი რამის ჩაწერა შეიძლებოდა.

ჩავიწერეთ მასალები სპონტანური მეტყველებისა და ჩამწერთან დიალოგის ფორმით — ცალკეული მთქმელებისა თუ მთქმელების ჯგუფისაგან, სხვადასხვა ასაკისა და ენობრივი კომპეტენციის

მქონე ინფორმანტებისაგან. ოჯაში ცხოვრება კარგ პირობას ქმნიდა იმისათვის, რომ ადგილობრივ ქართველებთან გვეკონტაქტა და დიალექტურ მეტყველებას დავკვირვებოდით მთელი დღის განმავლობაში. თემატიკური კითხვარის მიხედვით წარმართული დიალოგი საშუალებას იძლეოდა ლექსიკური მასალის შეძლებისდაგვარად სრულად დაფიქსირებისა, რაც, თავის მხრივ, დაგვეხმარება ნიგალის მეტყველების შიდადიფერენციაციული სურათის განსაზღვრაში. წინასწარი ვარაუდით, გამოიყოფა განსხვავებული ერთეულები: 1. ხება-მარადიდის, ბორჩხისა და ქლასკურის მეტყველების, 2. მურღულის რაიონის სოფლების მეტყველების, 3. დევსქელის ხევის მეტყველების, 4. მაჭაბლური მეტყველების სახით.

მოვიყვანთ დიალექტური ლექსიკის რამდენიმე საინტერესო ნიმუშს:

ძირი / ზირი — კარტოფილი (მურღული), ხება-მარადიდსა და ქლასკურში მას მიწიხაპას ეძახიან.

ბოტოტი — მატლი დევსქელის ხევში;

ატოლება — 1. გაყოლა „მძადე დოდოფალ ეტოლებოდა“, 2. კერძში რისამე ჩამატება, ჩართვა. „წყალში ხარშავ, პატინა შექერ უფტოლავ“;

შექნა (შეიქნა) — დამწიფება (მურღული), **შექნილი** — მწიფე. სიტყვა „მწიფე“ არ იციან.

პარკი — მარცვალი (ხება-მარადიდი), კურკა (მურღული);

დასმა — დაბადება, ნაშიერის მოგება. „ჩემი დასმა ახსოვს“ (მურღული, დევსქელი);

ბოლი — ბალახი, სიტყვა „ბალახს“ არ ხმარობენ;

აწალა — ზენი...

ყურადღებას იქცევს დიალექტური ფორმები: **გაბა** (< ბაგა>);

იჯებნება — კეთდება: „რძედამ ყველი იქნება, ხაჭო იჯებნება, ერბო იჯებნება“; **გეიზდა** (გაიზარდა); **სხვაბური** — სხვაგვარი; **ჩვენური** — ჩვენებური...

ჩანაწერები საინტერესოა არა მხოლოდ ენობრივი, არამედ კულტუროლოგიური თვალსაზრისითაც.

განსხვავებული, და ამდენად საგულისხმო, აღმოჩნდა დიასპორის წარმომადგენელთა შეხედულებები საქართველოს წარსულისა და მუკაფირობის საკითხებზე, რაც მათ შეექმნათ მამა-პაპათა გადმოცემებზე დაყრდნობით.

ჩანაწერებში კარგად ჩანს: მძლავრი ურბანისტული პროცესები, რასაც ისტორიული საქართველოს ბარის სოფლებიც მოუცავს; ჰესის (თურქულად, ბარაჟის) აგებით გამოწვეული ეკოლოგიური ცვლილებები, რასაც, თავის მხრივ, დაუკავშირდა კომპაქტურად დასახლებული ქართული სოფლების დაცლა; ჩანაწერებში გამოთქმულია სურვილი იმისა, რომ საქართველომ რამე უნდა იღონოს თურქეთის ქართული დიასპორის მეტყველების შესანარჩუნებლად და დიალექტის მატარებელთა ქართულ სალიტერატურო და საუბრულ ენასთან ადაპტაციისათვის ხელშესაწყობად.

მურმან სუხიშვილი

პრევერბიან გარდაუგალ ზმნათა კომბინირებული მნიშვნელობა და ზმნის გრამატიკული სტატუსი

ცნობილია, რომ სტატიკური ზმნა შინაარსობრივად პრევერბს ვერ იგუებს, თუმცა იშვიათად პრევერბი სტატიკურ ზმნასაც შეიძლება დაერთოს (ვგულისხმობთ ისეთ ზმნებს, რომელთა სტატიკურობაც თითქოს სადავო არ არის); პრევერბის დართვით არ იცვლება სტატიკურობის შინაარსი, ზმნის გრამატიკული სტატუსი; პრევერბთა მნიშვნელობა ამ ზმნებში ნეიტრალიზებულია; თითქმის არ იცვლება, ან მეტ-ნაკლებად იცვლება ფუძის მნიშვნელობის ნიუანსები, შედრ.:

ჰერცოგი... გრდუვ. სტატ. 1. იმგვარივეა, ისეთივეა, იმნაირია, მისი დარია, მსგავსია; 2. ჩანს, ეტყობა, საფიქრებელია

მონა - ჰერცოგი... გრდუვ. სტატ. ოდნავ ჰერცოგი

ჩ ა მ თ - ჰ გ ა ვ - ს... გ რ დ უ ვ. ს ტ ა ტ. ო დ ნ ა ვ ჰ გ ა ვ ს

უ გ ა ვ - ს... ჰ გ ა ვ ს მ ი ს ი

ბ ი - უ გ ა ვ - ს... მ ი ა გ ა ვ ს მ ი ს ი, ჰ გ ა ვ ს მ ი ს ი

ა ჩ ნ ი - ა ... გ რ დ უ ვ. ს ტ ა ტ. ჩ ა ნ ს მ ა ს ზ ე, დ ა ჩ ნ ე უ ლ ი ა ქ ვ ს ... ||

ა ჩ ნ ს

ბ ი - ა ჩ ნ ი - ა ... გ რ დ უ ვ. ს ტ ა ტ. თ ვ ლ ი ს რ ა დ მ ე, ჰ გ ო ნ ი ა

გ ა - ა ჩ ნ ი - ა ... გ რ დ უ ვ. ს ტ ა ტ. ა ქ ვ ს, ჰ ყ ა ვ ს

ა ს ე ვ ე: ჩ ა ნ - ს — მ თ ჩ ა ნ ს, უ ჩ ა ნ ს — მ თ უ ჩ ა ნ ს, ს ტ კ ი ვ ა — შ ე -
ს ტ კ ი ვ ა, შ ე ნ ი ს — შ ე შ ე ნ ი ს... (პ რ ე ვ ე რ ბ ი ა ნ ი ს ტ ა ტ ი კ უ რ ი ფ ი რ მ ე ბ ი
დ ა ს ტ უ რ დ ე ბ ა ხ ე ლ ქ ა რ თ უ ლ შ ი ც).

გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი ვ ი თ ა რ ე ბ ა გ ვ ა ქ ვ ს / ჰ ყ ა ვ ს ზ მ ნ ა თ ა პ რ ე -
ვ ე რ ბ ი ა ნ ფ ი რ მ ე ბ თ ა ნ. „მ ი ა ქ ვ ს“ ი გ ი ვ ე ზ მ ნ ა ა, რ ა ც „ა ქ ვ ს“, ო ლ ი ნ დ
ზ მ ნ ი ს წ ი ნ ი ს დ ა რ თ ვ ი თ ლ ე ქ ს ი კ უ რ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ი ბ ა ე ც ვ ა ლ ა“ (შ ა ნ ი ძ),
ლ ე ქ ს ი კ უ რ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ი ბ ი ს ც ვ ლ ა ე ხ ე ბ ა ჰ ყ ა ვ ს ს ტ ა ტ ი კ უ რ ი ზ მ ნ ი დ ა ნ
პ რ ე ვ ე რ ბ ი თ წ ა რ მ ი ე ბ უ ლ ფ ი რ მ ე ბ ს ა ც (მ ი ჰ ყ ა ვ ს, მ ი ჰ ყ ა ვ ს, გ ა ჰ ყ ა ვ ს დ ა
ა.შ). ა ქ ვ ს, ჰ ყ ა ვ ს ზ მ ნ ა თ ა პ რ ე ვ ე რ ბ ი ა ნ ი ფ ი რ მ ე ბ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ი ბ ე ბ -
შ ი დ ი ნ ა მ ი კ ა ა შ კ ა რ ა ა დ ა ე ს ზ მ ნ ე ბ ი ს ქ ე გ ლ ი ს ე უ ლ ი ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ი დ ა
გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი დ ა ნ ა ც ჩ ა ნ ს:

გ ა ა ქ ვ - ს ... გ რ დ მ. ე ზ ი დ ე ბ ა, მ ო ჰ ყ ა ვ - ს ... გ რ დ მ. ა მ ი ჰ ყ ა ვ ს
მ ა ღ ლ ა, მ ი ჰ ყ ა ვ ს ქ ე ვ ი დ ა ნ ზ ე ვ ი თ დ ა ს ხ ვ. თ უ მ ც ა ქ ე გ ლ შ ი ს ხ ვ ა შ ე მ -
თ ხ ვ ე ვ ა შ ი (მ ი ა ქ ვ ს, მ ი ა ქ ვ ს ...) პ რ ე ვ ე რ ბ ი ა ნ ი ფ ი რ მ ე ბ ი გ ა რ დ ა უ გ ა ლ ს ტ ა -
ტ ი კ უ რ ზ მ ნ ე ბ ა დ ა ც ა ა დ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ უ ლ ი; ა მ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ დ ა ხ ა ს ი ა თ ე -
ბ ე ბ ს გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი ხ ე დ ვ ე ბ ი გ ა ნ ა ბ ი რ ი ბ ე ბ ს: თ უ პ რ ე ვ ე რ ბ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე -
ლ ი ბ ი დ ა ნ ა მ ი ვ ა ლ თ, ზ მ ნ ა დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი, ს ა შ უ ა ლ ი გ ვ ა რ ი ს, ა ნ გ ა რ დ ა -
მ ა ვ ა ლ ი ი ქ ნ ე ბ ა; თ უ ფ უ ძ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ი ბ ა ს გ ვ ი თ ვ ა ლ ი ს წ ი ნ ე ბ თ, გ ა რ დ ა -
უ გ ა ლ ი დ ა ს ტ ა ტ ი კ უ რ ი.

გ ა ნ ს ა მ ა რ ტ ა ვ ი პ რ ე ვ ე რ ბ ი ა ნ ი მ ო ა ქ ვ ს, მ ო ჰ ყ ა ვ ს ტ ი ბ ი ს ზ მ ნ ა -
თ ა ლ ე ქ ს ი კ უ რ გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ შ ი ა ქ ც ე ნ ტ ი ძ ი რ ი თ ა დ ა დ რ ე ა ლ უ რ ი ს უ ბ ი -
ე ქ ტ ი ს (გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი ი რ ი ბ ი ა ბ ი ე ქ ტ ი ს) მ ო ძ რ ა მ ბ ი ს, გ ა დ ა ა დ გ ი ლ ე ბ ი ს
მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ზ ე ა გ ა კ ე თ ე ბ უ ლ ი: ა ა ქ ვ ს — ზ ე ვ ი დ ა ნ მ ი ა ქ ვ ს, ა მ ო -
ჰ ყ ა ვ ს — მ ი ჰ ყ ა ვ ს მ ა ღ ლ ა, მ ი ჰ ყ ა ვ ს ქ ე ვ ი დ ა ნ ზ ე ვ ი თ დ ა ს ხ ვ. უ ფ რ ი

ზუსტი და ზედმიწევნითი ჩანს ის განმარტებები, რომლებშიც ორი მოვლენის — რაღაცის (ვიღაცის) ფლობისა (სტატიკა) და მასთან ერთად მოძრაობის (დინამიკა) — ერთდროულობაა გამოხატული:

მ ი ა ქ ვ - ს... გრძულ. სტატ. მოდის და თან აქვს...

მ ო ა ქ ვ - ს... გრძულ. სტატ. მოდის და თან აქვს...

ორი მოვლენის ერთდროული, ჯამური აღნიშვნა, ქართულში მხოლოდ სტატიკურ აქვს, ჰყავს ზმნათა პრევერბიანი ფორმების მახასიათებელი არ არის; პრევერბები სხვა გარდაუვალ ზმნებსაც და-ერთვის, რომლებიც პრევერბების დართვით კომბინირებულ მნიშვნე-ლობას იძენენ:

მ ო ი მ ღ ე რ ი ს — მოდის და თან მღერის, მოლაპარა-კობს — მოდის და თან ლაპარაკობს (ბ. რუდენკო); ასეთი ზმნები ქართულში უჩვეულო არ არის: კივი-ს და მიკივი-ს „მიდის და თან კივის“... ასევე: მი-ბუზღლუნებს — მო-ბუზღლუნებს, მიბზუის — მობზუ-ის, მიბარტყუნებს — მობარტყუნებს, მიგოგავს — მოგოგავს და სხვ., ინვერსიული უხარით ახალ ქართულში ყველა პარამეტრით სტატი-კური ზმნაა; პრევერბის (მ ი-, მ ო-) დართვით (მიუხარია, მოუხარია) და, შესაბამისად, კომბინირებული მნიშვნელობის შექენით ის სტატი-კურადვე რჩება — უნარჩუნდება ინვერსიული წყობა და დრო-კილო-თა ნაკლული პარადიგმა. ასევეა აქვს, ჰყავს ზმნის პრევერბიან ფორმებთანაც.

თე ა ტეტელოშვილი

სახელური ტრანსლაციის (ადიექტივაცია-სუბსტანტივაციის) მარკერები

ტერმინ „ტრანსლაციით“ აღინიშნება გრამატიკული მოვლენა, როდესაც სრულმნიშვნელოვანი სიტყვა ერთი გრამატიკული „კლასი-დან“ („კლასის“ სინონიმურად გამოვიყენებთ „მეტყველების ნაწილ-საც“) გადადის მეორეში.

ტრანსლაციის შედეგად მიღებული სიტყვის ამა თუ იმ „კლასისადმი“ კუთვნილების მიხედვით გამოიყოფა ტრანსლაციის სახეები, რომელთაგან ჩვენ სუბსტანტივაციასა და ადიექტივაციას შევხებით. სუბსტანტივაციის, როგორც გრამატიკული მოვლენის, არსი ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის გაარსებითებაში მდგომარეობს. ადიექტივაცია კი წარმოადგენს რომელიმე მეტყველების ნაწილის ზედსართავის ფუნქციით გამოყენებას.

სიტყვათა ტრანსლაცია ხორციელდება როგორც მორფოლოგიური ელემენტების (მაგ., **ქუდ-ი** > **ქუდ-იან-ი**) გამოყენებით, ისე წინადაღების მოდელში დაკავებული ადგილის (მაღალ გოგონას კაბა აცვია, **დაბალს** — შარვალი) გავლენით. ამჯერად ჩვენი ინტერესის სფეროში შემოდის ტრანსლაციის (სუბსტანტივაცია-ადიექტივაციის) მორფოლოგიური საშუალებანი და, შესაბამისად, მასუბსტანტივებელი თუ მაადიექტივებელი ტრანსლატივები.

უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსლაციისთვის (სუბსტანტივაცია-ადიექტივაციისათვის) ენა იყენებს სხვადასხვა მორფოლოგიურ ინვენტარს. მაგალითად, სიტყვაწარმომქმნელი აფიქსები ახალი ლექსიკური ერთეულის შექმნის პარალელურად ხშირად სიტყვის მატრანსლირებელ ელემენტებადაც გვევლინებიან (შდრ.: **ქუდ-ი** (არს. სახ.) + **-იან** > **ქუდ-იან-ი** (ზედს. სახ.). ხდება ისეც, რომ სიტყვაწარმომქმნელი აფიქსების დართვით მხოლოდ ახალ ლექსემას ვიღებთ „კლასის“ ყოველგვარი ცვლილების გარეშე (შდრ.: **მწვანე** (ზედს. სახ.) + **-იან** > **მწვან-იან-ი** (ზედს. სახ.). ტრანსლაციის კვლევისათვის საინტერესოა ახალ სახელთა წარმოქმნის მხოლოდ ის შემთხვევები, რომლებიც რეზულტატიურად თავდაპირველისგან განსხვავებული „კლასის“ სიტყვების მიღებას გულისხმობს.

ტრადიციულად სახელთა მაწარმოებლებს სემანტიკური ნიშნით აერთიანებენ. ამგვარ კლასიფიკაციას გარკვეული სამსახური შეუძლია გაუწიოს ტრანსლაციის კვლევას, რამდენადაც მიღებული ლექსემის სემანტიკა ხშირად განაპირობებს მეტყველების ნაწილთა ამა თუ იმ ჯგუფისადმი მისი მიკუთვნების საკითხს.

მატრანსლირებელ ელემენტებად გვხვდება ბრუნვის ნიშნებიც. ასეთ შემთხვევაში ბრუნვის ნიშნებს აღარ აქვთ მიმოსახრელი დანიშ-

ნულება (მაგ., **გულ**-ი (არს. სახ.) > **გულ-აღ**-ი (ზედს. სახ.). ტრანს-ლაციის მარკერებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს თანდებულებიც (მაგ., **ვაჭ**-ი (არს. სახ.) > **ვაჭ-ის-ებრ**-ი (ზედს. სახ.).

ზემომოყვანილი მცირერიცხოვანი მაგალითებიც კი მოწმობს, რომ ქართული ენა სახელური ტრანსლაციისთვის გამოიყენებს ნაირ-გვარ საშუალებებს. მოხსენებაში ვრცლად განვიხილავთ ტრანსლირების თითოეულ სახეს, გამოვყოფთ მასუბსტანტივებელ თუ მაადიექტივებელ ტრანსლატივებს და წარმოვადგენთ კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს.

ნათია ფონიავა

აფხაზური აფსთაზაარა „სიცოცხლე“ სიტყვის ეტიმოლოგიური ანალიზისათვის

აფხაზურში დასტურდება ლექსემა **აფსთაზაარა** „სიცოცხლე, ცხოვრება“. ჩვენი აზრით, აფხაზური **აფსთაზაარა** კომპოზიტია, კერძოდ, მიღებული სულის აღმნიშვნელი სიტყვის **ა-ფს** და **ა-თა(ზა)** რა „რამეში ყოფნა“ მასდარის შეერთებით. ორივე მათგანი საერთო აფხაზურ-ადილური სიტყვაა.

როგორც ჩანს, კომპოზიტი **აფსთაზაარა** მომდინარეობს **აფსგთა(ზა)** რა ფორმისაგან, გ ხმოვნის ჩავარდნითა და ზოგადობის საერთო ა- პრეფიქსის გამოყენებით.

ამდენად, აფხაზური **ა-ფსთაზაა-რა** „ცხოვრება, სიცოცხლე“ ზედმიწევნით ნიშნავს „სულის შიგ ყოფნას“. **სგფსე** თანაწევ ისთახუპ სგფჰა თინათინ ჰეგნთქარს დყასწარც „სანამ ცოცხალი ვარ („სული მიდგას“), მინდა ჩემი ასული თინათინი მეფედ ვაკურთხო“. მოტივაცია ნათელია. სიცოცხლე სულის თვისებაა. სულის მქონე არსება ცოცხალია, არმქონე — არაცოცხალი, მკვდარი.

აფხაზური ა-ფსთვაა-რა „სიცოცხლე“ სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისია ქართველურ ენებში დადასტურებული კომპოზიტებისა (ქართ. სულდგმულ-ი, ზან. (მეგრ.) შურდგუმილ-ი, სვან. ქუინლიმგენე // ქუილიმგენე) და იდიომებისა (ქართ. სულის დგმა, ზან. (მეგრ.) შურიშ ინოდგმა, (ლაზ.) შური გელგიმუ // დოლოდგიმუ, სვან. ქუინიშ ლიგნე), რომლებიც გადატანითი მნიშვნელობით „სიცოცხლეს, ცხოვრებას“ აღნიშნავენ.

მედეა ღლონტი

ბუნებითი და გრამატიკული დროის ქრონომეტრული ურთიერთბიმართებისათვის ქართულში
(ქართ. მომავალი-ს საღვთისმეტყველო ასპექტები)

I. დროის სამი გრადაციის ქართულ სახელდებაში — **ახლანდელი, აწმეო** („ვინც ან რაც მოდის, სვლაშია, არის“), **წარსული** („ვინც ან რაც წავიდა, იყო“) და **მომავალი** („ვინც ან რაც მოგა, იქნება“) — აღმეტდილია, ერთი შეხედვით, პარადოქსული ლექსიკურ-სემანტიკური არჩევანი, კერძოდ: „**მომავლის, მომავალი დროის**“ სემანტიკა იტვირთა არა **სვლა** ზმნის მომავალი დროის მიმღებამ — **მოსასვლელი** ან **მოსავალი** (= „ვინც ან რაც **მოვა**; რაც **შემდევ იქნება**“), არამედ ამავე ზმნის **ახლანდელი დროის** მიმღებამ — მომავალი (= „ვინც ან რაც **მოდის**“), რომელსაც, როგორც მოსალოდნელი იყო, უნდა დაკისრებოდა „**აწმეოს, ახლანდელი დროის**“ სემანტიკა (შრო.: ***მომავლი** ..ვინც ან რაც წავიდა, იყო“ და ***მოსასვლელი//მოსავალი** ..ვინც ან რაც მოვა, იქნება“).

რატომ ან როგორ შეიძინა „**მომავლის, მომავალი დროის**“ სემანტიკა „**ახლანდელის, აწმეოს**“ მნიშვნელობის მქონე მიმღებამ — **მომავალი?**

II. წმიდა სახარებაში ქართ. **მომავალი** წარმოდგება როგორც თავისი ამოსავალი სემანტიკით — „ვინც ან რაც **მოდის**“ (მათე 11, 3; 21, 9; მარკოზი 11, 9; ლუკა 19, 38; ოთანე 12, 13), ისე შეძენილი, მეორეული მნიშვნელობით — **მომავალი დრო, მყოფადი;** რაც ახლანდელ დროს მოსდევს, რაც **შემდგომ იქნება**“ (ოთანე 16, 13; 18, 4; ლუკა 18, 30; 21, 26 და სხვა).

მომავალი, თავისი ამოსავალი მნიშვნელობით „ვინც ან რაც **მოდის**“, იხსენიება საზემო მოკითხვაში: „**ოსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისამთა!**“ (მათე 21, 9; ოთანე 12, 13; მარკოზი 11, 9; ლუკა 19, 38), რომელიც მოხმობილია 117-ე ფსალმუნიდან (ფსალმუნი 117, 26). წმიდა დავით მეფისალმუნე სამადლობელ გალობას უსაზღვრო სიხარულით უძღვნის უფალ ღმერთს, რომელმაც ისმინა ვედრება ისრაელისა და მტრებზე გაამარჯვებინა მათ.

ეკლესიის წმიდა მამები ერთხმად იღიარებენ, რომ მტრებზე გამარჯვებულის ამ ფსალმუნისეულ სახეში გამჭვირვალედ იხილება უფალი იესო ქრისტე — მესია, ქე დავითისა, კაცთა მოდგმის მტრის მძლეველისა, რასაც წმიდა სახარებაში თავად უფალი გვიმოწმებს (მათე 23, 39). საგანგებოდ განიმარტება ამავე საზეიმო მოკითხვაში მოხსენიებული **მომავალი**-ის ამოსავალი სემანტიკის („ვინც მოდის“) საღვთისმეტყველო შინაარსი: „კეთილად არის ნათქვამი: **მომავალი, და არა — მოსული ან მოსასვლელი,** რადგან უფალი **მარადის მოდის** და ეცხადება კაცთა მოდგმას (თუმცა არა ხორციელად); იგი მოდის თავისი ღმრთაებრივი მოსვლით და აღავსებს ცას და ქვეყანას“ (%იღაბენი).

მაშასადამე, ფსალმუნისეული საზეიმო მოკითხვით წმიდა სახარება ახალაღთქმისეულ სათქმელს გვამცნობს: იერუსალიმში დიდებით შესული იესო ნაზარეველი არის არა მხოლოდ ის ნაწინასწარმეტყველები მესია, რომელსაც ამდენ ხანს ელოდებოდნენ, და არც მხოლოდ ის, ვინც ამ დღეს მოდის (შემოდის) იერუსალიმში, და არც ის არის, ვინც კვლავაც მოვა, არამედ იგია, რომელიც — **მარადის მოდის!**

ნეტარი ავგუსტინეს სწავლებით, შესაქმისეული (ბუნებითი) დრო სუბიექტურია, ვინაიდან სულის უშუალო ჭირეტის „საგანი“ მხოლოდ **აწმეოა** და სულის მიერ **აწმეოშვევე** აღვიძვამთ **მომავლისაც** და **წარსულისაც**. ამიტომ, სულის მიერ ჩვენ აწმყოში ვჭირეტო და რეალურად განვიცდით არა მომავალს, არამედ **მომავლის მოლოდინს**, რომელიც, ავგუსტინესეული ფორმულირებით, არის **აწმეო მომავლისა.**

III. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბუნებითი და გრამატიკული მომავალი დროის აღმნიშვნელი ქართ. **მომავლი**, თავისი მორთოლოგიური წარმოებით (ახლანდელი დროის მიმღება: „ვინც ან რაც **მოდის**“) და ორკეცი წინააღმდეგობრივი სემანტიკით („ვინც ან რაც **მოდის**“ ↔ „ვინც ან რაც **მოვა, იქნება**; მომავალი დრო“), სრულად აღბეჭდავს საღვთისმეტყველო შინაარსს, რომელიც ერთდროულად იტევს როგორც „შორეულ დროში გაწელილ, აწმყოთი აქტუალიზებულ“ გრადაციას (**აწმეო მომავლისა**), ისე „მოლოდინით შეკუმშული“ **მომავლის** მესიანისტურ-ესქატოლოგიურ განცდას („მომავლის მოლოდინს“).

ნატო შავრეშიანი

მიმართვისათვის სკანურში

მიმართვა განკერძოებულ სიტყვათა ჯგუფში ერთიანდება და სინტაქსურად არ არის დაკავშირებული წინადადების წევრებთან, ვინაიდან განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები (სიტყვათშენა-ერთები) არ წარმოადგენენ წინადადების უშუალო ნაწილს, მათ განკერძოებული ადგილი უჭირავთ.

სკანურში მიმართვის ფორმები ემთხვევა სახელობითის ფორმებს: „სკანურში წოდებითი ფორმა არ არის. იყივეა გარეგნულად, რაც სახელობითი. განსხვავება შეინიშნება ინტონაციასა და საძახებელ შორისდებულებში: ინტონაცია იძღენად ძლიერია, რომ სიტყვა მარცვალს კარგავს“ (თოფურია).

მიმართვა არსებითი სახელით გადმოიცემა. მოუბარი პირის ადრესატი, ძირითადად ვინ ჯგუფის სახელებია, აქედან გამომდინარე, მიმართვად ძალიან ხშირია ადამიანთა საკუთარი სახელები, ფრეთვე სქესისა და წოდების აღმნიშვნელი სიტყვები:

გიგ! ალ ბაზ ესერ ქოშ ხასჩერარე მიჩ (ბზ., სვან. ქრესტ., 92)
„გიგ! ეს ქვა მაჩუქეო მე“.

ფუსნ, ისგუან ხოჩა მიშგუაუ დასმა ხოყრა (ლშ., იქვე, 258)
„ბატონო, შენზე მეტი სიკეთე ჩემთვის არავის გაუკეთებია“.

მიშგუ ხეხუ, მი ლჟემათე ოდრინე (ბზ., იქვე, 163) „ჩემო ცოლო, მე საშოვარზე წავალ“.

ზღაპრებსა და ლეგენდებში მიმართვა არცთუ იშვიათად გვხვდება რა ჯგუფის სახელებთანაც (როგორც სულიერ, ისე უსულო საგნებისადმი), მაგ.:

საბრალ ყურშად, ლაჭტკლებზნდად ისგრი ბოჭი მეტნე? (ჩოლ.)
„საბრალო ყურშაც! დაგენანა ვინც პურის ნატეხს გაჭმევდა?

ა ხალიჩა, სი ბედნიერ, ზითინახშუცახან ემსგური (ბქ., იქვე,
22) „ა ხალიჩავ, შე ბედნიერო, მზეთუნახავთან დამსვი“.

სვანურში, ქართულის მსგავსად, ხშირია მიმართვის სხვა მეტყველების სახელებით გაღმოცემის შემთხვევებიც. ეს მოვლენა გვაქვს იმ შემთხვევაში, თუ არსებითი სახელი გამოტოვებულია და, შესაბამისად, ზედსართავი სახელი და ნაცვალსახელი არსებითი სახელის მნიშვნელობით გვევლინება, მაგ.:

ტიშარუ, შომად ჯაკუხ ცუშიდდ ლირდე? (ჩოლ.) „ტილიანებო,
როდემდე გინდათ უქმად ყოფნა?“

მინ ესერ დარიბ, მინ ესერ ეჭუი ი მინ ამუი (ბქ., სვან. ქრესტ.,
188) „ოქვე ღარიბებოო, თქვენ ისე და თქვენ ასეო“.

მოხსენებაში განხილული იქნება მიმართვის ადგილი წინადადებაში, ასევე — ატრიბუტული და სუბსტანტიური განსაზღვრებით გავრცობილი მიმართვის ფორმები.

საყვირის შესატყვისისათვის მეგრულში

ქართ. **საყვირი**-ი ქეგლში განმარტებულია ამგვარად: 1. მაღალ-ხმიანი ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი ლითონისა; 2. სასიგნალო ხმის გამომცემი მექანიკური მოწყობილობა. ქარხნის საყვირი; 3. გადატ. ასეთი მოწყობილობის ხმა (ქეგლ VI) || ძვ. ქართ. **საყვრი**-ი (აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანი).

საყვირი-ი წარმოქმნილი სიტყვაა, ნაწარმოებია **ყვირი**- (← *ყური-ი) - ზმნური ძირისაგან **სა-** დანიშნულების მაწარმოებელი აფიქ-სის მეშვეობით (სა-ყვირი - ე. ი. „რითაც უნდა იყვირო“). შდრ. ქართ. **ყვირი**-ის „ყვირილი გაუდის, ხმამაღლა იძახის, დიდ ხმას გამოსცემს“ (აღმიანი) (ქეგლ VII).

ქართული **საყვირი**-ი || **საყვრი**-ის მნიშვნელობით მეგრულში დასტურდება **ოცე** „საყვირი, ბუკი“ || **ოცელია** „პატარა საყვირი, ბუკი რქისა ან ხისა“ (ქაჯაია II). შევა **ოცე** დო **ოცელიას** ოძახინე: ბუტუ, ბუტუ „სხვა ბუკსა და საყვირს აძახებინე: ბუტუ, ბუტუ“ (ქაჯაია IV).

დასახელებული საკრავი დანიშნულების მიხედვით სხვადასხვაგვარი იყო: 1. **სადღესასწაულო** (**საუქვო**); 2. **ხალხის შესაკრები**; 3. **დილით ხალხის შესაკრები**; 4. ომის, ჯანების (**ბუნტის**); 5. გაჰირვების და გახიზნის; 6. **შეიარაღებული გამოცხადების**; 7. **გადასაცემი** (**გინაჩამალი**); 8. **კაცის გადაცემის ან ნათვალაგის**; 9. **გადაცემის**.

საანალიზო ფუნქციები გვხვდება შესიტყვებულში:

ოცელიაშ ძახი „ბუკის ხმიანობა, ბუკისცემა — შურუბუმობის რიტუალის ნაწილი || **ოცეშ ძახი** „ბუკის ხმა, ბუკის ხმიანობა; ხატი-საგან დამიზეზებულის გამოლოცვის აუცილებელი ნაწილი“ (ქობალია).

ოცეშ ხელერდუა „ბუკისცემა — შურუბუმობის დღესასწაულ-ზე“ (ქობალია).

ეს ფუძე გამოვლენილია იდიომატურ გამოთქმაში: **ოცე კოჩი** „ყვირილის მოყვარული, — ყვირია კაცი“ (ქაჯაია III).

ვფიქობთ, მეგრ. **ო-ც-ე** სტრუქტურული შესატყვისია ქართ. **სა-ყვირ-** II საყვრ-ისა. ის ქართულის მსგავსად წარმოქმნილი სიტყვაა, ნაწარმოებია **ო-** — **-ე** დანიშნულების აფიქსებით, ფარდია ქართ. **სა-პრეფიქსისა, რომელიც გამოვლენილია სა-ყვირ-** II სა-ყვრ- ფუძეში. ქართული ფუძე ემყარება **ყვირ-** (ყვირ-ი-ს, ყვირ-ილ-ი) II ძვ. ქართ. **ყვრ-** (**ყვრ-ილ-ი**) ძირს, ხოლო მეგრულისთვის ამოსავალი უნდა იყოს **ცი-** (**ცი-ან-ს**) „ყივის (მამალი)“, მი-ო-ცი-უ „იყივლა (მამალ-მა)“. **ცი-ონ-ი** „ყივილი“.

ვაჟა შენგელია

ოდნაობითი ხარისხის გამოხატვისათვის სხვადასხვა სისტემის ენებში

ოდნაობითი (კნინობითი) შინაარსი აფიქსების საშუალებით სხვადასხვა სისტემის მრავალ ენაში გადმოიცემა, რისთვისაც გამოიყენება როგორც პრეფიქსი და სუფიქსი, ისე კონფიქსი. ისიც აღსანიშნავია, რომ ოდნაობითი შინაარსის გამოხატველ ზედსართავ სახელებს ზოგი მკვლევარი ხარისხის ფორმებად მიიჩნევს, ზოგი — ჩვეულებრივ სიტყვაწარმოებად.

ქართველურ ენებში მკვლევართა მეტი წილი ზედსართავი სახელის ხარისხთა სისტემაში ოდნაობით ხარისხსაც მოიაზრებს. მაშინ, როდესაც ქართულსა და მეგრულ-ლაზური ენის მეგრულ დიალექტს ოდნაობითი ხარისხის კონფიქსური წარმოება ახასიათებს (**მო — ე**, **მო — ო**), სვანურში გვხვდება სამივე ტიპის (პრეფიქსული, სუფიქსური, კონფიქსური) წარმოება, ამასთან, დიალექტები მეტად ჭრელ სურათს წარმოგვიღენენ (გ. გაზდელიანი). ქართველურ ენებში პრეფიქსული ელემენტების (ქართ.-მეგრ. **მო-**, სვან. **მგ-**) მატერიალური ერთიანობა ცხადია.

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათაგან ორგანული წარმოების ოდნაობითი ხარისხის ფორმები ამა თუ იმ სახითა და მასშტაბით სამივე ჭგუფის ენაშია წარმოდგენილი: აფხაზურში ოდნაობით ხარისხს პრეფიქსი **ც**- გამოხატავს, ადილეურში — სუფიქსი -შა, უბისურში — -ება, ჩეჩენურში — სუფიქსი -ო, ბაცბურში — -ება, ხუნძფურში — -აბ... ოდენპრეფიქსული წარმოება მხოლოდ აფხაზურს მოეპოვება.

ოდნაობითი ხარისხის (resp. ზედსართავი სახელის ხარისხის) ფორმათა წარმოებაში იბერიულ-კავკასიურ ენათათვის ამოსავალი ვითარების წარმოჩენა შემდგომ კვლევას საჭიროებს.

კავკასიაში გავრცელებულ არაიბერიულ-კავკასიურ ენათაგან ოდნაობით ხარისხს გამოყოფენ სომხურში (სუფიქსი -avun); ოდნაობითი შინაარსის ზედსართავი სახელები იწარმოება ოსურში (სუფიქსი -gomau), რუსულში (სუფიქსი -оватый), თუმცა მათ ხარისხის ფორმებს არ მიაკუთვნებენ.

ოდნაობითი ხარისხის ფორმებს, რომელთა წარმოება აზერბაიჯანულში სუფიქსურია (ერთ-ერთი მათგანია -rag), შედარებით-კნინობით ფორმებს უწოდებენ.

ოდნაობითი შინაარსის გადმოცემა სუფიქსების საშუალებით შესაძლებელია გერმანულში, ფრანგულში, ინგლისურში..., სხვა ოჯახის ენებშიც.

ამრიგად, ოდნაობითი (კნინობითი) შინაარსის ზედსართავი სახელები მრავალ ენაში დასტურდება, თუმცა მათ სპეციალისტების მიერ სხვადასხვა კვალიფიკაცია ეძლევა. საკითხი იმის მიხედვით წყდება, თუ ზედსართავი სახელის ხარისხის ცნების როგორ განმარტებას ემყრება მკვლევარი... ჩვენთვის მისაღებად ის თვალსაზრისი, რომელიც „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ VII ტომშია წარმოდგენილი (რედაქტორები: ი. გიგინეევილი, ბ. ფოჩხუა): **ხარისხი არის „ზედსართავი სახელებისა და ზმნისართების ფორმა, რომელიც მიუთითებს ამ ზედსართავით ან ზმნისართით გამოხატული თვისების შეტ-ნაკლებობაზე“** (ხაზგასმა ჩვენია — ვ. შ.). შესაბამისად, დერივაციის შედეგად მიღებული ოდნაობითი შინაარსის გამომხატველი ზედსართავისა თუ ზმნისართის ყველა ფორმა ოდნაო-

ბითი ხარისხის ფორმებად მიგვაჩნია.

ოდნაობითი შინაარსი აღწერითადაც შეიძლება გადმოიცეს — ზედასართავ სახელებთან სიმცირის აღმნიშვნელი სხვადსხვა სიტყვის შეხამებით; ასეთი შემთხვევების განხილვა შემდგომში იგარაუდება.

იზა ჩანტლაძე, ნინო ნაკანი

ქართული ნატურმედიცინის ტერმინოლოგიურ კვლევასთან დაკავშირებული პრობლემები

ხალხურ სამედიცინო ხელოვნებას ოდითგანვე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. მარტო ის რადიორს, რომ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში **500**-ზე მეტი „სამკურნალო წიგნია“ დაცული, ხოლო „მკურნალთა მეფის“ — ავიცნას მიერ **785** მცენარეული, ცხოველური თუ მინერალური საშუალებანი ჩვენამდე ორი ტომის სახითაა მოღწეული და ათასწლოვან ტრადიციებზე მიუთითებენ. მთელ მსოფლიოში სახელმოხვეჭილმა ჩინურმა ნემსთერაპიამ ნაწილობრივ შეიძლება გაგვახსენოს საქართველოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნემსები, სავარაუდოდ, ჭრილობათა გასაკერად რომ გამოიყენებოდა. სვანეთში ეგზემას მკურნალობდნენ ე. წ. „თეთრ ძარღვებზე“ (პერიფერიულ ნერვულ ბოჭკოებზე) ნემსის ჩხვლეტით, რაც, აგრეთვე, მოგვაგონებს ჩინურ აკუპუნქტურას. ასევე ცნობილია ჰეკატეს ბაღის მცენარეთაგან დამზადებული სასწაულმოქმედი წამლები, რომლებსაც ძველი კოლხები წარმატებით ხმარობდნენ სამკურნალოდ (შენგელია).

ხალხური მედიცინის შესწავლის თვალსაზრისით საკმაოდ იშრომეს ქართველმა მედიკოსებმა და ეთნოლოგებმა, ლინგვისტები კი შედარებით მოკრძალებულად გამოვიყურებით. არაერთი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო, დღემდე სათანადოდ ვერ გამოვიყვლიერ ნატურმედიცინის ტერმინოლოგია ყველა ქართველური ენის

(განსაკუთრებით „მოვიკოჭლებთ“ ლაზურის შესწავლის მხრიց!) თუ მათი დიალექტური მონაცემების გათვალისწინებით, რაც განსაკუთრებით საშურია ზეპირი მეტყველების შემთხვევაში, მით უფრო, თუ ეს მეტყველება, უამთა უკუღმართობის გამო, მოწყვეტილია მშობლიურ ფესვებს. ენაც და ნატურმედიცინაც ერის კულტურის შემადგენელი ნაწილია, ამიტომაც, ვფიქრობთ, ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ იმ ვითარებაში, როდესაც თურქულმა ენამ ლამის წალეკოს თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა მეტყველება, ქართულშიც და ლაზურშიც სამკურნალო ფლორისა და ფაუნის ტერმინოლოგია დღემდე, ძირითადად, ქართულია ან — ლაზური, არაერთთაობაგამოვლილი.

მაშასადამე, როგორც ჩანს, სხვა უმნიშვნელოვანეს ფაქტორთა გვერდით ქართველი ერის ერთიანობის სახეს ტრადიციული მედიცინის წამლები, მეთოდები, ხერხები და ტერმინოლოგიაც განსაზღვრავს. ამიტომ სულაც არაა გასაკირი, რომ საქართველოში სახალხო მკურნალს უდიდეს პატივს სცემდნენ — სვანეთში მას **გიმურღერბეთ** („მიწაზე ღმერთი“) საც კი უწოდებდნენ (ბურდული).

დიდი ივანე ჯავახიშვილი ბრძანებდა: „ძველი ქართული სამკურნალო მწერლობის მეცნიერული შესწავლა და გამოქვეყნება ძნელი ამოცანაა, რისთვისაც საჭიროა ორგვარი ცოდნა — სამკურნალოც და ისტორიულიც; ამასთანავე, ძველი ქართული სათანადო სამეცნიერო ენა და ტერმინოლოგიაც უნდა ესმოდეს კარგად იმ პირს, რომელიც ასეთ მიზანს დაისახავს“.

დასავლური ქართული დიალექტების კვლევისას აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება არა მხოლოდ ზანური ენის ანარეკლს (რაც აქამდეც მიმდინარეობდა მეტნაკლებად), არამედ სვანურსაც. ასე მაგალითად: მესხურ-ჯავახურში **ჰეურტ-ვა** „დაწაფებით სმას“ ნიშნავს, ხოლო ლეჩხუმურში მა-**ჰეურტ-იას** „შაქრიანი დიაბეტით დაავადებულს“ უწოდებენ, შდრ. ძგ. ქ. წ. **წეურტი**-ი „სნეულობა არს, რომელი მრავალს წყალსა ასმევს კაცს და განახმობს სიმჭლით“ (საბა), **ჰეურტი**-ი (დ. ჩუბინ.). მეგრულში დღეს გვხვდება ამ ძირის სისინა ვარიანტი **წეურტი-ი/წეირტი-ი**, აჭარულში კი **ჰეურტი/ჰეურტა**, რაც მოულოდნელია. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ივარა-

უდება, რომ მოსალოდნელი ზანური შიშინა ფორმა შემონახული უნდა იყოს ლეჩხუმურ დიალექტში (ჩუხუა), ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ სვანური ენის ჩოლურულ მეტყველებაში დადასტურებული წყურ-მუტ ლექსემაც („ძლიერი სურვილი წყლის დალევისა“), რომელიც კომპოზიტად შეიძლება იქნეს გააზრებული („მეტი წყალი“?), უნდა ჩავრთოთ წყურტ- / ჭყურტ- ძირთა ანალიზში. დღეს ჭყურტ-ი / ჭყურტ-ა გურულ და აჭარულ დიალექტებში გვხდება სრულიად სხვა სემანტიკითაც, რაც, სამწუხაროდ, არ არის გათვალისწინებული სამეცნიერო ლიტერატურაში, ხოლო, ასე რომ მომხდარიყო, ალბათ, შესაძარებელ ძირთა სტრუქტურული ანალიზის შედეგად მიღებული ეტიმოლოგიაც განსხვავებული იქნებოდა.

პროფესორ რამაზ სურმანიძის მიერ მაღალმთანი აჭარის სოფელ აგარაში აღმოჩენილ კარაბადინში (XVIII ს.) ჭყურტის („შაქრიანი დიაბეტის“) წამალზეც კია მსჯელობა: „მოიტანე მჟავე ბროწეულის თავბოლო, დაალბე, გამოსწურე და წყლით ასვი“ (სურმანიძე). ტექსტში ამ ლექსემის შიშინა ვარიანტის არსებობის (და კიდევ სხვა მონაცემთა) მიხედვით ჩვენ შესაძლოა ვივარაუდოთ მისი შექმნის სადაურობაც.

თუშურ დიალექტში **მარგ**-ი „თხის სნეულების“ აღმნიშვნელია, ხოლო ძველ ქართულში **მარგ-ული** „უმრთელებელ წყლულს“ გადმოსცემს, ქიზიყურსა და ხევსურულში კი — „სახსრების ავადმყოფობაა, სახსრის ძვლის ჩირქოვანი, განუკურნებელი იარა“. მოსალოდნელია, რომ „მარგიმუშეის“ პირველი კომპონენტი სემანტიკურად ამ ფუძესაც უკავშირდებოდეს.

ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლამ გვიჩვენა, რომ საერთოქართველური ფუძეენის არსებობის საგარაუდო ეპოქის მონაცემი არ გვაქვს არც სახალხო და არც ოფიციალური მკურნალის აღსანიშნავად. ყველგან ნასესხები ლექსემები (**აქიმი/ექიმი, დასტაქარი, დოქტორი**) გამოიყენება, ოღონდ საქართველოს მთიანეთში „აქიმი“ მხოლოდ ქირურგსა თუ ტრავმატოლოგს ეწოდება, ხოლო სხვაგან — ყოველ მკურნალს (შდრ. შანიძე). ხევსურეთში „ტკბილის ჭელის აქიმი“ პევია იმ ქირურგს, რომლის ნამკურნალევი და შეხვეული ჭრილობა ნაკლებად სტკივათ, ხოლო შესიტყვება „აქიმს დააყე-

ნებს“ ნიშნავს დაჭრილისთვის ექიმის მიყვანას დამჭრელის ხარჯით. იგივე სიტუაციაა სვანეთში, მაღალმთიან სამეგრელოსა თუ აჭარაში. იმის გამო, რომ აღნიშნულ ტერიტორიებზე უკანასკნელ ხანებამდე არსებობდა მტრის სისხლის აღების ადათ-წესი და, ამასთანავე, რელიეფის სირთულითა ან უგზოობით გამოწვეულ ტრავებს ხშირი ხასიათი ჰქონდათ, ეთნოტრავმატოლოგები დიდ პატივში იყვნენ. ეს არცაა გასაკვირი! — ისინი ხომ ქართველ ხალხში ტრადიციულად დაგროვილი ემპირიული ცოდნის წარმომადგენლები იყვნენ! კლასიკური ბრინჯაოს ეპოქის სამარხთა არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი დანების გამოყენება ოპერაციებისთვის წერილობითი წყაროებითაც დასტურდება (შენგელია), რაც, უპირველეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ეთნოქირურგია უძველესი დროიდან მოდის.

მკურნალთა გამომხატველი ტერმინების თვალსაზრისით რამდენადმე თავისებურად გამოიყურება „ვეფხისტყაოსანი“; მასში ქირურგის აღმინშვნელია **დასტაქარი**, რომელიც გენიალურ პოემაში სულ სამჯერ გვხდება სხვადასხვა ბრუნვისა თუ რიცხვის ფორმით (დასტაქარი — 598,1; დასტაქარ-მან — 894,3; დასტაქარნი — 526,2), ხოლო **აქიმი** ზოგადი მნიშვნელობის ცნებაა და უფრო ხშირად გამოიყენება.

სწორად სეგმენტირებული ფუქების სტრუქტურული ანალიზის შემდეგ საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ქართულ ხალხურ სამედიცინო ტერმინთა სემანტიკურ მხარეს. მათი უმეტესობა ზუსტად და ლაკონურად ასახავს დაავადების უმთავრეს სიმბტომატოლოგიას (ა. ბერიძე). ამჯერად შევეხებით მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს, რომელიც ქველი ქართული ტექსტებიდანვე ჩვენთვის ცნობილი ავთვისებიანი სიმსივნის — კიბოს სახელწოდებად — ესაა **მ-ჯდომა-ი**, რომელიც აჭარულ და ფშაურ დიალექტებში დღესაც გვხვდება, ოღონდ მიმღეობური მ-პრეფიქსის გარეშე (**ჯდომა-ი**).

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ **მჯდომა-ი** არის „შიგანში დიდი მუწუკი“, ხოლო აგარული კარაბაღინის მიხედვით, „იგი ავთვისებიანი სიმსივნეა“. **ჯდომა-ი** საილუსტრაციოდ თ. გოგოლაურის მიერ მოყვანილი ვაჟასეული ციტატიდან („რამდენს გაუს-

კდა მუცელი, დაემართა ჯდომი“) მთლად ნათელი არაა მისი მნიშვნელობა (გოგოლაური), თითქოს „მუცლის ტკივილი“ იგულისხმება. აჭარაში „მჯდომის“ წამლად ხმარობდნენ „ჯდომის ბალას“, რომელიც იგივე უნდა იყოს, რაც „ყვავისფრჩილა“, ციების, ხველისა და მუცლის ტკივილის დროს რომ იყენებდნენ.

პროფესორ აკაკი ბერიძის დაკვირვებით, მაღალმთიანი აჭარის ზოგიერთ კუთხეში ჯდომი „გულის უკმარისობაზე მიუთითებს. ამ დაავადებით ავადმყოფ წოლით მდგომარეობაში ყოფნა არ შეუძლია, ამიტომაც დღე-ღამის უმეტეს ნაწილს სკამზე ან სავარელში ატარებს.“

გულისა და მუცლის ტკივილის ერთი და იმავე მეთოდით მკურნალობის სხვა შემთხვევაც შეიძლება დავადასტუროთ დასავლეთ საქართველოში. ქედის რაიონში აღმოჩენილ ხელნაწერში ისლისებრთა გვარის ერთ-ერთი ბალახის სახელწოდებაა **‘ი’ელუსალემაი**, რომელსაც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ადგილას ხმარობენ მუცლის ტკივილისა და საკვებით მოწამვლის დროს, აჭარაში კი მას იყენებენ „გულზე ჭირების“ (სპაზმების) შემთხვევებში. იმავე კარაბალინში „ჯდომის ხველა“ და მისი მკურნალობის წესებიცაა დასახელებული (სურმანიძე), მაგრამ თავად რა დაავადებასთან გვაქვს საქმე, ეს არაა მითითებული.

ჯ- ძირი არც ერთ ქართველურ ენაში არ გვხვდება, ქართულის გარდა, მაგრამ ჩვენი ყურადღება მიიქცია სვანურმა ლექსემამ ფუჟური, რომელსაც ოთხი მნიშვნელობა აქვს: ძირმაგარა (საბალლამე სიმსიგნე), ჩიყვი, ხის ნუჟრი და სააბედე სოკო. იგი უნდა უკავშირდებოდეს დასავლურ ქართულ გა-ფუჟურ-ვა („გაბერვა, გაფხორვა“), ა-მო-ფუჟურ-ვა („ამობერვა, ამოზრდა“) და სვანურშივე დადასტურებულ ზმნურ (ლი-ფუჟურ-უ-ე „ამოწევა, ამოზრდა, ამობერვა“) ძირებს, რომელთა სემანტიკის გათვალისწინება („სხეულის ან რაიმე საგნის ზედაპირზე ყოფნა“; შდრ. სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილი მეტად საინტერესო, თუმცა განსხვავებული ეტიმოლოგია — ჩუსუა), ვფიქრობთ, დაგვეხმარება ძველი ქართული, ფშაური და აჭარული **‘შ-ჯ-ომ-ი ფორმის მნიშვნელობის გარკვევაში „მუწუკის, ავთვისებიანი სიმსიგნის, ძირმაგარის...“ სასარგებლოდ. რაც შეეხება**

„გულის უკმარისობაზე“ მითითებას, შესაძლოა ეს მნიშვნელობა მეორეული, შედარებით გვიანდელი ეპოქისა იყოს, რომელსაც, ალბათ, ეხმიანება ერთი ხეგსურული სინტაგმა **ხრინ ამაუკდების** („აქმშინდება“).

ეთნოლოგიურ ლიტერატურაში **მჯდომი** არტერიული წნევის მომატებით გამოწვეული ტკივილის აღმნიშვნელიცაა; „მჯდომი მომაწვაო, — იტყოდნენ, რომელსაც სისხლის გამოშვებით მკურნალობდნენ“ (მინდაძე).

სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ქართული ხალხური სამედიცინო ტერმინოლოგია უნდა შევისწავლოთ სამ ქრონოლოგიურ ჭრილში:

- ა) საერთოქართველური მასალა;
- ბ) უშეალოდ ქართულიდან ნასესხები მონაცემები მეგრულ-ლაზურსა და სვანურში (იდენტური თუ ფონეტიკურად სახეცვლილი);
- გ) ქართულ ტერმინთა ფორმისა და შინაარსის წარმოდგენა მეგრულ-ლაზურით თუ სვანური ენების ლექსიკითა და გრამატიკული ინვენტარით.

თუმცა ეს კლასიფიკაცია უნივერსალური არ გახლავთ და, თავისთავად ცხადია, ნატურმედიცინის ყველა ტერმინს ვერ მოიცავს. ამის საილუსტრაციოდ გამოგვადგებოდა აკადემიური თუ არაოფიციალური მედიცინის ერთ-ერთი მთავარი ტერმინი **ჯან-მ-რთ-ელ-ობა-**, რომელიც ჟელ ქართულში არ გახვდება: **ჯან-ი** აღმოსავლური (სპარსული) სამყაროდან ნასესხები სიტყვაა, როგორც ჩანს, შედარებით გვიან და ამიტომაც პრექართველურ დონეზე ვერ აღდგება. რაც შეეხება საანალიზო კომპოზიტის მეორე კომპონენტს, იგი **მრავლობა/სიმრთელის** სახით დასტურებულია ძველ წერილობით ძეგლებში და სწორედ „ჯანმრთელობას“ ნიშნავს, საიდანაც შესული უნდა იყოს მეგრულში **სი-ნთ-ელ-ე/სგ-ნთ-ელ-ე** ლექსემის სახით; თავად ფუქსიურია ლიტერატურული დონეზე ნილია ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის (ქართ. **მრავლობა** — მეგრ. **თარი-ი** „ჯანმრთელი“; კლიმოვი; ფენრიაზი, სარჯველაძე), მაგრამ, თუ სვანურ თელ ძირსაც გავითვალისწინებთ, რომელიც მთელ სვანეთშია გავრცელებული, მა-

შინ საანალიზო ფუძე შეიძლებოდა აღგვედგინა საერთოქართველური დონისათვის. რაღა თქმა უნდა, სვანური კამთელ, მეგრული კამთელი და ლაზური კანთელი უშეუალოდ ქართული კომპოზიტის სახეც-ვლილების შედეგია, რაც იმაზეც მიუთითებს, რომ ქართველურ ენა-თა სიტყვების ინლაუტში სონორი რ არამდგრადი ფონემაა — ხან იკარგება (რასაც აქ მოყვანილი ზანურ-სვანური მასალაც ადასტურებს), ხანაც სრულიად მოულოდნელად ჩნდება ინტერკონსონანტურ პოზიციაში (თავისი ისტორიული სონანტური ბუნების გამო ხომ არა?).

ხევსურულ დიალექტში **სიმთელე** „ჯანმრთელობასთან“ ერთად „სიცოცხლესაც“ ნიშნავს, შესაბამისად — **მთელი** „ცოცხალია“ ან — „საღი“.

სვანურ ენაში „გამოჯანმრთელებას“ სხვა ტერმინიც გადმოსცემს; ესაა **ლი-ჰდ-ურ-ე**, რომელიც სემანტიკურად, აგრეთვე, „გა-მრთელებას“ ნიშნავს (შდრ. **მთელობა**, поправлять, лечить — ნიუარაძე). **გამთელება**, ბესარიონ ნიუარაძის განმარტებით, არის **ლი-უგ-ენ-ი**, რაც „წამლობაზე“ მიუთითებს, მისი რუსული ეკვივალენტია „заживлять (рану)“, ხოლო „ჯანმრთელობა“ სვანურშიც აბსტრაქტული წარმოებით გამოიხატება (**ნა-ჰდ-ურ-ი**). იგანე ნიუარაძეს ამ მნიშვნელობით ჯან ლექსემაც აქვს მითითებული თავის „Русско-сванский словарь“-ში (1919: 117). რაც შეეხება „ჯანმრთელის“ გადმოცემას, ჩოლურულ მეტყველებაში ქართული კომპოზიტია (**ტან-თელ** „ტანმთელი“) გამოყენებული.

საგულისხმოა, რომ ქართული **ტან-მ-რათ-ელ-ი** ადამიანის სწორედ სხეულის (და არა ჯანის, ღონის, ძალის — როგორც ეს აღმოსავლურ მედიცინაშია) მთლიანობას, ანუ დაურღვევლობას გამოხატავს. ჩვ. წ.-მდე 5000 წლის წინანდელი რეცეპტების მიხედვით ტიბეტური ნატურმედიცინა ახლაც განსაკუთრებით ხშირად მიმართავს ბიოენერგორეგულატორებს ნანო, კრიო და სხვა ტექნოლოგიათა საშუალებებით, რომლებიც წარმატებულად მუშაობენ ორგანიზმის ენერგიის რეგულაციისთვის (ა. ბერიძე).

რამდენადმე სპეციფიკურად გამოიყურება ქართული ენის იმერული დიალექტი, რომელშიც ჯანმრთელობასა თუ სიჯანსაღეს აღ-

ნიშნავს მთელ საქართველოში გაფრცელებული კომპოზიტის სახეც-ვლილი ვარიანტი **ტან-ის-ნება.**

ლიჟდურე და **ლიჟეგნი** მასდარისეული ფორმებია, ოღონდ პირველი მათგანი ასახავს მკურნალობის შედეგს, მეორე კი — პროცესს.

მაშასადამე, ქართველურის მონაცემები მხარს უბამენ მსოფლიოს სხვა ენათა სემანტიკურ უნივერსალიებს. (შდრ. რუს. ис-цел-ен-ие „განკურნება, მორჩენა < გამთელება“, ის-цел-იტ-ელ „მკურნალი < გამამთელებელი“, ცელა „მთელი, უვნებელი, დაუზიანებელი“ (მ. სააკაშვილი, ე. გელაშვილი, მ. შენგელია, ა. ბერიძე).

ამ თვალსაზრისით პირველ რიგში უნდა იქნეს გამოკვლეული ქართული (განსაკუთრებით კოლხური) ნატურმედიცინის მიმართება ძველ ბერძნულ და ჩინურ-ტიბეტურ მედიცინასთან პარალელთა თუ განსხვავებათა ძიების მხრივ როგორც „სააქიმო“ (ეთნოსამედიცინი), ისე ფიტოფარმაკოთერაპიული და ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით. მაგალითად, არაერთი დაავადების ტიბეტური მეთოდით მკურნალობა სოკოთი, რომლის ფესვებთან ჭიაყელა წევს, შესაძლებელია მოგვაგონებდეს ჭრილობათა მოშუშების წესებს ქართული ხალხური მედიცინისა, რომელიც მიმართავს ხოლმე სხვადასხვა სახის ჭიას. გარდა ამისა, ჭრილობიდან სისხლდენის შესაჩერებლად სვანეთში ხმარობენ ფშუკურა სოკოს (**მაღათუს/თუსბალე**) *Lycoperdon*.

საქართველოს ფლორის, ფაუნის, სამკურნალო ქვების, ძვირფასი მეტალების, სატაძრო მედიცინისა თუ მინერალური წყლების აღმნიშვნელი ტერმინოლოგია აშკარად ავლენს ორ ძირითად ასპექტს:

1. უძველესი ეპოქებიდან მომდინარე;
2. ქრისტიანობის შემდგომი ეპოქა (**ქართ.** ქრისტესისხლა, ქრისტესთვალა, ქრისტესნეკა, ქრისტეს ცრემლები, ქრისტესბეჭდა, ქრისტესბალახა, ქრისტესგვირგვინა, იორდასალამი, იელუსალემაი,... **მეგრ.** ქრისტეში ბეჭედი,... **სვან.** ქრისდესისხლად;...), რომლის მონაცემებს აქვს უამრავი დიალექტური ვარიანტი. მათი მხოლოდ ნაწილია წარმოდგენილი შესაბამის ლექსიკონებში. ერთ-ერთი აიურვედის

მიხედვით ცნობილია, რომ ბალახს *Chelidonium majus*, რომელიც ქართულ „ქრისტესისხლას“ შეესაბამება, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, XII საუკუნეში, იყენებდნენ ნაირ-ნაირ სიმსივნეთა მოსარჩენად თუ ჭრილობათა სამკურნალოდ ინდოეთში (ალ. ბაკურიძე). იგივე ხდებოდა (და ახლაც ხდება) საქართველოში (ნ. მინდაძე, შ. ფუტკარაძე, ა. ბერიძე, ნ. ჩირგაძე). სავარაუდოა, რომ სინონიმთაგან (ხევსურული **სისხლბალახა**, გურული **ცეცხლეკალა**, აჭარული **ქარცეცხლა**, **საყვითლო**, ქიზიყური ყორის ყაყაჩი, რაჭულ-ლეჩხუმური **ცენისცოფა**, ინგილოური **სურსულაი წამალ**, მეგრული **ნაწიფუ, ქაში ზისხირი**, სვანური მგლფი „**ჭედიშა მელილდ**“) ზოგი უფრო ძელია (ქრისტიანობამდელი) ან კომპოზიტური თუ აღწერითი წარმოების (შედარებით ახალი) მონაცემი.

ამრიგად, ნატურმედიცინის ტერმინოლოგიის ქართველურ ენათა მონაცემების მიხედვით წარმოებულმა ფრაგმენტულმა ანალიზმაც კი დაადასტურა, რომ ხალხურ სამკურნალო საშუალებათა ფესვები შორეულ წარსულში ძევს. „პირველი აფთიაქი ბუნებამ გახსნა — ავადმყოფის განსაკურნებლად დედამიწის ნებისმიერ კუთხეში მოიძებნებოდა წამალი“ (შ. ფუტკარაძე). ხალხურმა მედიცინამ უხსოვარი დროიდან გადაშალა ვერმონტის („მწვანე მთის“) წიგნის ფურცლები (ჯარვისი). მარტო ჩინური უენწენის („სიცოცხლის წყაროს“) დასახელება რად ღირს!.. ერთი აღმოსავლური ლეგენდის მიხედვით, სახელგანთქმულ სახალხო მკურნალს, ლოქმან ჰექიმს, ტაო-კლარჯეთსა და აჭარაში უნახავს **დვალური** (*Polygonum bistorta*) და უთქვამს: თქვენ ექიმი არ გჰირდებათ, ეს მცენარე არის თქვენი ექიმიო. მართლაც, „აღამიანი ბუნების შვილია და მკურნალობა ისევ ბუნებისაგან ბოძებული ნიგთიერებებით აჯობებს ქიმიური წამლისმიერი დაავადებისაგან თავის დასალწევად“ (ბერიძე).

მანანა ჩახანიძე

იდიომურ ერთეულთა ლინგვისტურ-ლექსიკოგრაფიული კონსტრუირებისათვის ქართულში

იდიომთა აღწერის მეტაურის აგება არის ურთეულესი ამოცანა ყოველ ნაციონალურ ლექსიკოგრაფიაში, რამდენადაც იდიომები ინფორმაციის კომპრესიის უძლიერესი საშუალებაა. ამასთან მიმართებით იდიომურ ერთეულთა რეგისტრაციასა და ინტერპრეტაციას, როგორც მათი აღწერა-გამოკვლევის ხერხს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლინგვისტურ-ლექსიკოგრაფიული კონსტრუირებისას.

ლინგვისტური კონსტრუირების მთავარი პრინციპი — „როგორ გავაკეთოთ“ — არ არის მხოლოდ ტექნიკური შინაარსის, ის არის შესწავლის მეთოდიც, რომელიც ვარაუდობს როგორც ანალიზს, ისე სინთეზს (ი. კარაულოვი). ჩვენ მიერ შემოთავაზებული ლინგვისტურ-ლექსიკოგრაფიული კონსტრუირება იძლევა რიგ ამოცანათა არა მარტო თვისებრივ, არამედ რაოდენობრივ გადაწყვეტასაც. გარდა ამისა, ლინგვისტურ-ლექსიკოგრაფიული კონსტრუირება კომპლექსური მიღების ფარგლებში ეფუძნება იმგარი მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა: დესკრიფიული მეთოდი, ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაცია, ლექსიკოგრაფიულ კოორდინატთა სისტემა, ლექსიკოგრაფიული ზონა, ციტაცია, ვერიფიკაცია, მონაცემთა ბაზების ქსელური, იერარქიული და რელაციური ფორმატი, ელექტრონული ლექსიკონის ფორმატი.

იდიომთა რელევანტური ნიშნების კონსტრუირების პრინციპები წარმატებით შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ იდიომურ ერთეულთა დიდი რაოდენობის ანალიზის საფუძველზე. ჩვენს ხელთ არსებული უზარმაზარი ფაქტობრივი მასალა — ქართული ენის ფრაზეოლოგიური ფონდი (როგორც ნაწილი ქართული ენის განმრატებითი ლექსიკონის სადოკუმენტაციო ფონდისა) გვაძლევს საშუალებას განხორციელდეს იდიომურ ერთეულთა ლინგვისტურ-ლექსიკოგრაფიული კონსტრუირება უკლებლივ ყველა ლექსიკოგრაფიული კოორდინატის მიხედვით.

ზედსართავი სახელის ქართველური სისტემა და აღმატებითი ხარისხის ერთი ფორმისათვის შეგრულ-ლაზურში

ისტორიულად ფიქსირებულ ქართველურ ენა-კილოებში ზედსართავი სახელის ხარისხის რაოდენობა (და აქედან გამომდინარე, თვისობრიობაც) განსხვავებულია. სალიტერატურო ქართულში (ასევე დიალექტებში) ხარისხის სამი ფორმაა ბუნებრივი: დადებითი (ნეიტრალური), უფროობითი და შედარებითი; ზანურ კილოებში ხარისხის ოთხი ფორმა დასტურდება, აյ დამატებით ვლინდება თანაბრობითი ხარისხის ორგანული წარმოება: მეგრ. **მა-შე-ა // მა-შე-ა** „ისე მსხვილი, როგორც...“ ლაზ. **მა-პე-ან-ა // მა-პე-ა** „id“. სვანურშიც ასევე ოთხით შემოიფარგლება ზედსართავ სახელთა ხარისხის მაჩვენებლები, ოლონდ სვანურ დიალექტებში, მეგრულ-ლაზური თანაბრობითი ხარისხის ნაცვლად, მკვეთრად გამოხატული აღმატებითი ხარისხის ფორმათა პროდუქტიული წარმოება შეინიშნება, შდრ.: **სგელ „სქელი“, ხ-ო-ნსგლ-ა „უსქესი“, სგელ-არა „მოსქელი“, მა-ნსგლ-ე „ყველაზე სქელი“.., ანუ სვანურში, როგორც ვხედავთ, აღმატებითი ხარისხის ნიშნად ცალკე **მა- - ე** კონფიქსი გამოიყოფა.**

საერთოქართველურშიც აღმატებითი ხარისხის მაწარმოებლად, სვანური მონაცემის გათვალისწინებით, ***მა- - ე** პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება აღდგება, რასაც, შესაძლებელია, ზანური ენის მეგრულ დიალექტში ერთადერთ რელიქტად შემორჩენილმა მაგალითმაც დაუჭიროს მხარი. ჩვენი დაკვირვებით, ასეთ ბედნიერ გამონაკლისად უნდა ვალიაროთ **მო-ტოლუ-ა** ფორმა მეგრულში. შინაარსით **მო-ტოლუ-ა** აღნიშნავს ცერულპოვარს, აღმატებულს, ყველაზე მეტს. ზეპირ მეტყველებაში გაფრცელებულია მყარი შესიტყვება: **ირ-ფელიშ//ირკიშ** **მო-ტოლუ-ა რენ** — „ყველაფერზე (ყველა კაცზე, ადამიანზე) უმეტესია“. მოცემული სიტყვის ფორმალური ანალიზით, ზედსართავი სახელის დადებით (ნეიტრალურ) ფორმად (ფუქედ) **ტოლუ** გამოიყოფა, რომელიც კანონზომიერად ჩადგება მსგავსი აგებულების -უ დაბოლოებიან ზედსართავ სახელთა რიგში: **შხუ**

„მსხვილი“, **თითხუ „თხელი“**, **ჭირკუ „წვრილ-კენკროვანი“**... ხოლო გამონაწევრებული **მო-** — -ა კონფიქსი გამოყოფოდა აღმატებითი ხარისხის ნიშანდ, რაც კანონზომიერი მორფოფონეტიკური შესატყვი-სი იქნებოდა რთული შედგენილობის სვანური **მა-** — -ე მარკერისა აღმატებითი ხარისხის ზედსართავებში, შდრ. ბგერათშესატყვისობა სვან. **ა :** ზან. **ო,** სვან. **ე :** ზან. **ა...** ფაქტია, აღმატებითი ხარისხის გამომხატველი ეს ერთადერთი ფორმაც მყარი გამონათქვამების წყალობით შემოგვენახა, თუმცა აქ გამოყოფილი **მო-** — -ა კონფიქსის მიხედვით ადვილად აღდგებოდა ის რეალური ვითარება, რაც ისტორიულად დამახასიათებელი იყო მეგრული მორფოლოგისათვის. ანალოგიის წესით რეკონსტრუირდება თეორიულად შესაძლებელი შემდეგი ენობრივი ფორმები: **შხუ „მსხვილი“** — ***მო-შხუ-ა „ყველაზე მსხვილი“, თითხუ „თხელი“** — ***მო-თითხუ-ა „ყველაზე თხელი“, ჭირკუ „წვრილ-კენკროვანი“** — ***მო-ჭირკუ-ა „ყველაზე წვრილი“** და ა. შ.

უნდა ვიგარაუდოთ, რომ აღმატებითი ხარისხის ფორმათა მოშლა მეგრულ-ლაზურში გამოწვეულია რთული ენობრივი სისტემის გამარტივების საერთო ტენდენციით ქართველურ ქვესისტემებში, რაც ყველაზე მეტად ქართულს შეეხო, სადაც უცვლელად ძველი ქართულიდან დღემდე მხოლოდ სამწევროვანი სისტემა ფუნქციონირებს.

საყურადღებო ჩანს სვანური ოდნაობითი ხარისხის **-არა** (**სგელ-არა „მოსქელო“**) სუფიქსური წარმოებაც, რაც მატერიალურად ქართულსა და მეგრულში თავტენილი **/მო- -ო/ : /მო- -ე/** (**მო-შავ-ო : მო-უჩ-ე**) კონფიქსური დერივაციისაგან აბსოლუტურად განსხვავებული ჩანს. მისი წარმომავლობის დადგენის თვალსაზრისით, ჩვენს ყურადღებას მიიპყრობს ლაზური მასალა, სადაც სვანური **-არა** სუფიქსის ზუსტი შესატყვისი გამოვლინდა: (**მო-//დო-მჭით-ორა „მოწითალო“**. ლაზურის შემთხვევაში ისიც არის საინტერესო, რომ თავკიდურ პოზიციაში ვითარება ქართულ-მეგრულისებურია, ზმნის-წინი გამოიყენება, ხოლო ბოლოკიდურა აფიქსი სვანურისას ემთხვევა და საერთოქართველური ფუძე-ენის ***-არა** მორფემას ასახავს.

ვვარაუდობთ, რომ საერთოქართველურ ფუძე-ენაში ზემოთ აღწერილი ყველა ხარისხის ფორმა საკუთარი მარკერებით იყო წარმოდგენილი და წინაპარი ენისთვის შედარებით-ისტორიული შესწავლის გზით შესაძლებელია უფრო რთული ამოსავალი სისტემის რეკონსტრუქცია, სადაც (რომლის შიგნითაც) ფუნქციონირებდა შემდეგი ხარისხის ფორმები: დადებითი (ნეიტრალური), ოდნაობითი (*-არა), თანაბრობითი (*მე- — -ე), შედარებითი (*უ- — -ე), აღმატებითი (*მა- — -ე). დიდი ალბათობით, გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება ის ფაქტიც, რომ, გარდა ოდნაობითისა, ყველა გარკვეული ნიშნით მარკირებული ხარისხის ფორმა კონფიქსური წარმოებისაა და ყოველი მათგანის მეორე (ბოლოსართულ) წევრად -ე სუფიქსი მეორდება.

ნინელი ჭოხონელიძე

ავან- / ავანგ- ფუძეთა ომონიმური ცალების ისტორიისათვის

ავანი¹:

1. **ავანი** სოფელი: „მოიწივნეს **ავანსა** თილს“ (ნრს. 79, 5) — ი. აბულაძე.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სპ. āvahana > სომხ. > **աւան** > ქართ. ავანი (ილია აბულაძე). შდრ. ამავე წარმომავლობისა და მნიშვნელობის ვანი.

ავანი²:

1. **ავანი** (არ. მრ. რ. ავანი) [მხოლ. რიცხვისაგან ანია] ჭურჭლები, ვაზები. დანაყენ წამალნი... **ავანთა** უკან აქცივე და შერივნე ერთად (ქანანელი).

2. **ავანი** (სპ. ჰავანი, ან ჰავანგ): ქვის სანაყელი, როდინი. სადაცი ჰინდი **ავნისა** არ გარგა, რაცა **ავანშიგა** ძირსა დარჩების, ისი

არ ვარგა (ფანასკერტელი). **ჰავანი:** აიღე სურმაგი, სპაპანი... კეკე-ლად ჰავანთა ჩასდვა... ესე დაჰგალნე წმიდად (ფანასკერტელი).

ზემოდასახელებული მნიშვნელობის გარდა სპარსულში **ჰავანა** ნიშნავს ასევე „თამბაქოს საჭრელს“. ეს მნიშვნელობა ფიქსირდება გურულში **სავანა** თუთუნის საჭრელი დანა-მანქანა (გურული).

თანამედროვე ქართულში **ავანი** შემონახული უნდა იყოს კომპოზიტებში: **ავანგლდასტა:** თითბრის როდინი თავისი სანაყით. — თაროებზე უწესრიგოდ ყრია საკითხავები, ეტრატის გრაგნილები... ავანდასტები და ფიალები (კ. გამს.). ზოგს ქვაბი მიაქვს, ზოგს ტაფა, ზოგს **ავანგლდასტა** (ი. მაჭავ. თარგმ.). **ავანგდასტა** სანაყი, თითბრისაა და მომრგვალებული. **ავანგ** ნიშნავს ფილს და ასტე — ხელს. (გრიშ.).

ავანქვიჯა: ხევს. სანაყელი, ფილი, როდინი, ქვიჯა (ა.შანიძე). ამავე წარმომავლობისა ჩანს მეგრული **არვანი** ქვიჯა (გ. ელიავა).

ავანი³:

ხევსურულში **ავანი** მოუსვენარი, ანცი, ამრევ-დამრევი (უფრო ბავშვზე იტყვიან). ალაგზე არ მივ ე ვაჟ-ქმელა, დაუდევარი, **ავანი**. ყმაწვილებჩი გასატევარა, **ავანი**, მარლვიელე (ხევს. ჭინჭ.). ვუშვებთ შესაძლებლობას, რომ ამ მნიშვნელობის ავანი დავუკავშიროთ თურქ. aven \ avn „თანამოაზრე, დამხმარე“ სიტყვას. შდრ. ავან-ჩავანი.

ავანი⁴:

ავანი (მოხ.) ვინმე. მწუხარებით ფიქრობდა, რომ სიკვდილის შემდეგ მისი სახელის მოსაგონებლად **ავანიც** კი არ რჩებოდა (ა. ყაზბ.).

ჩვენი აზრით, **ავანი < მავანი.**

ავან⁵-თურქ [ფრ. avant წინ] ასევე გამოიყოფა კომპოზიტებში: **ავანბაქანი, ავანსცენა, ავანგარდი.**

ავანგი:

ავანგი¹ ტრედფილი, სინის როდინი — საბა., დ. ჩუბ. იხ. **ავანი** მნიშვ. 2.

ავანგი² (სპარს., თ. heveng) თოკი, რომელზედაც რამეს აასხა-მენ გასაშრობად; თამბაქოს ხმელი ფოთლის ასხმულა.

ამ სიტყვის შესახებ მითითებულია ქეგლში. ფარდულის მთელი ჰერი სიგრძე-სიგრძობამდე თამბაქოს **ავანგებით** (გამხმარი, ზონარგაყრილი თამბაქო) იყო გამოჭურჭლული (დ. ზურაბ.).

დიალექტებში კი დასტურდება როგორც **ავანგი** (ქიზიყური, ინგილოური), ისე მისი ფონეტიკური ნაირსახეობანი **ჰევენგი, ხევენგი-გი** (აჭარული), **ხევენგი** (გურული).

ნინო ხახიაშვილი

სიტყვა „მსხემი“ და მისი რედაქციული გარიანტები ძველ ქართულ ტექსტებში

სიტყვა „**მსხემი**“ ძველ ქართულ ტექსტებში (ძირითადად, ძველი აღთქმისა და ფსალმურთა წიგნებში) დასტურდება „უცხოს“, „მწირის“, „საწუთროში მცხოვრების“ მნიშვნელობით:

„**მსხემ** ვარ შენ წინაშე და **წარმაგალ**, ვითარცა ყოველნი მამანი ჩუენნი“ (ფსალმ. 38,13); „სამებასა უფლისა საშუალოდ შევემცნე აღთქუმისაებრ, რომელმან მყო **სოფლისა მსხემ**“ (ეფრემ მცირე); „**მწირნი** და **მსხემი** ვართ სოფელსა ამას შინა, თქმულისაებრ მოციქულისა“ (აკათისტო მარიამ მეგვიპტელისა)...

დავით და ოიანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიულ ნაშრომში **მსხემი** ასევა განმარტებული: „**სხემი** // **მსხემი** ერთის ადგილით აყრილი და მეორეს ადგილს გადასახლებული კაცი ბოგონ, ეგრეთვე, ამ **საწუთოს სოფელში მცხოვრებთ** ნიშნავს (სალმრთო წერილი): „ვითარცა **მსხემ** და წარმაგალ ვართ“.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა **მსხემი** არ არის შეტანილი, მაგრამ განმარტებულია მისი სინონიმი **მწირი:** „**მწირი-ი**... 1. უცხოეთიდან გადმოხვეწილი,— უთვისტომო, უნათესავო... // უცხო მგზავრი... // გადატ. ღარიბი, უქონელი... 2. უხარისხო მონაზონი, — მორჩილი. მწირმა უარყო სოფელი, ირჩია სულით ცხონება (ვაჟა)...; **მწირი**² უნაყოფო, მოუსავლიანი...“ (ქეგლ).

მსხემი და **მწირი** ხშირად ერთმანეთის პარალელურად, სინონიმებად დასტურდება ძველ ქართულ ლიტერატურულ წყაროებში. იშვიათად, „**მწირისა**“ და „**მსხემის**“ მონაცვლე ქართულ ტერმინებად თავს იჩენს „**მოქცეული**“, „**ვედრი**“, „**შემყოფი**“, „**მოსაზღვრე**“, „**გარემოსრული** [გარემოსრული O]“, „**მრებლი**“, „**მრწემი**“, „**მდგური**“...).

ილია აბულაძის ლექსიკონში **მსხემი**- სიტყვის განსხვავებული, ზოგჯერ კი — თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავი, საპირისპირო მნიშვნელობების მქონე ლექსიკური ერთეულებია დადასტურებული რედაქციულ ვარიანტებში (მაგ., „**მკვიდრი**“ — „**მწირი**“, „**შინ მყოფი**“ — „**მოსრული**“...)¹:

„**მსხემი**- „შინ მყოფი“, „**მწირი**“, „**მოსრული**“, „**დამონებული**“, „**დამკვდრებული**“, უცხო, ყარიბი: „**მსხემი მღღელისად**“ G, — „**შინ მყოფმან მღღელისამან**“ pb., ლევიტ. 22,10; „**მსხემი იყავ ქუეყანასა მათსა**“ G, — „**მწირი იყავ ქუეყანასა მათსა**“ pb., ლევიტ. 23,7; „არა ჰქმნეთ მკვდრმან და **მწირმან მსხემმან**“ G, — „არა ჰქმნეთ მას შინა მკვდრმან და **მწირმან, რომელი მოხრული იყოს** თქუენ შორის“ pb., ლევიტ. 16,29...“

ილია აბულაძის ლექსიკონში, ასევე, დადასტურებულია: **მსხემი** || **სხემ-უოფა** „**მკვდრობა**“, „**მწირობა**“, „**წარტყულენვა**“: „**მსხემი იყო ღავას**“ G, — „**მკვდრობდა იგი ვაბაას**“ M, მსჯ. 19,16; „**მსხემი ბევრთა შორის მთისა ეფრემისთა**“ G, — „**რომელი მწირობდა ადგილთა მთისა ეფრემისთა**“ M, მსჯ. 19,1; „**რომელნი სხემ ყვნა ნაბუქოლონორ მე-**

¹ როგორც ედიშერ ჭელიძე შენიშნავს, „საზოგადოდ, „პაროიკიას“ ანუ „**მწირობას**“ (თუ ეს „**მწირობა**“ უცხო ადგილას მყარ დაფუძნებულობას გულისხმობს), არაიშვიათად მოსდევს ან პარალელურ რედაქციაში ვარიანტულად ენაცვლება სწორედ დამკვიდრებულობის შინაარსის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები (ამგვარი ვარიანტულად მონაცვლე ტერმინი ბერძნულში, ჩვეულებრივ, არის სწორედ „**მკვიდრობის**“ აღმნიშვნელი „კატოიკია“... რამდენიმე ნიმუში: „სადაცა ვინა დამკვდრებულ იყოს...“ G: „რომელსა შინა მსხემ იყოს იგი“ მსჯ. 5,17; „**წარვალ მე მწირობად**...“ G: „მე ვრონინებ დამკვდრებად“ მსჯ. 17,11; „დაადგრა მკვდრობად კაცისა მის თანა...“ G: „იწყო მსხემობად კაცისა მის თანა“ || მფ. 43...).

ფემან“ O,— „რომელნიცა წარსტყუენა ნაბუქოდონორ მეფემან“ pb., ნეგ. 7,6...

მსხემობა „მწირობა“, „მკვდრ ყოფა“, „მკვდრობა“, „დამკვდრება“: „რაღ მსხემობ ნავთა შინა“ G — „რაღსათვს მკვდრ ხარ ნავთა შინა“ M, მსჯ. 5,17; „იწყო მსხემობად (მკვდრობად M) კაცისა მის თანა“ G, მსჯ. 17,11...

მსხემობა ყარიბობა, უცხოობა: „შვილნი მსხემობისანი“ O, II ეზრა 8,35; „წარვიდა კაცი... მსხემობად ველსა მას მოაბისასა“ G,— „წარვიდა კაცი... მწირობად სოფელსა მას მოაბისასა“ M, რუთ. 1,1“... და ა.შ. (აბულაძე).

ეს, რა თქმა უნდა, თარგმანის თავისებურებით არის განპირობებული: სამეცნიერო წრეებში კარგადაა ცნობილი, რომ ძველი აღთქმის წიგნთა დიდი ნაწილის უძველესი თარგმანი ბერძნულიდან უნდა შესრულებულიყო... ამ ძველმა თარგმანებმა კი სომხურთან, სირიულთან, ებრაულთან და კვლავ ბერძნულთან შედარების მრავალი ეტაპი გაიარეს. ძველად ბიბლიურ წიგნთა თარგმნას განსაკუთრებული ღვთიური შიშითა და კრძალვით ეყიდებოლნენ, და ცხადია, ბიბლიის — „ღმრთის სიტყვის“ — ნაციონალურ ენაზე გადმომლები მორწმუნე ქრისტიანი მთარგმნელი ცდილობდა, მაქსიმალურად ჩასწერილი დედნისეულ აზრს და ინდივიდუალური ინტერპრეტაციის გარეშე გადმოეტანა ის.

ცირა ჯანჯლავა

რიცხვითი სახელის შემცველი ფრაზეოლოგიზმებისათვის მეგრულში

ფრაზეოლოგიზმების კვლევა გულისხმობს მათი როგორც სემანტიკის, ისე სტრუქტურის შესწავლას, კერძოდ, კომპონენტური შემადგენლობის წარმოჩენას. ამ მხრივ, სხვა მეტყველების ნაწილებთან ერთად, ყურადღებას იმსახურებს რიცხვითი სახელები, რომელთა

მხოლოდ მცირე ნაწილი დასტურდება ფრაზეოლოგიზმების შემადგენლობაში, მაგრამ მაინც თვალსაჩინოა მათი წვლილი მყარი შესიტყვების ჩამოყალიბებაში.

მეგრულში რამდენიმე რაოდენობითი რიცხვითი სახელი დასტურდება ფრაზეოლოგიზმების პირველ კომპონენტად. ესენია: **ართი**, „ერთი“, **უირი**, „ორი“, **ჩხორი**, „ცხრა“, **ოში**, „ასი“, **ათასი** || **ათასი**, „ათასი“...

ართი „ერთი“

1. **ართ ამბეჭ გეთანაფა** „გათათხვა, დატუქსვა, გაჯორვა, ერთი ამბის დაწევა“, ზედმიწ. „ერთი ამბის დათენება“.

2. **ართ სენიშ გენადიარეფი** „თანაშეზრდილები“, ზედმიწ. „ერთი თეფშის (თეფშე) ნაჭიმები“.

3. **ართ შური და ართ გური** „ერთსულოვანი“, ზედმიწ. „ერთი სული და ერთი გული“.

4. **ართ კუჩხით წორაფა** „მცირედით გასწრება“, ზედმიწ. „ერთი ფეხით გასწრება“.

5. **ართ ბურდღა** „მცირე, ერთი ბეჭო“, ზედმიწ. „ერთი ბურდღლი“ და სხვ.

უირი „ორი“

1. **ართ დო უირი** „ცოტაოდენი; დაახლოებით“, ზედმიწ. „ერთი და ორი“.

2. **უირ ობიშხაშ დოსქილადა** „აღსასრულის მოახლოება“, ზედმიწ. „ორი პარასკევის დარჩენა“.

3. **უირხოლო კუჩხით მიკობუნა** „გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნა“, ზედმიწ. „ორივე ფეხით მიბმა“.

4. **უირ დუღი გაუღუ** „ვერ გაბედავს“, ზედმიწ. „ორი თავი არა აქვს“.

ჩხორი „ცხრა“

1. **ჩხორო გვალაშ იშო** „ძალიან შორს, გადაკარგულში“, ზედმიწ. „ცხრა მთას იქით“ (შდრ. ქვ. ღშ გვალაშ იშო).

2. **ჩხორო თოლ და ცუჭი** „დიდი ყურადღება“, ზედმიწ. „ცხრა თვალი და ყური“.

3. **ჩხორო კილათ კილერი** || **ჩხოროფათ კილერი** „მაგრად

დაკეტილი“, ზედმიწ. „ცხრა კლიტით დაკეტილი“ || „ცხრაკეცად და-
კეტილი“ (შდრ. **ცხრაკლიტული**).

4. **ჩხორო დღაშ თლუ** „ძალიან შორს“, ზედმიწ. „ცხრა დღის
სავალი“.

5. **ჩხორო პატონიშ მონა** „უპრინციპო, შემგუებელი“, ზედმიწ.
„ცხრა ბატონის მონა“ და სხვ.

ოში „ასი“

1. **ოშ გვალაშ იშო** „ძალიან შორს, ცხრა მთას იქით“, ზედ-
მიწ. „ასი მთის იქით“.

2. **ოშ ოლალგ** „ძალიან ბევრი“, ზედმიწ. „ასი ტვირთი“.

3. **ოშშა ლურა** „მრავალჯერ შერცხვენა“, ზედმიწ. „ასი თვალის
ყურება“.

4. **ოშ დო ოთხოში** „ძალიან ბევრი“, ზედმიწ. „ასჯერ
სიკვდილი“.

5. **ოშ თოლიშ ჯინა** „დიდი ყურადღების მიქცევა“, ზედმიწ.
„ასი თვალის ყურება“ და სხვ.

ანთასი || **ათასი**¹ „ათასი“.

1. **ანთასშე ართშა** „იშვიათად, ათასში ერთხელ“.

2. **ანთას წანერი** „ძალიან ძველი“, ზედმიწ. „ათასი წლისა“.

3. **ანთას ოფოფი უხე დოუს** „არასერიოზული, შერეკილი“,
ზედმიწ. „ათასი ოფოფი უზის თავში“.

ზოგი ფრაზეოლოგიზმის შესახებ გადაჭრით ძნელია ითქვას,
საკუთარია თუ კალკირების შედეგად მიღებული. ზოგჯერ, ერთი შე-
ხედვით, ადვილი ჩანს საკითხის გადაწყვეტა, მაგალითად, ფრაზეო-
ლოგიზმებს **ოშ გვალაშ იშო** და **ჩხორო გვალაშ იშო** ერთნაირი
მნიშვნელობა აქვს („ძალიან შორს“), რომელთაგან პირველი საკუთ-
რივ მეგრულია, მეორე — თითქოს კალკირების შედეგი, თუმცა არც
ის არის გამორიცხული, რომ ამ მეორეს საერთოქართველურის კვა-
ლიფიკაცია მიეცეს.

განსაზღვრული რაოდენობითი რიცხვითი სახელების გვერდით
მეგრულ ფრაზეოლოგიზმებში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება

¹ სიტყვა შესულია ქართულიდან; მოსალოდნელი **გითოში** დასტურ-
დება მეგრულ-ლაზური ენის ლაზურ დიალექტში (ნ. მარი).

განუსაზღვრელი რიცხვითი სახელის გამოყენების შემთხვევები: **ბრელ
წყარ მიკილენს** „დიდი დრო გაივლის, ბევრი წყალი ჩაივლის“, **ჭი-
ჭექ დასქიდგ** „კინალამ; ცოტა დარჩა“, „ზედმიწ“. „ცოტა დაურჩა“.

რიგობითი რიცხვითი სახელებიც ფრაზეოლოგიზმების კომპონენტად იშვიათად გამოიყენება: ართ ხეშე **მაჟია** ხეშა ვემიჩინე „ქნე-
ლად გასამეტებელი“, „ზედმიწ“. „ერთი ხელიდან მეორე ხელისთვის
ვერ გადაიცემა“; ართ ცუჯიშე **მაჟია** ცუჯიშა ვემიშქვინე „აშკარა ტყუ-
ილი“, „ზედმიწ“. „ერთი ყურიდან მეორე ყურში არ მიიშვება“...

მოხსენებაში ვემყარებით ძირითადად მეგრულ ლექსიკონებში
წარმოდგენილ მასალას; მოყვანილი იქნება კონტექსტები, რომლებ-
შიც ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობა უკეთ წარმოჩნდება.

მეგრულ ფრაზეოლოგიზმებში რიცხვითი სახელების გამოყენე-
ბასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი (მათ შორის — ნუმერატივე-
ბის ფრაზეოლოგიური აქტიურობა) შემდგომი კვლევისას იქნება გა-
თვალისწინებული.

ნინო ჯორბენაძე

**„რაც არ უნდა“ შესიტყვების შემცველი
სინტაქსური კონსტრუქციისათვის ქართული
მედიის ენაში**

ჩვენს მოხსენებაში ყურადღება ერთ კერძო, მაგრამ თანამედ-
როვე ქართულში ძალიან გავრცელებულ მოვლენაზე გვინდა გავამახ-
ვილოთ. მხედველობაში გვაქვს „**რაც არ უნდა**“ შესიტყვების შემცვე-
ლი სინტაქსური კონსტრუქცია, რომელსაც ქართული მედიის ენაში
ხანდახან ძალდატანებით „**არ**“ ნაწილაკის გარეშე ამკვიდრებენ. არა-
და, გარდა გავრცელებულობისა, ამ ტიპის კონსტრუქციაში „**არ**“ ნა-
წილაკის გამოყენებას სხვა მიზეზი (და გამართლებაც) აქვს. კერძოდ,
„**არ**“-ნაწილაკიანი და ამ ნაწილაკის გარეშე გამოყენებული კონ-
სტრუქციები ერთმანეთისაგან შინაარსის მხრივ ნიუანსურად გან-

სხვავდებიან და წინადაღების პირველ ნაწილში გამოყენებული სიტყვათშეხამება (იმისდა მიხედვით, გვაქვს აქ „არ“ ნაწილაკი თუ არა) წინადაღების მეორე ნაწილის ამ ნიუანსობრივ სხვაობაზე წინასწარ მიგვითითებს. კერძოდ, ხშირ შემთხვევაში იმიჯნება ორი შინაარსობრივად განსხვავებული კონსტრუქცია:

1. რაც არ უნდა გააკეთოს, აწი ამ საქმეს მაინც არაფერი ეშველება.

2. რაც უნდა, გააკეთოს, ნუ დაუშლით.

ვფიქრობთ, აღნიშნული ორი კონსტრუქცია „არ“ ნაწილაკის ხმარებისდა მიხედვით საკმაო შინაარსობრივ სხვაობას იძლევა და მათი ნიველირება (ორივე შემთხვევაში „არ“ ნაწილაკის გამოუყენებლობა) მიზანშეწონილი არ უნდა იყოს.

პროექტი „ნახურ და დალესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკა“

პროექტი (№ 31/45) ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფინანსური მხარდაჭერით.

ნოდარ არდოტელი

*ა ხმოვნის რეკონსტრუქციისათვის ნახურ-დალესტნურ ენებში

1. ერთი მხრივ, ნახურ ენათა, ხოლო, მეორე მხრივ, ხუნძურისა და სხვა ანდიურ ენათა ამოსავალ ა-ს ანდიურ ენაში ო შესატყვისება, დიდოურ ენებში კი **ა/ო** (ბეჭ.), **ო** (სხვა დიდ. ენები) ეკვივალენტები მოებოვება. ღავურ-დარგულ და ლეზგიურ ენათა სინამდვილეში *ა-ს დიდი რყევა ახასიათებს — რეალიზებულია როგორც პალატალიზაციის, ისე ველარიზაციის შეუზღუდავი და რეგულარული პროცესები.

ამოსავალი *ა-ს შესატყვისობის ფორმულა, ყველა ენის მონაცემთა გათვალისწინებით, ასე გამოიხატება:

*	ჩენ.	ხენ.	ალ.	ჭე	ჟ	რა.	ხევ	ჟე	ჟა	ჟებ	ჟებე	არ.	რა.	ჟ	ჟი
ა	ა	ა	ო	ა	ო	ო	ა/ო	ა	ა/ე	ე/ო	ე/ო	ო	უ	უ	ე/ი

1) ჩეჩნ. ვარ ~ ხუნდ. **ანტა-ვო** (<*ატა-ვო) ~ ანდ. **ჰოტაუ-გუ** : ბოთლ.: ღოდ.: ჭამ.: კარ. **ჰატაუ-და** : ბაგვ. ჰატაუ-რა : ტინდ. ჰატაუ-ვ : ახვ. **ატაუ-და-ბე** ~ საკ. დიდ.: ჰინ. ცოლ'-ნო: ხვარ. ცოლ'-ა (ინ. ცოლ') : ბეჭ. ცალ'-ნა (ჰუნჩ. ტლ'-ნუ) „შვიდია“.

2) ჩეჩნ. ბორზ (<*ერგ. ბარზუო) ~ ხუნძ. ბაწ (<*ბაწი) ~ ანდ. ბოწო : ბოთლ.: ღოდ.: ჭამ.: ტინდ.: ბაგვ.: კარ. ბაწა : ახვ. ბაჭა ~ საკ. დიდ. ბოწი : ჰინ. ბოწე : ხვარ. ბოწა (ინხ. ბოწო): ბეჟ. ბაწო (პუნზ. ბოწა) ~ ლაკ. ბარწ : დარგ. ბეწ „მგელი“...

2. ერთი შეყბის მაგალითებში ა:ო შესატყვისობის დარღვევა შეპირობებულია კომბინაციურად, მაგ.: ჩეჩნ. უოშ (<*უაშ) : ბაც. უოპ > (<*უაპ) ~ ხუნძ. უას ~ ანდ. უოშო : ღოდ. უაშა... ~ საკ. დიდ.: ჰინ. უუი (<*ოუი) : ხვარ. უუა (<*ოუა): ბეჟ. რუტ (<*აუე, შდრ. ტლად. ოუე) ~ ლაკ. არს : დარგ. ურში (<*რუში) „ვაჟი“; ჩეჩნ.-ინგ. ღოგ (<*ღუაგ<* დაგუ ასიმილაცია) ~ ხუნძ. რაკ (<*რაკუო) ~ ანდ. როკუო : ახვ.: რაკუა... ~ საკ. დიდ. როკუ: ხვარ. ლოკუა: ბეჟ. რაკო ~ ლაკ. დაკ: დარგ. ურკი (<*რაკუი) ~ ლეზგ. რიკ: არჩ. იკუ: უდ. უკ: კავკ. ალბ. ჰუკ (<*რაკუ) „გული“...

ამ რიგის შესატყვისობაში საერთო ამოსავალს ა წარმოადგენს, რომელიც ანდიურსა და დიდოურ ენათა მეტ წილში, ქართველურ ენათა ანალოგიურად, ბაგისმიერ თ ხმოვანში გადასულა: ა>ო. ენათა მიხედვით, ა-მ შეიძლება სხვაგვარი ტრანსფორმაციაც (ა>ე, ა>ი...) განიცადოს.

3. დასტურდება ხმოვანთა ისეთი შესატყვისობაც, რომელიც ხუნძურ-ანდიურ ენებში უცვლელად იმეორებს ზემოგანხილულ ა:ო შესატყვისობის რეფლექსებს, ხოლო დიდოურ ენებში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციით არის წარმოდგენილი.

შესატყვისობის ფორმულა ასეთ სახეს მიიღებს:

*	ჩენ.	წენ.	ჭა	ჭა	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
ა	ა/ე	ა	ო	ა	ო	ა/ო	ო/ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა

1) ჩეჩნ. ცჰაჭ : ინგ. ცაჭ ~ ხუნძ. ცო (<*ცა, შდრ. ცა-დაქ „ერთად“) ~ ანდ. სებ (<*საბ) : ახვ. ჩე-ბე ~ დიდ. სის : ხვარ. ჰას : ბეჟ. ჰონს ~ ლაკ. : დარგ. ცა ~ ლეზგ. სად : უდ. სა „ერთი“.

2) ჩეჩნ. წე ~ ხუნდ. წა ~ ანდ. წა (?): ახვ. ჭარი ~ დიდ. წი : პინ. ჭე : ხვარ. წა ~ ბეჟ. წო ~ დარგ. წა: ხინ. ჭი „ცეცხლია“...

4. არაიშვიათად ეს შესატყვისობა დარღვეულია ერთი რიგის მაგალითებში, რომლებიც ანდ. თ-ს შესატყვისად ხუნძურში ე/თ ხმოვნებს გვიჩვენებენ. გარკვეულია, რომ ამგვარ შემთხვევებში ისტორიული ა მეტწილად დაცულია „ირიბ ბრუნვებსა“ და მრ. რიცხვში [ცერცვაძე 1965: 30]. **ა>ე/თ** ბგერათცვლილების მიზეზი ხშირად და-ჩრდილულია და სპონტანური ფონეტიკური პროცესის სახით არის წარმოდგენილი, მაგ.:

1) ხუნდ. ქექე (**ქაქა*, შდრ. ნათ. ქოქ-ოლ<**ქაქ-ოლ*) ~ ანდ. ქოქა : ბოთლ.: კარ.: ახვ. ქაქა : ღოდ.: ბაგვ.: ქაქა: ჭამ. ჩაჩა ~ საკ. დიდ. ქიქი : ხვარ. ქაქა (ინხ. ქოქო) „ძუძუ“.

2) ხუნდ. ჰობო (**ჰებო*, შდრ. ჰაბი-ჰან „მეწისქვილე“) ~ ანდ. იხობ : ბოთლ.: ჭამ. ხუაბუ : ღოდ.: ტინდ.: ახვ. ხუაბა ~ საკ. დიდ. აღ‘ურ (**აღური*, შდრ. ასახ. აღურ „id.“): პინ. ღემერ .. ხვარ. ღობოლ (ინხ. ღაბალ): ბეჟ. ჰაბო (ჰუნზ. ჰობურ) „წისქვილი“...

თუ შევუდარებთ პირველად განხილულ შესატყვისობის ფორმულას მეორისას, პოზიციურად შეპირობებული ბგერათცვლილების გაუთვალისწინებლად, აღმოჩნდება, რომ ხუნძურ-ანდიურ ენებში ორი-ვე შესატყვისობა ერთგვაროვანია: ანდ. თ : ხუნდ., ბოთლ., ღოდ... ა. რაც შეეხება დიდოურ ენებს, ამ ენათა სინამდვილეში მეორე შესა-ტყვისობა მნიშვნელოვნად განსხვავდება პირველისაგან.

მოხსენებაში წარმოდგენილია ამგვარი დარღვევების ახსნის ცდა.

როსტომ ფარეულიძე

კაუზატივის წარმოება და რეგრესულ-კონტაქტური ასიმილაცია ნახურ ენებში

რეგრესულ-კონტაქტური ასიმილაცია ნახურ ენებში ყველაზე სრულად თავს იჩენს მარტივ, სადა ზმნურ ფუძეთაგან კაუზატიური ფორმების წარმოებისას.

ნახურ ენებში კაუზატიური ფორმები პირველად ა. შიფნერმა გამოყო წოვათუშურში. ა. შიფნერი კაუზატივის მაწარმოებლად ასახელებს -ითარ სუფიქსს, რომლის წარმომავლობა და სტრუქტურა მას მცდარად აქვს ახსნილი (ჩ. გაგუა).

ჩეჩნური ენის პირველი მკვლევარი პ. უსლარი კაუზატივის მაწარმოებლად გამოყოფს -ითარ ფორმანტს, მაგრამ პ. უსლარისთვის იგი ფორმანტი არ არის, იგი შეთანხმებადი ზმნაა, რომელიც ერწყმის წინამავალ ზმნას და ქმნის კომპოზიტს. ჩეჩნურ კაუზატიურ ფორმებს რუსულად იგი ასე თარგმნის: (აიძულებს) იტრიალოს, დაიწვას...

ზ. მალსაგოვის აზრით, კაუზატივის მაწარმოებელი ინგუშურში არის -ითა ფორმანტი. ასეთ ფორმებს იგი იძულებითს ეძახის.

ნ. იაკოვლევი წერს, რომ კაუზატიური ფორმები ჩეჩნურში იძულებითი გვარის ფორმებია, ე. ი. მისთვის კაუზატიური ზმნები გვარის კატეგორიის სახეობაა და არა ზმნის ერთ-ერთი კატეგორია. ტერმინი **იძულებითი** ნ. იაკოვლევს ალბათ ზ. მალსაგოვისაგან აქვს ნასესხები.

ნახურ ენებში კაუზატივს -ით- ფორმანტი აწარმოებს. ზემოთ ნახსენები -ითარ (< -ით-ა-რ), -ამთარ (< -ა-ით-ა-რ), -ითა (< -ითა) ფორმანტებში -ით- სუფიქსის მომდევნო ა ხმოვანი ზმნური ფუძის მაკავშირებელი ჩანს მასდარის -რ ან ინფინიტივის -ნ მაწარმოებლებთან (ინგუშურ -ითა ვარიანტში ინფინიტივის მაწარმოებელი სუფიქსი მოკვეცილია. ა ხმოვანი, როგორც სუფიქსი, ბრძანებითი ფორმის მაწარმოებელიც არის იმ შემთხვევაში, როცა მას არ მოსდევს ინფინიტივის ან მასდარის მაწარმოებელი ფორმანტები. რაც შეეხება

-ავთარ-ში წინა ა ხმოვანს, ისიც მაკავშირებელია -ით- ფორმანტისა ზმნურ ფუძესთან.

რამდენადც ცნობილია, -ით, როგორც ფორმანტი, პირველად ნ. იაკვლევმა დაუკავშირა **დ-ით-ა** „დატოვება“ ზმნის ძირს (გრამატიკული კლასის ნიშნის მოკვეცით). მაშასადამე, ნახურ ენა-კილოებში კაუზატიური ფორმები ნაწარმოებია შემდეგნაირად:

ინფინტივი

კაუზატივი

მალ-ა „დალევა“

მალითა „დალევინება“

პე-ა „ხვნა“

პეთა „დახვნევინება“

საც-ა „გაჩერება“

საცითა „გაჩერებინება“...

პ. უსლარის ნაშრომში დასტურდება **პხავთა**, რომელიც მომდინარეობს ***პხ-ა-ით-ა-ნ** ფორმისაგან. უსლარისეული კაუზატიური ფორმა ამჟამად წარმოდგენილია ჩეჩნური ენის ჭებერლოურსა და შაროულ დიალექტებში, ითუმყალურში, ხილდიხაროულში (არსახანვი).

მაშასადამე, ზმნური ფუძის მომდევნო (მაკავშირებელი) ხმოვანი და **-ით-** ფორმანტის ხმოვნითი ნაწილი ქმნიან ხმოვანთა კომპლექსს. თანმიმდევრობა ხმოვანი+ხმოვანი, როგორც ცნობილია, ჩეჩნური ენისათვის უჩვეულოა. ასეთ შემთხვევაში ხმოვნები ან ერწყმიან ერთმანეთს და შედეგად ვიღებთ გრძელ ხმოვანს, ან ხდება ერთერთი მათგანის ნაწილობრივი რედუქცია, რაც დიფთონგის წარმოქმნის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს. ზემოთ ჩამოთვლილ მაგალითებში ხმოვანთა შერწყმის შედეგად გრძელი ხმოვანია მიღებული.

მარტივ ზმნათაგან კაუზატიური ფორმების წარმოებისას, რეგრესულ-კონტაქტური ასიმილაციის საფუძველზე, ნახურ ენებში მორფებითა ზღვარზე წარმოქმნილი ხმოვანთა კომპლექსი **აი** ნაწილობრივი რედუქციის შედეგად იძლევა **ა** დიფთონგს. ეს დიფთონგი, როგორც ზემოთ ითქვა, დასტურდება პ. უსლარის ნაშრომში, ჩეჩნური ენის ჭებერლოურ და შაროულ დიალექტებში, ქისტური დიალექტის ხილდიხაროულ კილოკავში.

აღნიშნული დიფთონგის ედ ვარიანტი წარმოდგენილია ქის-ტური დიალექტის მაისთურ თქმაში. ისიც რეგრესულ-კონტაქტური ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგს წარმოადგენს.

ა დიფთონგის კიდევ ერთი სახეობა მ (გრძელი ი) კი მიღებულია რეგრესულ-კონტაქტური სრული ასიმილაციის შედეგად. მაშასადამე, ამ შემთხვევაში მივიღეთ არა დიფთონგი, არამედ გრძელი მარტივი ხმოვანი, რომელიც კაუზატიურ ფორმებში წარმოდგენილია ჩეჩნური ენის ბარის კილოში (სალიტ. ენაში), ახიურში, ინგუშურ ენაში. **ბ** ხმოვნის (გრძელი ი) გამარტივების შედეგია მარტივი, სადა ც, რომელიც კაუზატიურ ფორმებში დასტურდება წოვათუშურში, ჩეჩნური ენის ქისტური დიალექტის ჭოყოლოურ თქმაში.

მაშასადამე, კაუზატიურ ფორმათა წარმოებისას მორფემათა ზღვარზე გაჩენილი **ა** ხმოვანთკომპლექსისაგან ფონეტიკური პროცესების შედეგად ნახურ ენა-კილოებში მიღებულია როგორც სხვადას-ხვაგვარი დიფთონგი, ისე სადა და გრძელი მარტივი ხმოვნები.

კაუზატიური ფორმების მორფოლოგიური სეგმენტაცია, რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმ კილოკავებში, რომლებშიც მორფემებს შორის ზღვარი მოშლილია ხმოვანთა შერწყმის ან შერწყმის შემდგომ გამარტივების შედეგად.

ლევან აზმაითარაშვილი

მახვილთან დაკავშირებული ერთი მოვლენის შესახებ ხუნძურ და ლაკურ ენებში

ხუნძური ენის მახვილის დახასიათებისას მიუთითებენ ხოლმე მის ერთ-ერთ ნიშან-თვასებაზე — დისტინქციურობაზე (არნ, ჩიქობავა, ი. ცერცვაძე, შ. მიქაილოვი, ი. ისაყოვი, ნ. არდოტელი...), მაგ., ჰორწი „კალო“ — ჰორწ „თაფლი“, რაში „სიტყვა“ — რაში „საკვები პირუტყვისათვის“ და სხვა. ამასთან, აღსანიშნავია სხვა მოვლენაც, რასაც თავდაპირველად ყურადღება მიაქცია შ. მიქაილოვმა; კერძოდ, ეს გა-

ხლავთ ტენდენცია წარმოქმნილ სახელებში მახვილის გადანაცვლებისა საწარმოებელი ფუძიდან სადერივაციო აფიქსებზე; მაგალითად:

ბაკ-ლ-ი („დამძიმება“) მასდარის ფორმაა, ინფინიტივში იქნება ბაკ-ლ-ი-ზე. იგი შედგენილია მეშველი ზმნისაგან ლ-ი-ზე („გარდაჭევა“, „გახდომა“). ამ უკანასკნელის მასდარული ფორმაა ლ-ი), რომელიც ხუნძურ ენაში, ჩვეულებრივ, გამოიყენება ხოლმე ნასახელარ ზმნათა წარმოებისას (შდრ. ზედსართ. ბაკ-აბ „მძიმე“). ხსენებულ ნასახელარ ზმნაში მახვილი მოუდის თავიდან პირველ მარცვალს: ბაკ-ლ-ი. როგორც ცნობილია, ამავე ლ-ი-ზე („გარდაჭევა“, „გახდომა“) მეშველი ზმნისაგან მომდინარეობს დერივატი ლი, რომელიც აბსტრაქტულ არსებით სახელთა მაწარმოებელ სუფიქსად ითვლება. საინტერესოა, რომ ამ სუფიქსის მეშვეობით წარმოქმნილ სახელში მახვილი უკვე მეორე მარცვალს მოუდის, ე.ი. ზედ ამ სადერივაციო სუფიქსზე ეცემა: ბაკ-ლი „სიმძიმე“. შ. მიქაილოვს დასახელებული აქვს არაერთი ანალოგიური მაგალითი ზმნურ და სახელურ ფორმათა დაბირისპირებისა მახვილის ადგილის მიხედვით:

ზონა

ბერ-ლ-ი „დაბნელება“ — ბერ-ლი „სიბნელე“; შდრ. ბერ-აბ „ბნელი“;
ლარკ-ლ-ი „კარგად“ — ლარკ-ლი „სიკეთე“; შდრ. ლარკ-აბ „კარგი“;
გახდომა“

ხინ-ლ-ი „გათბობა“ — ხინ-ლი „სითბო“; შდრ. ხინ-აბ „თბილი“
და სხვა.

იგივე მოვლენა ნიშანდობლივია აგრძელებული და -ელ და -ენ დერივატებიანი ნაზმნარი სახელებისათვის, რომლებიც თვალსაჩინოდ უპირისპირდებიან, მახვილის ადგილის მიხედვით, ამოსავალ ზმნურ ფორმებს:

ზონა

ბათ-ი „პოვნა“ — რათ-ელ „ქონება“ (\leftarrow ბ-ათ-ი);
რეტ-ი „ჩაცმა“ — რეტ-ელ „ტანისამოსი“;

სახელი

- რაგა-ი-ნ „თვლა“ — რიკა-ენ „რიცხვი“;
 ბუნ-ი-ნ „დაბმა“ — რუს-ენ „თოკი“ და სხვა (შ. მიქაილოვი).

სხვა მაგალითებიც მოწმობს, რომ ტენდენცია მახვილის ფიქსაციისა სადერივაციო სუფიქსებზე ხუნძურისათვის მკაფიოდ არის დამახასიათებელი. როგორც ჩანს, ეს ტენდენცია ისტორიულადაც არსებობდა, რაზედაც გარკვეულწილად მიანიშნებს ის ფაქტი, რომ არა-ერთ სიტყვაში გამოვლენილი, ამჟამად ფუქს შეზრდილი, გაქვავებული მორფოლოგიური ელემენტები მეტწილად მახვილიანია, მაგ., ბეტ-ერ „თავი“, შეყ-ერ „ყელი“, ტენს-ერ „წარბი“, პუმ-ერ „სახე“ ჰუჭ-ერ „ფილტვი“, მეჭ-ერ „ჭვირი“ (აგრეთვე „მთა“), ტეჭ-ერ „კრავი“, ემ-ენ „მამა“, შორკა-ენ „დედალი ცხვარი“, დეჭ-ენ „ვაცი“, ბირ-ენ „ხვადი, მამრი“ და სხვა.

რიგ არსებით სახელებში მახვილიანია აგრეთვე არაპროდუქტიული სუფიქსები, მაგ., გურგ-ა „მრგვალი ფორმის პური“ (შდრ. გურგ-აბ „მრგვალი“), წეკ-უ „მუაუნა“ (შდრ. წეკ-აბ „მუავე“), გოჭ-მა „ჭირვეული“ (შდრ. გოჭ-აბ „განებივრებული“), ვატა-რდ „სიმამრი, მამამთილი“, დატა-რდ „სიდედრი, დედამთილი“, ასევე: ვატა-ნ-ა (I კლ.), დატა-ნ-ა (II კლ.) „საყვარელი“ (შდრ. ბატა-ი-ნე „მოწონება“, „ნდომა“, ბ-რტა-ი-ზე „ყვარება“), რუკ-უნ „ბუდე“ (შდრ. ბ-უკ-ი-ნე „ყოფნა“), კომ-რო „მგელი“ (შდრ. კომ-ი-ზე „მოტაცება“), ხონ-ტა „ჩანასახი“ (შდრ. ხონ „თესლი“) და სხვა.

ვფიქრობ, რიგ შემთხვევაში ამგვარი ფაქტების გათვალისწინება შესაძლოა მეთოდოლოგიურად გამოსადგენიც იყოს სიტყვათა მორფემული აგებულების ისტორიის გამოსარკვევად, რადგან ზოგ შემთხვევაში მარცვალი, სავარაუდოდ, შესაძლოა სწორედ იმიტომაც იყოს მახვილიანი, რომ ისტორიულად იგი ცალკე მორფემას წარმოადგენდა სიტყვაში; მაგალითად, ამჟამად უკვე ფუქს შეზრდილ ელემენტად შეიძლება ჩაითვალოს მორფემა -უ-უ სიტყვებში ჭაუ-უ „ქალი“, ტა-უ „შარგალი“, ხან-უ „უქვილი“. ცნობილია, რომ ეს -უ ელემენტი მომდინარეობს დამოუკიდებელი სიტყვისაგან უო „ნივთი“,

„საგანი“, „რამე“ (ტ. გუდავა). ხსენებულ სიტყვებში -უ მახვილიანია (ჭუუშ, ტაუშ, ხაანუშ), რაც თითქოს გამორიცხავს უ ← უ პროცესს, რადგან თ-ს დავიწროება უ ხმოვნად, როგორც წესი, უმახვილო პოზიციაში იყო მოსალოდნელი. როგორც ფიქრობენ, ამ შემთხვევებში მახვილი მოგვიანებითაა გადაწეული ბოლოკიდურ მარცვალზე: ჭუუშ „ქალი“ ← *ჭაუუ ← *ჭაუო ← წაუ უ, ზედმიწ. „მდედრი რაძ“, შდრ. წაუ „ძუ, მდედრი“ (ი. გუდავა). მაინც რა უნდა ყოფილიყო მახვილის გადანაცვლების მიზეზი? — შეიძლება ვიფიქროთ, რომ უ (← უ) მარცვალზე მახვილის გადაწევა შეაპირობა ალბათ სწორედ იმ გარემოებამ, რომ იგი სიტყვის მაწარმოებელი მორფება იყო, ანუ ეს ფაქტიც ხსენებული ტენდენციის ასახვას შეიძლება წარმოადგენდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მახვილის აფიქსებზე გადაწევის ეს ტენდენცია არ შემოიფარგლება მხოლოდ დერივაციით და იგი მეტად თვალსაჩინოა ფლექსიაშიც, კერძოდ, არსებით სახელთა III ტიპის ბრუნებაში, აგრეთვე — მრავლობითი რიცხვის წარმოებაში, შედარებით ნაკლებად — ზმნურ ფორმაწარმოებაში და სხვ. (ი. ისაყოვი).

ღირსსაცნობია, რომ ანალოგიური მოვლენები აფიქსთა, ასე ვთქვათ, მახვილით მარკირებისა, რაც ესოდენ მკაფიოდ არის დამახასიათებელი ხუნდურისათვის, ნიშანდობლივია ლაკური ენისთვისაც. ამ ენაში მახვილის ადგილი მკვიდრი და სტაბილური ჩანს როგორც სახელურ (დერივაციულ, ფლექსიურ), ისე ზმნურ აფიქსებში.

ლაკურში მახვილი ყოველთვის მყარია, მაგალითად, სიტყვა-წარმოებით სუფიქსებში, როგორიცაა -ჩი: ჭალა-ჩი „მკალავი“ (შდრ. ჭალა „კალა“). ისიც აღსანიშნავია, რომ სუფიქსი -ჩი ნასესხებია; -ქარ: ბყლუ-ქარ „გონიერი“ (ბყლუ „ჭკუა, გონება“), -უ: ჩიჩ-უ „მწერალი“ (ჩიჩ-ინ „წერა“), -ალა: უჩ-ალა „ანდაზა“ (უჩ-ინ „თქმა“), -ალუ: მაჯ-ალუ „უკანა“ (მაჯ „უკან“), -გა: არხ-გა „ის, ვინც შორსაა“ (არხ-საა „შორი“)... ლოკატიური ბრუნვის ფორმებში: ჭათლუ-გუნ „სახლში“, ჭათლუ-გა „სახლიდან“, თანა-გან „მასზე“, თანა-გან „მასთან“, თანა-წერ „მასთან ერთად“, ჭირა-ჭა ... ზმნურ ფორმანტებში:

უჭა-არა „მოვდივარ“, ლას-არა „გიღებ“, ჩიჩ-ა „დაწერე!“, ლას-ა „აიღე!“ განგრძობით ფორმებში: ჩიჩ-ან „წერა“ (განგრ.), შდრ. ჩიჩინ „წერა“ (ერთგზის), უჭა-ან „მოსვლა“ (განგრ.), შდრ. უჭა-ან „მოსვლა“ (ერთგზის) და სხვა (პ. მურყელინსკი).

ხუნძური და ლაკური ენები ამგვარად წარმოგვიდგენენ გარკვეულწილად მსგავს და ერთგვაროვან ვითარებას აფიქსებში მახვილის აქტიური მოქმედების თვალსაზრისით, რაც ბევრ ენას ასე მკაფიოდ როდი ახასიათებს.

რომან ლოლუ 5

ლეზგიურ ენათა ვოკალური სისტემები

ლეზგიური ენები კონსონანტიზმის სირთულის პირობებში ვოკალიზმის სიმარტივეს ამჟღავნებენ — ხმოვნების რიცხვი ათს არ აღემატება: ლეზგიურში, თაბასარანულსა და აღულურში ხუთ-ხუთი ფონემა დასტურდება (ა, უ, ე, ი, შ), არჩიბულში, რუთულურსა და წახურში — ექვს-ექვსი (ა, ე, ი, ო, უ, გ — არჩიბულსა და წახურში¹; ა, უ, გ, ე, ი, შ — რუთულურში), კრიშულში, ხინალულურსა და უდიურში — ცხრა-ცხრა (ა, ო, უ, გ, შ, ე, ი, რ, ჟ), ხოლო ბუდუხურში — ათი (ა, ო, უ, გ, შ, შ, ე, ი, რ, ჟ). კავკასიის ალბანურ ხელნაწერ და ეპიგრაფიკულ ქეგლებში ათი ხმოვანი დასტურდება (ა, ე, ი, ო, უ, ა^ც, ე^ც, ი^ც, უ^ც), თუმცა ფარინგალიზებული ხმოვნების ფონემურობის საკითხი გარკვევას მოითხოვს.

ექვსი მარტივი ხმოვნისაგან (ა, ე, ი, ო, უ, გ) ა შეიძლება რეალიზებული იყოს როგორც შუა ან უკანა რიგის ხმოვანი და როგორც დაბალი ან საშუალო აწეულობის ბევრა, ხოლო გ ორგვარი

¹ საკ. წახურში. წახური ენის დიალექტებში პალატალიზებული ხმოვნებიცაა წარმოდგენილი.

გვხვდება — მაღალი და საშუალო აწეულობის, ამასთან, ბუდუხურში ორივე დასტურდება და ორივეს მოეპოვება ფონემის სტატუსი. **ა**, **უ**, **ე** და **ი** ყველა ლეზგიურ ენაში დასტურდება, ხოლო **ო** და **გ** — ზოგიერთ მათგანში.

ა — მახვილის ქვეშ არ განიცდის ცვლილებებს, ხოლო უმახვილო პოზიციებში შეიძლება მოგვცეს **გ**. ლაბიალიზებული თანხმოვნის დელაბიალიზაციის შედეგად მომდევნო **ა** ხშირად გვაძლებს **უ**-ს ან **ო**-ს, მაგ., ლეზგ. **სუას**, რუთ. **სუს**, წახ. **სოს** „პატარძალი“;

უ — როგორც წესი, ***უ** უცვლელადაა შემონახული. ამას გარდა, **უ** ბგერა ხშირად ლაბიალიზებული თანხმოვნების დელაბიალიზაციის შედეგადაა მიღებული.

ე — ლაბიალიზებული თანხმოვნების დელაბიალიზაციის შედეგად ხშირად გადადის **უ**-სა ან **ო**-ში. გაგრცელებულია **ე** ბგერის მონაცვლეობა **ი** და **ა** ბგერებთან.

ი — მახვილიან მარცვალში არ განიცდის ცვლილებებს. ლაბიალიზებული თანხმოვნის დელაბიალიზაციის შედეგად **ი** ხშირად გვაძლებს **უ**-ს ან **ო**.

ო — ეს ბგერა დასტურდ ება არჩიბულ, წახურ, კრიწულ, ბუდუხურ, ხინალუღურ, უდიურ ენებსა და რუთულური ენის ბორჩულ დიალექტში. **ო** კავკასიის ალბანურშიც მოგვებოვებოდა. ლეზგიურ ენებში **ო** ბგერა მეორეული ჩანს და, როგორც წესი, თანხმოვანთა დელაბიალიზაციის შედეგად უნდა იყოს წარმოქმნილი (**C^wV > Cო**). **ო** ბგერა განსაკუთრებით ხშირად გვხვდება იმ ენებში, რომლებშიც ლაბიალიზებული თანხმოვნები (ან კომპლექსები) გამარტივდა (ბუდუხური, უდიური, კავკასიის ალბანური). არჩიბულ ენაში **ო** ბგერა ხშირად **ა**-საგან არის მიღებული **უ**-ს გავლენით, მაგ., **ჟაღფის** (II კლ.), **ჟაყის** (IV კლ.), **ჟოუეის** (<**ჟაუეის**) „მოცდა“...

გ — ეს ბგერა წარმოდგენილია რუთულურ, წახურ, კრიწულ, ბუდუხურ, ხინალუღურსა და უდიურ ენებში, ხოლო ლეზგიურ ენაში იგი ძირითადად სამურული დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა ის, შედარებით იშვიათად, ყუბის დიალექტებშიც დასტურდება. კიურულში ეს ბგერა მხოლოდ ყურახის დიალექტსა და გილიარის კილოკავში გვხვდება. **გ** ბგერის ჩამოყალიბება ლეზგიურ ენებში, ერთი

მხრივ, ხმოვანთა რედუქციას უკავშირდება, ხოლო, მეორე მხრივ, იგი ० ბგერის პოზიციურ კორელატად წარმოგვიდგება. ეს ბგერა ხშირად აზერბაიჯანულიდან ნასესხებ სიტყვებშიც გვხვდება.

ამას გარდა, ლეზგიურ ენებში დასტურდება **პალატალიზებული (უმლაუტიანი), გრძელი და ნაზალიზებული** ხმოვნები.

პალატალიზებული ხმოვნები წარმოდგენილია: ლეზგიურში (ჟ; დიალექტებში — ჸ), თაბასარანულში (ჟ), აღულურში (ჟ; დიალექტებში — ჸ), რუთულურში (ჸ, ჟ), წახურში (ჸ, რ, ჟ — საბუნჩის კილოკავში; ჸ, ჟ — გილმეწურ კილოკავში), კრიჭულში (ჸ, რ, ჟ — რ კრიჭულში დასტურდება იშვიათად და ისიც — ნასესხებ სიტყვებში), ბუდუხურში, ხინალულურსა და უდიურში (ჸ, რ, ჟ).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა რამდენიმე თვალსაზრისი პალატალიზებული ხმოვნების შესახებ. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, პალატალიზებული ხმოვნები ფუქტენისეულია (ჸ, ჟ — ე. ბოკარევი; ჸ, ჰ — ს. სტაროსტინი), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პალატალიზებული ხმოვნები ლეზგიურ ენებში ან აზერბაიჯანულიდან ნასესხებია, ანდა ფონეტიკური ცვლილებების შედეგადაა წარმოქმნილი.

გრძელ ხმოვნებს ლეზგიურ ენებში ადასტურებდნენ არჩიბულში, ხინალულურში (ჸ, ე, რ, რ, ჟ), წახურში (ჸ, ე, რ, რ, ჟ), რუთულურში (ჸ, ჟ, გ), კრიჭულსა (ჸ, რ) და ლეზგიური ენის იარკიულ დიალექტში (ჸ, ჸ). გრძელი ხმოვნები მეორეულია არა მარტო დიაქტონიულ დონეზე, არამედ საეჭვოა გრძელი ხმოვნების ფონემურობა სინქრონულ დონეზეც კი.

ნაზალიზებული ხმოვნების არსებობაზე ხინალულურ ენაში მიგვითითებს ი. დეშერიევი. ამას გარდა, ნაზალიზაციის პროცესი ნაგრძობია ლეზგიურ და არჩიბულ ენებშიც. ნაზალიზებული ხმოვნების მეორეულობა მკვლევართა შორის ეჭვს არ იწვევს.

ფარინგალიზებული ხმოვნები: ფარინგალიზაციის პროცესი ამათუ იმ ფორმით დასტურდება ყველა ლეზგიურ ენაში კრიჭული ენის გარდა. ფარინგალიზაციის პროცესი ლეზგიურ ენებში მკვლევართა მიერ ხშირად განხილული იყო როგორც ხმოვნის სეგმენტური თვისება.

ფარინგალიზებული ხმოვნები საერთოლეზგიური წინარე-ენის ფონო-ლოგიური სისტემისათვის იყო ნავარაუდევი. ე. ბოკარევის აზრით, საერთოლეზგიურში ორი ფარინგალიზებული აღდგება (**ა^ც, უ^ც**), ხოლო ს. სტაროსტინის მოსაზრებით — ხუთი: **ა^ც, ჰ^ც, ე^ც, ი^ც, ო^ც**.

ის, რომ ფარინგალიზაცია დამახასიათებელი იყო უკვე საერთოლეზგიური მდგომარეობისათვის, ეჭვს არ იწვევს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა მაგალითი, რომლებიც მოყვანილია ფუქე-ენაში ფარინგალიზებული ხმოვნების დასაღასტურებლად, შეიცავს უვულარულ თანხმოვანს. ეს გარემოება ეჭვქვეშ აყენებს ფარინგალიზაციის პროცესის კვალიფიკაციას საერთოლეზგიურში — როგორც ხმოვანთა სეგმენტური თვისებისა.